3 ᲚᲔ
2-80

ᲐᲠᲐᲓᲘᲡ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲥᲣᲠᲔ

№ I

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1902

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ
[illegible]
1902

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ I

ი ა ნ ვ ა რ ი, 1902

ტ ფ ი ლ ი ს ი
[illegible]
1902

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Января 1902 г.

შინაარსი

გვ.

I — „სიკვდილის წრე“. — (ამბავი მარკ ტვენისა) თარგმნილი ალ. სალთაშვილისა. 1

II — * * ლექსი — (პუშკინიდან) კონ. ნიკოლაძისაგან . 11

III — ცოდვა — (სცენები) ალბანისა 12

IV — ირლანდია მეცხრამეტე საუკუნეში. — არჩილ ჯორ. ჯაბისა 1

V — უცხოეთის 1901 წელს. — 1. საერთაშორისო დამოკიდებულებანი: სამთა კავშირი. — რუს-ფრანგთა კავშირი. — ინგლისი. — სამხრეთ-აფრიკის ომიანობა. — ჩინეთის ამბები. — 2. ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების შინაური საქმეები: ავსტრია და ეროვნული კითხვა. ინგლისის პარტიები, ირლანდია, გერმანია და ეროვნული კითხვა. დემოკრატიული პარტია. საფრანგეთი. 19

IX — დამატება. — ფიზიოლოგია. — დ — რის ფიზიკურ-ბასასრული), თარგმანი ი. ს. ფანტხავასი . 81 — 124

„სიკვდილის წრე“

(ამბავი მარკ ტვენისა)

ეს საქმე კრომველ ოლივერის დროს მოხდა. მთელ ჯარში არ მოიძებნებოდა მაიფერზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი; იგი ოცდა-ათი წლისი ჰხდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის გამოცდილ და დახელოვნებულ სარდლად ირიცხებოდა, რომელსაც სამხედრო სამსახური ჯერ ისევ ჩვიდმეტი წლისას დაეწყო; მას რამდენსამე ომში და ბრძოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, თან-და-თან წინ მიდიოდა და ამ უმაღლეს ხარისხამდის მააღწია.

უცბად მოულოდნელი ამბავი დაატყდა—შავმა ღრუბელმა მოიცვა მისი აქამდის ნათელი ჰორიზონტი.

ლადგა გრძელი ზამთრის საღამო, გარედ ჩამობნელდა, ქარიშხალიც მწარედ ღმუოდა; ოთახში სრული სიჩუმე ჰსუფევდა. პოლკოვნიკმა და მისმა ახალგაზრდა მეუღლემ სავსებით ეჯდასცეს თავიანთ ტანჯვა-მწუხარება ერთმანერთს და ბუხარს გაჩუმებულები მისხდომოდნენ.—ისინი ეხლა ფიქრსა და ცდაში იყვნენ, თუმცა ცდაც დიდ-ხანს არ დასჭირდებოდათ, ახალგაზდა ქალმა ეს კარგად იცოდა და ამ საშინელ ფიქრებს მთლად აეკანკალებინა.

მათ ჰყვანდათ შვიდი წლის ქალი—აბბი. ის-ის იყო უნდა შემოსულიყო, რომ ღამე მშვიდობისა ეთქვა; პოლკოვნიკმა წყნარად უთხრა თავის ცოლს:—თვალები მოიწმინდე, გაფ-

თხილდი, რომ თავი იმის-გულისათვის მშვიდად დაიჭირო. დროებით დავივიწყოთ საშინელი მომავალი.

— ვეცდები, რომ დავივიწყო, მაგრამ მწუხარებით გული მიკვდება.

— წყნარად, მოდის!

გრძელ სალამურ ხალათით კარებში პატარა არსება გამოჩნდა, რომელსაც ხუჭუჭა თმა პატარა თავს უმშვენებდა და ვარშემო მხრებს უხვად ეფინებოდა. მისმა თავმა მალე ძრიელი კოცნა იგრძნო.

— მამავ, ეგრე ნუ მკოცნი, თმას სულ დამიწეწავ.

— მაპატიე, კარგო, მე ძალიან ეწუხვარ, ნუ გამიწყრები!

— მე არ გიწყრები, მაგრამ მართლა სწუხარ, რომ თმა დამიწეწე?

— აბა შემომხედე, აბბი, როგორა ეწუხვარ,— თან პირზე ხელები მიიფარა და თავი ისე აჩვენა, თითქოს ტიროდა.

ქალი შეკრთა, რომ სიტყვებით მწუხარება მიაყენა, და სცდილობდა ხელებით სახე გაენთავისუფლებინა და თან ეუბნებოდა:

— ნუ სტირი, გეთაყვა, მე შენი წყენა არ მინდოდა!— თითებ შუა უცბად შეამჩნია, რომ სრულიადაც არა სტიროდა და შესძახა:

— საძაგელო, შენ არა სტირი, თავს იკატუნებ. მე დედასთან წავალ; შენ მხოლოდ დამცინი.

უნდოდა მუხლებიდან გამოსხლტომოდა, მაგრამ შეიმაგრა:

— არა, დარჩი, ძვირფასო, მე გთხოვ მაპატიო. რასაც მეტყვი, აგისრულებ სამაგიეროდ. აბა, რა გინდა?

შერიგება მოხდა, ბავშვს სახე ისევ ელიმებოდა, წვერულვაშს უწეწდა მხიარულად და დასაჯილდოვებლად „არაკის!“ თქმა მოსთხოვა.

მოულოდნელად...

უცბად მშობლებმა სუნთქვა შეაყენეს და ყური დაუგდეს! ფეხის ხმა! სულ ახლოს, ახლოს მოისმოდა, ხმაურობა ძრიელ-

დებოდა თან-და-თან, შემდეგ ყურწინ მოისმა და შორს მიჩუმდა.

მათ თავისუფლად ამოისუნთქეს; მერე მამამ ჰკითხა:

— არაკი? მხიარული?

— არა, მამავ, უკეთესია საშიში. ყოველთვის ხომ მხიარული არაკების თქმა არ შეიძლება. გამზრდელმა მითხრა, რომ ადამიანი ყოველთვის მხიარულად არ იმყოფებაო. მართლა, მამავ?

დედამ ამოიოხრა და ისევ თავ-ბრუ დამხვევი ფიქრები გულს შემოაწვა. მამამ მწუხარებით უთხრა:

— მართალია, ძვირფასო, ქვეყნად მწუხარებაც არსებობს, სამწუხაროა ეს, მაგრამ მართალია.

— მაშ მითხარი, მამავ, მწუხარებაზე არაკი, მხოლოდ ისეთი საშიში, რომ შიშისაგან მთლად ავძაგძაგდეთ; ისე, რომ მწუხარება თითქოს ჩვენ შეგვმოხვევოდეს. დედავ, ახლოს დაჯექი და ხელები დამიჭირე, რომ ორივესთვის არ შეიქნეს ძალიან საშიში. აბა, მამავ, დაიწყე!

— კარგი! სცხოვრობდა სამი პოლკოვნიკი...

— მე პოლკოვნიკებს ვიცნობ: შენც ხომ პოლკოვნიკი ხარ? აბა, მაშ გააგრძელე!

— შენ იცი, რომ ომში ყველაზე მეტად მორჩილება უნდა გახსოვდეს.

გაუგებარმა სიტყვებმა ბავშვი გააკვირვეს; თავი მაღლა აიღო და გაოცებით ჰკითხა:

— ეგ საჭმელია, მამავ?

მშობლებს უნებურად ღიმილი მოუვიდათ; მამამ უპასუხა:

— არა, სულ სხვას ნიშნავს: იმათ ბრძანება არ აასრულეს. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ მტრისთვის თავი ისე ეჩვენებინათ, თითქოს უნდა დაეცნენო, რომ შეძლება მიეცათ უპირველეს ძალისათვის უკან დაწევაზე; მაგრამ ისინი იქამდის გაიტაცნენ, მტერს მართლა დაეცნენ, აჯობეს და გააქციეს. მთავარ-მართებელი გაწყრა გაუგონლობაზე და, თუმცა, მართალია, ისინი აქო მამაცობაში, მაგრამ მაინც სამართალში მისცა.

— მთავარ-მართებელმა—კრომველმა, მამავ?

— ჰო.

— მინახავს, მამავ; ხშირად გამოივლიდა ხოლმე ჩვენ სახლის ახლოს, რომელიც ისე მეჩვენებოდა თითქოს ყოველთვის ვილაცაზედაც გაჯავრებული იყო და ყველას ეშინოდა... მხოლოდ მე არ მეშინიან ემისი: ყოველთვის ალერსიანად მიცქერის ხოლმე!

— ოჰ, ჩემო ტიკტიკავ. ყური დაუგდე არაკს. პოლკოვნიკები დაიჭირეს და ლონდონში გამოგზავნეს; აქ პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევით ისინი სახლში გაუშვეს თავისუფლად, თავიანთ ნათესავებთან გამოსამშვიდობებლად...

ისევ ფეხის ხმა; ყველა სმენად გადაიქცა; ხმა ახლოს მოისმა. ახალგაზრდა ქალი ქმარს მიეყრდნო, მას ძალ-ღონე ეცლებოდა.

— დღეს დილით მოვიდნენ ისინი ლონდონში.

ბავშვმა თვალები განივრად გააჭყიტა განცვიფრებული.

— როგორ, მამავ, არაკი არ არის, მართალია?

— ჰო, ძვირფასო!

— როგორ მიხარიან! უფრო კარგი! გააგრძელე. რა დაგემართა, დედავ, საყვარელო, სტირი?

— არაფერია, ძვირფასო, მე... საბრალო მშობლებზე ვფიქრობდი.

— ნუ სტირი, დედავ, ყველაფერი კარგად გათავდება. ყოველი არაკი კარგად თავდება. მიამბე მალე, როგორ მოხდა ყველაფერი და ნახავ, დედავ, რომ ისინი ისევ ბედნიერად დარჩებიან!

— მანამ სახლში გაუშვებდნენ, ისინი ციხეში წაიყვანეს.

— ჰო, ციხე ვიცი მე; აქედანა სჩანს. მერე, მამავ!

— ციხეში სამხედრო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა.

— მოკვლა, მამავ?

— ჰო.

— ფუ, საძაგელი ადამიანები! დედავ, შენ ისევა სტირი. ნუ სტირი, ყველაფერი კარგად გათავდება. მალე მიამბე, მამავ, შენ ძალიან აგვიანებ.

— მე თუმცა ვიცი, მაგრამ თან უნდა მოვიფიქრო.

— ნუ ფიქრობ, პირ-და-პირ მიამბე.

— კარგი,—სამი პოლკოვნიკი ამ ნაირად...

— შენ იცნობ იმათ?

— როგორა, კარგად...

სამივე პოლკოვნიკს სიკვდილით ჰქონდათ დასჯა გადაწყვეტილი. ყველა სწუხდა გარშემო ამ ამბით და თვით მსაჯულებიც კი წავიდნენ მთავარ-მართებელთან იმის ასახსნელად, რომ პოლკოვნიკებმა თავიანთ მოვალეობა აასრულეს და აპატიეთო, ან ყოველ შემთხვევაში ერთი დაიხვრიტოს სამის მაგივრადაო: მთავარ-მართებელი ამაზე არ დაეთანხმა. მართალია თავიანთი მოვალეობა აასრულეს, მაგრამ ამასთანავე უყურადღებოდ დასტოვეს თავის უფროსის ბრძანება და ამიტომ ესენი უნდა დაისაჯნენ სხვების გასაფრთხილებლადაო. დამნაშავეებს დაუძახა იმან და ჰკითხა, როგორც მოიქცევოდნენ იმის ადგილას. სამივემ უპასუხა, რომ თვითონაც იციან დაიმსახურეს სიკვდილით დასჯა გაუგონრობისათვის. მთავარ-მართებელს ვული მოულბა, ერთი წამით ჩაფიქრდა და უთხრა: „კენჭი ჰყარეთ: ერთი თქვენგანი მოკვდება, ორი ცოცხალი დარჩებაო“.

— მერე, მამავ, კენჭი იყარეს? რომელი უნდა მოკვდეს იმათში,—საწყალი!

— უარი უთხრეს ამაზე.

— რათა, მამავ?

— იმათ უთხრეს, რომ იგი, ვისაც კენჭი შეხვდება, უნდა ნება-ყოფილობით წავიდეს სასიკვდილოთ, ჰგავს, რომ იმათ ნებას აძლევენ თავის მკვლელობისას, მაგრამ რადგან სამნივე ქრისტიანები არიან, სახარება უკრძალავს თავის ნება-ყოფილობით სიცოცხლე-სიკვდილს. მზად არიან დაიხოცნენ, თუ სამსჯავროომ გადაუწყვიტა დასჯა.

— როგორ დასჯა?

— ეს ნიშნავს დახვრეტას!

ისევ ფეხის ხმა!

— ვგონებ ქარია? არა, მართლა ფეხის ხმაურობაა, დაფის ხმა და საყვირის ძახილი...

— კარები გააღეთ—კანონის სახელით!

— სალდათები უნდა იყვნენ, მე მიყვარს სალდათები! ნება მომეცი, შემოუშვა ისინი.

მუხლებიდან გადმოხტა, კარებთან მივიდა და ყურთამდის გამოაღო.

— შემოდით, შემოდით. მამავ, გრენადერები არიან! მე გრენადერებს ვიცნობ!

სალდათები ჯგუფად შემოვიდნენ და ერთ ხაზზე გამწკრივდნენ, ოფიცერმა სალამი მისცა, პოლკოვნიკმა უჩუმრად და გამოურკვევლად ასევე უპასუხა; მომაკვდავი ფერით ცოლი იმათ რიგში იდგა; ბავშვი გაოცებული შეჰყურებდა ყველას...

ერთი მოხვევნა კიდევ, გრძელი, სამუდამო და, როდესაც ცოლს და ბავშვს მოშორდა, პოლკოვნიკი ჯგუფის თავში ჩადგა და გასავალ კარებისაკენ გულადად გასწია. ბრძანების ხმა გამოისმა.

— წინ, ციხეში...

— ხედავ, დედავ, როგორ ყველაფერი კარგად გათავდა, აკი გეუბნებოდი! მაშ, მამა საწყალ პოლკოვნიკებთან წავიდა, გასანთავისუფლებლად.

— საბრალო ჩემო უცოდველო ბავშვო!—წაილაპარაკა საცოდავმა დედამ და თან გულში მიიკრა ბავშვი.

XI

მეორე დღეს საბრალო ქალი, ელდით შეწუხებული, ლოგინში ჩაწვა. ექიმები და მომვლელები იმის საწოლთან რიგრიგით იცვლებოდნენ; ოთახში აბბის არ უშვებდნენ და ბავშვებთან თამაშობაში ართობდნენ, ავადმყოფი რომ არ შეწუხებულიყო. ბავშვმა ტანისამოსი გამოიცვალა და ქუჩაში გამოვიდა. უცბად თავში გაუელვა, რომ მამა ციხეში არის და დედის ავადმყოფობისა არა იცის რა—უნდა შევატყობინოო.

მსაჯულები ერთი საათის შემდეგ კრომველთან მიიწვიეს. იგი შუა-გულ ოთახში იდგა, მოღუშული და გაქვავებული,

რომელიც ელოდა გამოლაპარაკებოდნენ. ერთმა მსაჯულთა-განმა უთხრა: „ჩვენ ბევრი ვთხოვეთ თანახმობაზე, მაგრამ ისინი მტკნარ უარს ამბობენ, კენჭის ყრა არ უნდათ. სამივენი მზად არიან ერთად დაიხოცნენ.“

კრომველის სახე უფრო მოიღუშა, იგი დიდ-ხანს დადუმდა.

— კარგი,—დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა,—მაშ იმათ მაგივრად სხვამ ჰყაროს კენჭი. გაგზავნეთ იმათ მოსაყვანად და იმ ოთახში დააყენეთ პირ-უკუღმა, ისე, რომ პირი კედლისკენა ჰქონდეთ მიქცეული და ხელები უკან. როდესაც მოვლენ ისინი, შემატყობინეთ.

როდესაც მარტოდ დარჩა, მორიგეს დაუძახა და უბრძანა, რომ პირველად ქუჩაში რომელი ბავშვიც-კი შეხვდებოდა მოეყვანა.

ვერც კი მოასწრო გარედ გამოსვლა, რომ წინ აბბი შეხვდა და ოთახში მიჰგვარა. ბავშვი მიუახლოვდა, კრომველი იცნო, რომლის სახელის გაგონებაზე თრთოდა არამცთუ უბრალო მომაკვდავი, თვით გამოჩენილი სახელმწიფო პირიც კი, და მოურიდებლივ აუცოცდა კალთაზე და უთხრა:

— მე ვიცი, რომ თქვენ კრომველი ხართ, მე წინადაც მინახეხართ, როდესაც ჩვენი სახლის ახლოს გამოივლიდით ხოლმე. ყველას თქვენი ეშინოდა, მხოლოდ მე არ მეშინოდა: გაჯავრებული ჩემთვის თავის-დღეში არ შემოგიხედნიათ. გახსოვთ? მე გახსოვართ? მე მაშინ ისევ წითელი პალტო მეცვა და წინ ლურჯი ყაითანი მეკერა. გახსოვთ?

მოღუშულ კრომველს ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— მე ვნანობ, ბავშვო, მრცხვენიან, მაგრამ...

ბავშვმა აღარ დაათავებინა.

— ჰგავს, თქვენ დაგვიწყებივართ? თქვენ კი მე არ დამავიწყდით.

— მრცხვენიან, სამაგიეროდ ეხლა თავის დღეში აღარ დამავიწყდები, გაძლევ სიტყვას, მაპატიებ? მეგობრები ვიქნებით. ჩემ ქალს მაგონებ; ის უკვე აღარ არის, ისიც ეგრე ნაზი

ალერსიანი იყო, როგორც შენ... იმასაც შენსაებ არავისი ეშინოდა, ყველასთან მიდიოდა და ყველას აბედნიერებდა თავის ალერსით. ხშირათ კალთაზე მიჯდა ხოლმე, როგორც ეხლა შენ, და, შენსაებ, გულიდან დარდებს და მწუხარებას მიფანტავდა. ჩვენ სულ ერთად ვიყავით ხოლმე და ერთად ვთამაშობდით, მას აქეთ დიდი ხანია, კარგა დიდი ხანი.

— თქვენ ის ძალიან გიყვარდათ, ძალიან?

— რასაკვირველია, რასაც მიბრძანებდა,—ვუგონებდი ხოლმე.

— რა კეთილი ხართ, მაშ მაკოცეთ!

— სიმოვნებით, მზათა ვარ. ეს კოცნა შენ, ეს კი ჩემ პატარა აწ განსვენებულს არსებას. შენ შეგიძლიან მიბრძანო და მეც აგისრულებ ხოლმე.

ბავშვმა სიმხიარულით ტაში შემოჰკრა იმ ფიქრით, რომ ასეთი ნება მისცეს. ამ დროს მწყობრად კარებიდან ფეხის ხმა მოისმა.

— სალდათები, სალდათები! მე მინდა ისინი ენახო.

— ეხლავე, პატარა მოიცადე. დაგავალებ რასმე.

კრომველმა სამი პატარა სანთლის ბურთი ამოიღო: ორი თეთრი, ერთი წითელი, ამ უკანასკნელს უნდა სიკვდილი მიეყენებინა იმისთვის, ვისაც იგი შეხვდებოდა.

— რა კარგი ბურთებია! ჩემთვის არის? წითელიც?

— არა, კარგო! სხვებისთვის არის. აბა შეიხედე მეორე ოთახში, იქ სამ კაცსა ნახავ პირ-მიქცეულებს კედლისკენ, რომლებსაც ხელები უკან აქვთ გამოშვერილი. მიდი და ყველას თითო-თითოდ ჩაუდე ხელში, შემდეგ ჩემთან მოდი.

აბბი სწრაფად მოეფარა კარების ზღუდეს; კრომველი ისევ მარტოდ დარჩა.

— უეჭველია, თვით ღმერთმა მოომცა ასეთი აზრი,—გაიფიქრა იმან,— ეხლა დარწმუნებული ვარ, უფრო ღირსეულები სიკვდილს გადარჩებიან.

როდესაც მეორე ოთახში ბავშვი გავიდა, ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა სალდათებს და იქვე კედელთან მდგომ სამ არსებას. უცბად სახე გაუბრწყინდა და თან წაილაპარაკა:

— ოჰო, ამათგანი ერთი მამაცყოფილა—კიცანი. ყველაზე ლამაზ ბურთს ამას მივცემ!

წაეპარა მხიარულად ახლოს და ყველას სათითაოდ ჩაუდო ხელში, შემდეგ მაცდური სახე ახლოს მიუახლოვა.

— მამავ, მამავ, აბა ნახე, რა გაქვს! რა მოგეცი!

წითელ ბურთს დახედა და მუხლებში ჩაიკეცა; თან ბავშვს იკრავდა, რომელიც ეხლა იმის სულთა-მხუთავად გადაქცეულიყო. სალდათები, ოფიცრები, ვანთავისუფლებული ტყვეები, ერთ წამს გაქვავებულები იყვნენ მოულოდნელ ტრაგიკულ შემთხვევით, ერთი წამიც და ყველა მათგანი ტიროდა გულ-ამომჯდარი, რომელთაც თავიანთ ცრემლებისა არა რცხვენოდათ. რამდენმამე წამმა გაიარა ასე; ბოლოს მორიგი ოფიცერი მივიდა პოლკოვნიკთან ახლოს და მხარზე ხელის შეხებით უთხრა.

— თუმცა ძალიან მიმძიმს, მაგრამ ჩემი მოვალეობა მიბრძანებს...

— რას გიბრძანებს?—ჰკითხა ბავშვმა.

— მამა შენის წაყვანას...

— წაყვანა? რათა?

— რათა? წავიყვან სხვა ციხის კუთხეში.

— არა, არ შეიძლება. დედა ჩემი ავად არის, მამა უნდა ჩემთან წამოვიდეს სახლში.—მოჰხვია მამას კისერზე ხელები: —წავიდეთ, მამავ.

— საცოდავო, ბავშვო, მე არ შემიძლიან შენთან წამოვიდე, ამათთან წავალ.

ბავშვი იატაკზე გადმოხტა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა გაკვირვებით, მერე მივიდა ოფიცერთან და შესძახა ფეხების დაბრაგუნებით:—მე არ გითხარით, რომ დედა ავად არის მეთქი, ჩვენ უნდა ჩქარა წავიდეთ სახლში!

— თუ შეიძლება მამი-შენის გაშვება, რასაც უნდა გადავიხდი, მაგრამ მე არ შემიძლიან. წინ—წამოიყვანეთ!

აბბი ელვასაებრ გავარდა ოთახიდან, რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა, რომელსაც ხელ-ჩაჭიდული კრომველი მოჰყავდა. მის შემოსვლაზე დარაჯები შეჩერდნენ; სალდათებმა სული განაბეს.

— შეაჩერეთ! დედა აკად არის და მამა უნდა იმასთან წავიყვანო; მე ამათ უთხარი, მაგრამ არ გამიგონეს და უნდათ, რომ წაიყვანონ.

კრომველი გაოცებული დარჩა.

— როგორ „მამა!“, მამაა შენი?

— დიახ, რასაკვირველია, განა სხვას ვის მივცემდი წითელ ბურთს, თუ არ მამას?

— ღმერთო!—ამოიოხრა კრომველმა,—მინდოდა ყველაფერი კარგად მომეწყო, მაგრამ საშინელი ბოროტება მოხდა!

აბბიმ მოთმინება დაჰკარგა.

— შენ შეგიძლიან უთხრა, რომ გაუშვან,— ეუბნებოდა ტირილით.—უთხარი იმათ: შენ არ მითხარი, რომ ყველაფერს გაგიგონებ ხოლმეო; მე ეხლა გთხოვ და შენ კი არ გინდა ამისრულო თხოვნა.

მხიარულმა ლიმილმა გადაურბინა კრომველს მოღუშულ შუბლზე; ბავშვს მხარზე ხელი დაადო და წარმოსთქვა:—მადლობა ღმერთს! თავის დროზე მოვასწარ! ბავშვო, შენ მართალი ხარ: მე დაგპირდი გაგიგონო ხოლმე, და ჩემი მოვალეობაა აგისრულო დანაპირი. პოლკოვნიკო, თქვენ თავისუფალი ხართ, წაიყვანეთ თქვენი ბავშვი!

ალ. სალთაშვილი.

*
* *

(პუშკინიდან

მე ქუჩა-ქუჩა როცა დავდიგარ,
როცა საყდარში მე ვიწერ პირჯვარს,
როცა უდარდელ ემარწყიდთ შორს ვზიკარ—
ვერ-რით ვიშორებ მე ბნელიდგან ჯავრს!

—

ვფიქრობ, რომ მიდის ჩვენი დროება:
სამარისაკენ მიგისწრაფებით
და როცა ითხოვს მდგომარეობა,
ჩვენ ვიხოცებით და ეკელა ვკვდებით!...

—

როდესაც მუხას ვუცქერ მე ძლიერს.
ბუდი მდელვარე აღმიშფოთდება!
ფიქრობ: „მეც ეს ხე, როგორც წინაპრებს,
ისე დამმარხავს, რომ არ გასმება!“

—

როდესაც მე ბავშს ვალერსები,
მწარე ცრემლებით მეკსება თვალი,
ვამბობ: „ხომ ხედავ, მალე ვბერდები,
შენ-კი ბეკუოვნის ან-მომავალი!..“

—

ოკეანეკ დიდ, ოფელი წელი
ჩემგან ტანჯვითა გამოვლილია:
მე მწარე სიკვდილს მათ შორის ველი—
ბუდი დოდინით მოწამლულია!

—

მაგრამ... სად გპოვებ მე განსვენებას:
ომში, თუ გზაში, თუ ზღვის ტალღებში?
ან და, მოგონებენ ღმერთი კვდრებას,
გპოვებ მე სიკვდილს სამშობლოს მთებში?...

—

სულ ერთი არის, კიცი, გვამისთვის
სადაც არ იყოს: ის კვდარს გრძნობს,—
მაგრამ მაინც მსურს ჩემი თავისთვის
მოგვკვდე, სადაც მზე ჩემს მამულს ათბობს!...

კონ. ნიკოლაძე

1902 წ.

ცოდვა

(სცენები)

მომქმედნი პირნი

ელისაბედ კალალოვისა — 70 წლისა—ქვრივი
ივან პეტროვიჩ კალალოვი—მისი 30 წლის, ნასწავლი შვილი
მაშა—ახალგაზდა ქალი—მისი საყვარელი
ეკატერინე დაზათოვისა—50 წლისა,—ქვრივი
ლიზა—მისი 20 წლის, ლამაზი ქალი
ვასო კარბატოვი—27 წლისა, ლამაზი ვაჟი—ჩინოვნიკი—ლაზათოვიანთ დგმური.
დარო—მაპანკალი.

(ფარდა აიხდება დაზათოვიანთ სახლში. სცენა წარმოადგენს სუფთა, ბატარა ოთახს, დარიბად მოწყობილს: ზოდი დაფენილია ფარდაგით. მარჯვნივ და მარცხნივ—კუშეტკები ოაგის მუთაქებით, შუა კედელთან—სტოლი, რომელიც დაფენილია კლეონკით, ცოტა მოშორებით—ძველებური კამოდი; ზედ: ლამპა, ეუთი, სარკე... ორიოდე ნადის სკამები და რამდენიმე სურათები ასრულებენ სცენის მორთულობასა. სცენას აქვს ორი ფანჯარა და ორი კარები. ფანჯრებზე—კისეიის სუფთა ფარდები. მარჯვენა კარები გადის დერეფანში, მარცხენა—ვასო კა-

რბატოგის ოთახში. სცენაზე არიან გასო კარბატოგი და ლიზა.

გამოსვლა პირველი

გასო (ბაბირასის წვეთ). ლიზა, მაგეებს თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში როგორც მე ვტყუი, ისე შენა.

ლიზა. მაგას კი მართალს ამბობ: რათ ვიყავ ეგრე ტუტუცი, ეგრე თვალებ-ახვეული, რომ შენისთანა კაცს დავუჯერე და ვენდე! ოხ, წყეულიმც იყოს ის საათი და დღე ის წიგნები, ის სულელური რომანები, რომლის კითხვამაც მე ისე გადამრია, რომ შავი თეთრად მეჩვენებოდა, ნაღველა—შაქრათ, ჭინჭარი—ვადათ, გეელი—მტრედათ და შენისთანა ვაჟ-ბატონი—რაინდათ! „რაინდი!“ ხა, ხა, ხა!.. (ეჯავრებს გასოს). ლიზა, მაშ ასე და ისე მომივიდეს თუ მე შენ გიმტყუნო, თუ მე შენზე ჯვარი არ დავიწერო!..

გასო. აბა შენ თითონ იფიქრე, ლიზა: შემიძლიან მე ცოლის შერთვა, როცა სულ რაღაც ექვსი თუ შვიდი თუმანი მაქვს ჯამაგირი? განა ჩემთვის სატანჯველი არ იქნება, რომ საყვარელ ცოლს აკლდეს საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი... ცარიელი სიყვარულით ხოვერ იცხოვრებს ადამიანი?

ლიზა. რატო მაგეებს წინათ არ მეუბნებოდი, სანამ გამაუბედურებდი? ამ ექვსი თვის წინად შენ სულ სხვანაირად ლაპარაკობდი! შენ ხატსა და ჯვარს მეფიცებოდი: „ჯამაგირს მომიმატებენ თუ არა, იმ-წამვე ჯვარს დაგიწერ შენზეო... ჯერ კი არა უთხრა-რა დედა-შენსაო“!.. (თავის ქნევით) ვიცი, ახლა კი ვიცი, სადაც ჰფიქრობდი! ყველა ბოროტს ხომ ჭკუაც არ აკლია!

ვასო (მოუთმენლად). ქალო, ამაოა ამდენი ლაპარაკი; მე შენზე ჯვარს ვერ დავიწერ, ვერა!

ლიზა (ამაყათ). მერე ვინ გეხვეწება?.. მუხლ-მოდრეკითაც რომ მეევედრო, განა მე კი დავიწერ შენზე ჯვარსა?!. მას შემდეგ, რაც კარგა გაგიცანი და გავიგე, რა პატიოსანი სულიცა ბრძანდები, როგორც ჭირი, ისე შემძულდი! ისე ამზიზღდი, რო... რო... რო... ვერ აგიწერ! მეორეც ესა, მე ეხლა გალალოვი მიყვარს...

ვასო (მხიარულად). გიყვარს და კეთილი! გალალოვი შეირთე. მაგაზე კაი საქმროს შენ თავის დღეში ვერ იშოვნი. (იქით) მეც რა კაი საქმე მომივა! გალალოვი მდიდარი კაცია... როგორც იმის ცოლის ძველ ნაცნობს—გაჭირვებაში ხელს გაძიმართამს...

ლიზა (მწარეთ). გალალოვი შევირთო! განა შემიძლიან იმის ცოლი გავხდე, როდესაც შენ მიყვარდი, შენ გეკუთნოდი?!.

ვასო რატომ? ის ნასწავლი კაცია—გაპატიებს...

ლიზა. „მაპატიებს!“ მერე სირცხვილი, მერე სვინდისი?! რა პირით უნდა უცქირო მე იმასა?!

ვასო. ეხ! შენ ხომ პირველი და უკანასკნელი არ იქნები, მაგისთანა საქმე ბევრჯელ მოხდება ხოლმე...

ლიზა. მე თავის დღეში მაგ უსვინდისობას ვერ ჩავიდენ, რომ პატიოსანი კაცი მოვატყუო!

ვასო. ეხ! თავი დაანებე მაგ „ცერემონიებს“ და!.. (ბაუზა) მოდი ახლა შენ მომავალზე ვილაპარაკოთ...

ლიზა (ნადვ

ანათ). „მომავალზე!“ ჩემთვინ მომავალი აღარ არი, მე ცოცხალივე დავიმარხე!.. ო... ოხ! დედა არ მეცოდებოდეს!.. განა მე კიდევ საცოცხლებელი ვარ?!.

ვასო (იქით). რეებს ლაპარაკობს!., ეჰ მართლა თავი არ მოიკლას და ხათაბალაში არ გამხვიოს!.. (ლიზას) აბა რას ბავშვობ, ლიზა, რა დროს შენი სიკვდილია, შენ კიდეე ბევრი ბედნიერება მოგელის...

ლიზა (ტრემლ-მორეული). ბედნიერებას სამუდამოთ გამოვესალმე... და... (ტირის).

ვასო (მოუთმენლათ). კიდევ!.. (წამოდგება) მომბეზრდა ეს კომედია! (აიღებ-ჩაიღებს და მერე საზოგადოებას) არა, თუ სიყვარულია, ისევ ქმრიანი ქალი უნდა შეიყვაროს კაცმა! „ალთქმა რათ მომე ჯვრის წერისაო!“ (მხრების წევით) რა ვქნა, რომ ალთქმა მოგე! განა მე მაშინ ვგრძნობდი, რას კი ვჩადიოდი!.. ჰმ! რა სულელი მნახა! ჯვარი დავიწერო ლარიბ ქალზე, როცა ათას-თუმნიანი შემიძლიან შევირთო, სამუდამოთ თავი გავიუბედურო, როცა კეთილი ცხოვრება მომელის!.. „რათ გამაუბედურეო!“ (მხრების წევით) ნუ გაუბედურდებოდი რა! ყველას თავის ჭკუა უნდა ჰქონდეს! (კარედან ისმის ეკატერინეს ხმა: <ლიზა, შვილო, სბიჭკა მოამზადე, კუხნაში ტეტხლი უნდა გავაზინო). ვასო (ფერ-შეცვლილი, ხმა დაბალ) ლიზა, დედა-შენი მოსულა... ცრემლები მოიწმინდე!.. (იქით) კიდევ კარგი, რომ ამი დედამ არაფერი იცის, თორემ, შენი მტერი, ძალაზე დამწერენ ჯვარსა! (შერბის თავის ოთახში და იქიდან ეძახის ლიზას) ჩქარა კარები ჩაჰკეტე!..

ლიზა (დაბინგით). შეგეშინდა?.. (ჩაჭკეტამს კარებს, მერე სტოლიდან სბიჭკას აიღებს და დედას გაუტანს).

გამოსვლა მეოთხე

ლიზა მარტო.

ლიზა. (მოდრუბლული ზის და დრმა ფიქრშია გატაცებული, მერე წამოდგება ხელების მტვრევით). ოხ! განა ჩემზე უბედური იპოვება, ან ყოფილა ვინმე?!. გალალოვი მიყვარს, იმასაც ძიენ უყვარვარ, ცოლათ მთხოულობს, დედაც დღე და ღამე სულ იმას ჩამჩიჩინებს, რომ გალალოვი შევირთო, მაგრამ... მაგრამ უარი

უნდა უთხრა... განა ამაზე სატანჯველი კიდევ იქნება რამე?!. რათა, რისთვის, ესეთი მძიმე მსხვერპლი!.. ამიტომ, რომ ყმაწვილობის გამოუცდელობით აი იმისთანა (**ვასლა ოთახისკენ ხელს აშვერს**) კაცი მიყვარდა, ვენდე და ეხლა უნდა ამითი მოვინანიო ჩემი ცოდვა!.. ოხ, ღმერთო, ღმერთო! რა ადრე მომისპე სიცოცხლე!.. (**ტრემდებს იწმენდს**).

გამოსვლა მესამე

კატერინე და ლიზა.

კატერინე (**თავშალს იხსნის და ჩაეცვამს**): გაიგე, შვილო, რომ ჩვენი მდგომარეობა გადადის? ეს არი ეხლა კუხნაში იყო, ოთახის ქირა ჩამაბარა და მითხრა: მე სალამოს პოეზდით დედა-ჩემთან მივდივარ, კაცს გამოვგზავნი და ჩემი ბარგი გაგზავნეო...

ლიზა (**მოუთმენლად**). ახ, საცა უნდა წავიდეს!..

კატერინე (**გაოცებით**). რა იყო, შვილო, რა ძიენ გეწყინა იმი წასვლა?

ლიზა. მაშ არ მეწყინოს, რომ ოთახი გასაქირავებელი გვრჩება, თვეში თუმანი გვაკლდება?.. (**იქით**) ოხ! როდემდინ უნდა ვითამაშო ეს კომედია!

კატერინე (**ირხვინით**). თვალი ოთახსაც დაუდგება და ი თუმანსაცა! ე ბაგაზე გულს როგორ გავიფუჭებ! შენ კარგათ იყავ, ღმერთი მოწყალეა, როგორც იქნება და იოლათ წავალთ, სანამ ახალი მდგომარეობა და! ე პური და ყველი კი ნუ მომაკლოს ღმერთმა, „ბლომანჭეებ“ დაჩვეულიც არა ვართ! აი ფერადფერად საჭმელებს მაშინა ვჭამ, როცა შენ გალალოვს მიგათხოვებ!

ლიზა (**შეწუხებული ხმით**). დედა, ნუ მიხსენებ გალალოვის

ბიბლიოთეკა

სახელსა, ნუ!.. (იქით) ამან რა იცის, თუ ჩემ გულში რა საშინელი ცეცხლი ტრიალებს!

ეკატერინე. რატომ, გენაცვალე, რატომ? მაგისთანა ბედი ერთსა და ორსაც არ მიადგება, დიახ!.. კაცი ნასწავლია, ხუთმეტ-თექვსმეტი თუმანი ჯერ მარტო ჯამაგარი აქვს თვეში! ახლა რაც ისე შეძლებაა, ის კიდევ სხვაა: ორ-ოლი სამ-სამ ეტაჟიანი სახლები, პატიოსანი ოჯახი და სხვა რალა გინდა, გენაცვალოს დედა?

ლიზა. ტყუილათ სცდილობ, დედა! მე თავის დღეში არ გავთხოვდები, არა!

ეკატერინე. როგორ თუ „არ გათხოვდები?“ მაშ ცას ხომ არ შეაბერდები! მაშ სულ ეგრე გასათხოვარი უნდა იჯდე?! მაშ ნე რომ მოვკვდე, პატრონი არ უნდა გყავდეს, შვილო... ო?

ლიზა (ეხვევა დედას). არა, დედა, შენ ჩემზე ადრე ვერ მოკვდები, ვერა! თუ შენ მოკვდები და მეც თან წამოგყვები!

ეკატერინე. შენ ჯვარი გეწეროს, შვილო‘ რა დროს შენი სიკვდილია! განა მშობლები რომ იხოცებიან, შვილებიც თან მიზდევენ?

ლიზა (ტირიდის ხმით). არა, დედა, არა, თუ შენ აღარ იქნები, მე ერთ-წუთსაც არ ვიცოცხლებ თავსა, არა!

ეკატერინე. მაგას ნუ იტყვი, შვილო, სიცოცხლე ტკბილია! აი რო გაგათხოვებ...

ლიზა. დედა, რამდენჯერ უნდა გითხრა, გათხოვებას ნუ მიხსენებ, ნუ!

ეკატერინე. რის იმედითა ხარ, გენაცვალოს დედა, რომ გათხოვება გულიდან ამოგიღია? ემ ერთი ქოხების მეტი ხომ აღარა გვაბადია-რა; მაშ საბოლოოთ არ უნდა იფიქრო, შვილო?

ლიზა. რა „საბოლოოთ“ დედა: როგორც აქამდინ გვიცხოვრია, კიდევაც ისე ვიცხოვროთ...

ეკატერინე (**ნადგდიანთ და თავის ქნევით**). ვაი ამ ცხოვრებასა! გენა ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა, შვილო! წელებზე ფეხს ვიდგამთ და დღი-დღიურად ისე გამოვდივართ! ბარე კეთილი ცხოვრებას დაჩვეული იყო დედა-შენი, სანამ ცხონებული მამა-შენი ცოცხალი იყო, მაგრამ ეხ! (**ამოიოხრებს და თავის ქნევით**) ე მაგაზე იტყვიან: „ერთი დრო არავის შერჩებაო!“ (**ჩაფიქრდება და მერე**) იჰ, ჯანაბას! მე ჩემი სიცოცხლე მომიჭამია! ოღონც კი შენ დაგაბინაო, შვილო, და შენი დარდი მოვიშორო თავიდანა, თორე მე როგორც იქნება და ერთ ლუკმა პურს შევჭამ!.. (**პაუზა**) რათა ხარ, შვილო, ეგრე დაღონებული?

ლიზა (**გამოფხიზლდება**). მე... ე? არა, დედა.

ეკატერინე. როგორ „არა დედა!“ ხან მხიარული ხარ, ხან დაღონებული! მეტადრე დღესა: შენი სახე კი ალარ გაძევს და!

ლიზა (**მოწყენილი**). არ შემიძლიან, ცოტა თავი მტკივა და...

ეკატერინე (**წამოდგება**). არ შეგიძლიან და რას გაჩუმებულხარ! რატომ არ ამბობ, რომ შაბ-ტილო დაგადო! აი ეხლავ...

ლიზა (**ძალზე დასდგამს**). არ მინდა, დედა, შაბ-ტილო, არა, არა! (**მოუგვა ნერგნული ტირილი**).

ეკატერინე (**შეწუხებული ხმით**). არ გინდა და რაღა გატირებს, შვილო?! (**შეშინებული დაფაცურდება**) რა ვქნა, რა იყო, რა დაგემართა?!

ლიზა (**ტირილით**). დედა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე...

ეკატერინე (**ტრემლებს სწმენდს ქალს**). შენი ჭირიც მე და შენი კვნესაცა! რა იყო, გენაცვალე? იქნება შეგეშინდა რამეზე? წავიდე, ფოთოლაანთ საბედა დაუძახო, შეგილოცოს?

ლიზა (**მოუთმენლათ**). არა, დედა, არა! ერთი უნდა გითხრა, ერთი რამე!..

ეკატერინე. სთქვი, გენაცვალე, სთქვი! აბა რა გაქვს სათქმელი?

ლიზა (ფიქრობს და მერე). არაფერი, დედა.

ეკატერინე (გაოცებით). როგორ „არაფერი“, შვილო, ეხლა სთქვი: „უნდა გითხრა რამეო?“

ლიზა. არაფერი, არა! (ჩუმად ფიქრობს და მერე უცბათ). დედა, მე რომ მოვკვდე, რას იზამ, ძიენ იდარდებ?

ეკატერინე (შეშინებული წამოხტება და ხიარ-ჯვარს იწერს). ღმერთო ნუ უსმენ, ღმერთო ნუ უსმენ! შვილო! რეებს ლაპარაკობ, რა ეშმაკის ცხენზე შემჯდარხარ?!

ლიზა (დიმილით თან ცრემლები გადმოსდის). გეხუმრები, დედა, გეხუმრები!

ეკატერინე (ცოტა დამშვიდდება). კაი ხუმრობაა, თქვენმა მზემ! უწინ დედა-შენი ჩაწვეს მიწაში, რომ იმან შენი სიკვდილი არა ნახოს! ცისა და დედა-მიწის შუა შენ მეტი ვინ მაბადია, შვილო, განა მაგისთანა ხუმრობა შეიძლება? (დაჯდება კუშეტკაზე და ცრემლებს იწმენდს). ჩემ გაწვრილებულ გულს რაღა გულის გახეთქა უნდა!

ლიზა (ეხვევა დედასა). კარგი, დედა, ნუ სტირი, შენი ჭირიმე, ალარ გაგაჯავრებ! (იქით). საწყალი დედა! ჯერ რა იცის!

ეკატერინე. გაჯავრება მეტი გინდა, შვილო: იმისთანა ხელმწიფე კაცი გთხოულობს და უარს იძახი.

ლიზა: დედა, ეგრე ძიენ რათ გინდა ჩემი გათხოვება, განა მოგწყინდი?

ეკატერინე. რა ბავშვივით ლაპარაკობ, შვილო; რომელ დედას არ უნდა ქალის ბედნიერება?

ლიზა. „ბედნიერება!..“ ახლა რა იცი, რომ მე გალალოვთან ბედნიერი ვიქნები?

ეკატერინე. რატომ არ იქნები, შვილო, ბედნიერი, ე შეძლება კარგი აქვს ე...

ლიზა (დაარდვევს). განა ცარიელ შეძლებაზეა ბედნიერება?

ეკატერინე. ვაუსაც რა უჭირს: კაცი ნასწავლია, კაი ხასიათე-

ბისა... ერთი ავაზაკი, ერთი მსმელი და ქალალდის მოთამაშე არ არი... ასე გასინჯე, პაპიროზსაც კი არა სწევს თურმე... (**ლიზა დრმა ფიქრშია წასული, ეკატერინე ცოტა ხან დაჩუმდება** და მერე). ლიზა, შვილო, შენ რომ ჩემ ჭკუას დაუჯერო და გალალოეს მისთხოვდე, ჩვენ ბედს ძალლი არ დაჰყეფს!

ლიზა. დედა, როგორ მივთხოვდე, როცა მე ის არ მიყვარს? (**იქით**) ოუმცა გაგიტეხით მიყვარს, მაგრამ სხვა რა მიზეზი უნდა მოვიტანო!

ეკატერინე. სიყვარული რას მიქვიან, შვილო, მე ისე დამნიშნეს საწყალ ცხონებულ მამა შენზე, რომ ჯვრის წერამდინ იმის სახე არც კი მენახა, მაგრამ ერთმანეთი კი არა გვძულებია და თორმეტი წელიწადი ისე ტკბილად გავატარეთ, რომ „წინ ზიხარ, უკან დაჯექ“-ო არ გვითქვამს ერთმანერთისთვინ. სიყვარული თან-დათან მოვა, შვილო... (**ხანგრძლივი სიჩუმე. სურათი: ლიზა კაშტერებული ზის, ეკატერინე ნადგდიანად უცქერის ქალსა**).

ეკატერინე. ხა, გენაცვალოს დედა, რას იტყვი? დღეს დარო პასუხისთვის გადმოვა.

ლიზა (**გამოფხიზდება**). რაო?.. რას მეუბნები, დედა?

ეკატერინე (**კოცნებით**). რა ვქნა, რა გემართება, რამ გამოგატარანა?! მე გელაპარაკები და შენ ყურს არც კი მიგდებ! დღეს დარო პასუხისთვის გადმოვა, რა უთხრა?

ლიზა (**უგრძნობიდან**). რაც გინდა, ის უთხარი!

ეკატერინე. რაც მინდა... ა? თუ ჩემ ნებაზე მივარდება, გაგიხარიან, მე უარს არ შეუთვლი!.. (**ცოტა ხან დაჩუმდება და მერე**) ლიზა, შვილო, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, თუ ერთი ბეწვათი მაინც გიყვარვარ, თუ გინდა, რომ უბედურმა დედა-შენმაც ნახოს რამე ბედნიერება ამ წუთი-სოფელში, ამისრულე ეს ერთი თხოვნა, ეს ერთი ნატვრა და მისთხოვდი გალალო-

ვსა! განა მაგისთანა ბედი კიდევ მოგვადგება კარსა? ან რა მიზეზით უნდა შეუთვალო უარი, როცა მდიდარი, ნასწავლი კაცი, ათას-თუმნების ღირსი გთხოულობს შენ, ცარიელ-ტარიელ ქალსა! ცარიელი სილამაზისა და სწავლის მეტი ხომ არა გაქვს-რა, შვილო! სილამაზე, სწავლა და კაი ხასიათები! ჩემი შვილი ხარ, პირში არ უნდა გაქო, მაგრამ რაც მართალია, მართალია!.. (**ბაუზა**) თუ მაგ ნატვრას ამისრულებ, შვილო, როგორ გავმხიარულდები, როგორ ერთი-ორათ ვიქცევი; ოცი წლის სიცოცხლე მომემატება რაღა? რას ამბობ, შენ რომ გალალოვის ცოლი გამიხდე—ყეინს სალამს არ მივცემ, შვილო!.. (**კარედან ისმის ფეხის ხმა**) ვიღაც არის!.. ალბათ მუშაა ბარგის წასაღებად! (**კადის**).

გამოსვლა მეოთხე

დიზა მარტო.

დიზა (**დიდ-ხანს ჩუმად არის, მერე თავზე ხელს წაიგლებს და**)- ახ, რა ვქნა, რა ვქნა! როგორ მოვიქცე?.. დედამ რომ იცოდეს, ნუ თუ კიდევ მირჩევს გათხოვებასა?.. (**ჩაფიქრდება და მერე**) უნდა უთხრა, უნდა სუყველაფერი უთხრა დედასა... მაგრამ როგორ უთხრა, როგორ?! დედა თავს აღარ იცოცხლებს, დედა ვერ აიტანს მაგ სირცხვილს! მე ვიქნები დედის მკვლელი მე, მე!.. (**ტირის, მერე ცრემლებს მოიწმენდს და**) გალალოვს რომ გაუტყდე და უამბო ჩემი ცოდვა, ნუ თუ არ მაპატიებს?.. ის ნასწავლი, პატიოსანი კაცია, ძიენ უყვარვარ... მაგრამ სირცხვილი, სირცხვილი?!. რა პირით უნდა ვაღვიარო ჩემი ცოდვა, ისიც კაცთან!.. (**ხელების მტვრევით**) ოხ, ღმერთო, ღმერთო!..

გამოსვლა მეხუთე

ლიზა და დარო

დარო (**კარებშიგე**). ლიზას გაუმარჯოს, ლიზასა! (**ხელს ართმევს**) „ზდრასტი!..“ (**ტალმას იხსნის**) ასეთი ბედი გეწია, ასეთი, რომ სიზმარშიაც არ გენახოს! შენ ერთი ცხარისა გადამაკვრევინე, ყელი ჩავისველო, დალალული ვარ (**დაჯდება კუშეტკაზე**).

ლიზა. „ოტკა?..„ ეხლავე. (**კედლის შკაფიდან გამოიღებს: ჭიქასა, ბურსა, შუშით ოტკასა, სტაქანსა და თეფშით წინ დაუდგამს**). მიირთვით, დარო (**სტაქანზე ოტკას დასასხამს და დოლავს**): ღმერთმა ქალობით გახაროს, შვილო! რაც გულში ნატვრა გქონდეს, ღმერთმა გისმინოს, შვილო! ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ შენა და გალალოვი, ერთი ვაჟი მოგცეთ და ერთი ქალი!

ლიზა (**გაწითდება და თავს ჩადუნავს**). ვინ მოგახსენათ, რომ მე გალალოვეს ვირთამ?

დარო (**ხელის ქნევით**). ი...იჰ! ახლა პრანჭა-გრეხიობას კი ნუ მოჰყვები და! (**ოტკას გადაჭერავს და სტაქანს დაუბერქვევს**) ესე მტერი დაგეცალოს! შენამც გაგიხარიან!

ლიზა. კიდევ მიირთვით.. (**აბერებს მეორედ დასხმას**).

დარო (**ხელებს გაატაკანებს**). არა, გეთაყვანე, აღარ დამისხა ქა! რუსის სალდათი ხომ არა ვარ! გინდა კიბიდან ჩავიჩეხო? ჩემი „პორცია“ ერთი სტაქანია! (**ეგელსა და ბურსა სჯამს**) ასეთი საქრმო აგიჩინე, ასეთი, რომ დედაშენმა ოქროს ლანგარზე უნდა დაგსვას და ისე მიგართვას! შენ რატო ეგრე მოწყენილი ხარ, ხა..ა? არ გიხარიან თუ როგორ არი?

ლიზა (**ნადვლიანად**). რა უნდა მიხაროდეს?

დარო. როგორ თუ „რა უნდა გიხაროდეს!“ იმისთანა მდიდარი, ნასწავლი კაცი ვთხოულობს და მაშ ცას კი არ უნდა ეწეოდე! ბაზმანაანთ ქალები ვარაყივითა სკდებიან: „ჩვენ, ხუთას-ხუთას თუმნიანები კი არ გვითხოვაო და“...

ლიზა. კიდევაც ისინი ითხოვოს, მე არ ვეცილები.

დარო. დიახ! ახლა ზოგი გალალოვსაცა ჰკითხე! „იმისთანა მაიმუნები უნდა შევირთოო!“

ლიზა. მაიმუნები რათ არიან.

დარო. მაშ არა და, იმათმა თავის მზემა, შენ გგვანან! ერთ პირი ასე უქნია! (**აჯავრებს, ბარს იდრეკავს**), მეორეს ცხვირი სტამბოლის ჩიბუხს მიუგავს! (**თავის ქნევით და ჩქარ-ჩქარა**) აშრები, აშრები, აშრები, რო, რო, რო... ცხენიან კაცს ძირ დასცემენ! ვაი იმ ოჯახსა, რა ოჯახშიაც ისინი შევლენ! (**საუბრობს იბერტეს**) ჩემ მტერსაც ნუ შეჰყრია იმათთანა რძლები! (**მიიხედ-მოიხედავს**) რა ექნა, ე დედაშენი რა იქნა აქამდინ?

ლიზა. დედა ემანდ გავიდა; ჩვენი მდგმური გადავიდა და ბარგს უგზავნის, ეხლავე მოვა.

დარო. როგორ, თქვენი მდგმური, კარბატოვი გადავიდა აქედან?

ლიზა (**ფერ-შეცვლილა**). დიახ... (**იქით**) ვაიმე, თუ ამან იცის რამე!

დარო (**ქოქოლით კარებისკენ**), იჰ! მეხი კი ჩავათხლიშე ი თავში! არა, ამაზე კაი ოთახს მაგ ფასად სადღა იშოვნის?.. აბა ის კი არ მეხვეწებოდა ეი: „ერთი ათას თუმნიანი ქალი გამირიგეო“.. „ათას თუმნიანი“, იმისმა თავის მზემა, ეგრე რიყეზე არა ჰყრია ფულები! (**ამოოხვრით და თავის ქნევით**) ვაი ჩვენი ბრალიცა, რა დრო მოვიდა! ხუთ თუმნიანი „ჩინონიკებიც“ კი ათას თუმნებს თხოულობენ!“ (**შემოდის ეკატერინე, ლიზა გადის**).

გამოსვლა მეექვსე

ეკატერინე და დარო

დარო. სადა ხარ, ეკატერინე? ერთი საათია აქ გელი.

ეკატერინე. დამიდგეს თვალები! მოგაცდინე განა? (**ჩამოჯდება კუშეტკაზე**) ხო მოგეხსენება, ჩემო დარო, სახლს ბევრი ფუს-ფუსი უნდა, მდგმურიც წამივიდა—ბარგს უგზავნიდი.

დარო. გავიგე, გავიგე; ეს არი ეხლა ლიზამ მითხრა.

ეკატერინე. ლიზა ხომ ნახე, რა გითხრა?

დარო. ლიზას ჩემთვინ არაფერი უთქვამს. ის კაცი სულისულზე პასუხს მოელის, თქვენ კი არაფერი გეტყობათ: არც „ხო"-ს იძახით არც „არა"-სა! ყაბულსა ხართ, თუ არა?

ეკატერინე. აი გენაცვალე, მე კი ყიბულსა ვარ და...

დარო. შენ რომ ყაბულსა ხარ, ახლა შენი ქალიც ყაბულს არი? რა ვიცი, ის კი როგორლაც ცხვირს მაღლა იწევს და!.

ეკატერინე. ცხვირს რათ აიწევს, გენაცვალე, რა ურიგო კაცი თხოულობს! მე შენ გითხრა, სარჩო აკლია თუ სწავლა!

დარო (თავის ქნეკით). სარჩო და რა სარჩო! ორ-ოლი სამ-სამ ატაჟიანი სახლები, თვეში ცხრამეტი თუმანი ჯამაგირი.

ეკატერინე. არა, გავიგე—ჩვიდმეტი თუმანი აქვსო.

დარო (ხელებს გაატაატანებს). არა, გეთაყვანეთ, ვინ მოჰორა ქა?! ცხრამეტი თუმანი აქვს; ტყუილი ეშმაკისაა! (**სოფლის თითებზე**) ზინათი, სახლის მოწყობილობა... იმათ სახლში რო შეხვიდე, გამოსვლა აღარ გინდა, გამოსვლა!

ეკატერინე. ვიცი, ვიცი! იმი ცხონებულ მამას კაი სარჩო დარჩა.

დარო. მარტოხელი კაცია, გასათხოვარი დები არა ჰყავს, ერთი და მეორე! ერთი მოხუცებული დედა უგდია შინა და იმასაც ორი პარასკევი წინ არ უდევს! (**იქით**) აბა ელისაბედას რა მოჰკლამს ქა, ყველას ამოგვიჭამს!

კატარინე. ქა.. ა! ღმერთმა დიდხან აცოცხლოს! მაშ რათ მინდა, რო ქალი უდედამთილო მყავდეს! აბა კიდეც ი დედამთილს ვეხარბები, თორე ჩემ ქალს ჯერ რა ისეთი გამოცდილობა აქვს, რო ოჯახს გაუძღვეს!

დარო (თავის ქნევით). მართალია, მართალი! დედამთილი სახლისთვინ ოქროა, ოქრო! მაშ **რას** იტყვი, რა პასუხი წაულო ი კაცსა? სანამ დამარხვდება, ბარე ქორწილი დააშურეთ, თორე მერე ვილა დაგწერთ ჯვარსა?

კატარინე (წამოდგება). აი, გენაცვალე, ლიზასა ვკითხამ და... ხო მოგეხსენება, რა აზიზ-მაზიზათა მყავს გამოზდილი (**გადის**).

გამოსვლა მეშვიდე

დარო მარტო

დარო (**ჭოჭოლით კარებისკენ**). ჰმ! „აზიზ-მაზიზათა“, თქვენმა თავის სიცოცხლემ, ნაზუქის სუნი გახრჩობთ! შიმშილით კუჭი უცხვება და ესეც აზიზ-მაზიზობას გაიძახის! (**თავის ქნევით**) ახ, რა ვქნა, რო ი კაცს შენი ქალი მოსწონს, თორე ისეთ ქალ გაურიგებდი, რო იქიდანაც ამეკრა და იქიდანაცა! (**სულის შეჯით**) ამათ რას გამორჩება კაცი,—ღამის ვახშამი არა აქვთ! ისევ ი გალიალოვს თუ დავატან ძალასა, თორე მე ამ საქმეში ხეირს ვერა ვნახამ! არა, ძიენაც რო თავს იდებენ! კოვზით ზიარება მოზდით და აპეური თოკივით იხლაკნებიან! „გლახა-ამპარტავანიო“, რო

იტყვიან, სწორეთ ესენი არიან! აბა ამათ ჯავრს ელისაბედა ამოიყრის აი! ერთი ჩქარა მაინც გამოვიდეს, ახლა ი სასიკვდილე ელისაბედა ვნახო! (ამოქნარებს) ი.. იხ, გენაცვალეთ, დღეს რამდენ ალაგასა ვარ წასასვლელი! კი არ დამავიწყდეს ქა! (სოკლის თითებზე) ბაზმანაანცა—ი ბაიმუნი ქალი გავასალო... ერთი კაცმა თქვას, თუ ამას რალა გაჭირება ადგია, რო თავის საუბედუროთ თხოვდება! დაიდოს ი თავი მზითები და ჭერში ქუდი ჰკრას! მე ვიცი, ი ქმარი ფულებს ჩაიბარებს თუ არა, მეორე დღესვე თავს დაანებებს!.. ხო, მართლა! მანათაანცაც უნდა წავიდე—ი გადაყრუებული კაცი დავნიშნო.. აი ამას კი არ უფრინამენ მწყრები! ცალი ფეხი სამარეში უდგია და ცოლის შერთვას აპირებს! (ქოქოლითი) აი დაგიდგეს ეგ ჭკუა! შე უბედურო, იმდენი როგორ არ იცი, რო შენთვინ კი არ დამეავებიათ სიყვარული, ი შენ დოვლათზე უპირამთ თვალი!.. (ტოტა ხან ჩუმათ არი და მერე) ძალლის ცხოვრებაა ჩემი ცხოვრება, რალა! მთელი დღე „ფოშტის“ ცხენივით დავრბივარ! აქ ერთ ლუკმა პურს შევჭამ, იქ-ერთ ლუკმასა და წლისწლობამდინ ეგრე გამოვდივარ! რა ვიცი, ყველას „ჩაშკა-ლოშკა“ კი მე ვარ და!.. (შემოდის ეკატერინე).

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲝ

დარო. ო... ოხ, მადლობა ღმერთსა! ძლი..ივს, ჩხირი კედელ! რაო?

ეკატერინე (ნადგდიასათ). ცოტა არ შეუძლიან და რა ვიცი, რა უნდა ვქნა, ღმერთმანი!

დარო. შენ ეს მითხარ; უარს ხო არ იძახის?

ეკატერინე. უარს კი რათ იტყვის, მაგრამ...

დარო. მაგარი?.. (**იქით**) ამათ თავს რალაც ამბავია!

ეკატერინე. არაფერი... ცოტა თავი სტკივა და... აბა ახლა შენ იცი, გენაცვალე, დარო და...

დარო. მე რა უნდა ვიცოდე; ე მზითევი მოამზადე და...

ეკატერინე (**გაოცებით**). რა მზითევი, გენაცვალე? ე ორ-ხელ კაბას კი გავატან და...

დარო. რა ხამივით ლაპარაკობ, დედა-კაცო! ორი-ხელი კაბის მეტი, არა უნდა რა ქალსა?

ეკატერინე. რა ვქნა, გენაცვალე, ჩიკორა მოკლეს—რატო ძმა არა გყავსო! თუ კი არა მაქვავია-**რა** მე უბედურსა,

დარო. ე „ბელიო“ კარგი მაინც გაატანე; ხუმრობა ხომ არ'არი, იმისთანა **ოჯახში** ჰგზავნი ქალსა!

ეკატერინე. გავატან, გენაცვალე, გავატან. ე პალატნო და ბატისტები კი არ შემიძლიან და მადაპალამ კი რატომ! თავში ქვას ვიხლი და ერთ „დუჟინ“ ბელიოს, როგორც იქნება და შეუკერამ.

დარო. ეგ არი, სხვა აღარა უნდა რა ქალსა? (**სთ**ოლ**ის თი**თ**ებზე**) არც ხალიჩა, არც მაფრაშა, არც კამოდი, არც ფარდაკი, არც...

ეკატერინე (**სკ�**ს **ა**ბ**ერ**ობ**ს**). ოლონც კი ჩემი **ლ**იზა გამიბედნიერდეს და მაგასაც გავატან, გენაცვალე! **სულ**ით-ხორცამდინ გავიყიდები და ჩემ ლიზას კი **არაფ**ერს დავაკლებ. (**კუ**ში**ტკ**ის **ს**ალ**ი**ჩ**ებს** **უ**ჩ**ვ**ენ**ებს**) **ა**ი ემ ხალიჩებს ჩემ ქალს მივცემ და მე **სწ**ორ**ეთ ჭ**ილ**ობ**ს დაეიგებ და იმაზე დავწვები!

დარო. ეს რა ხალიჩებია! ამისთანა ხალიჩები გალალოზს კუხნაში უგია, იცი თუ არა!

ეკატერინე. მაშ რა ვქნა, გენაცვალე, მაშ ახალი საიდან ვიშოვო? მე ცხოვრება აღარ მინდა? ემ ერთი ქოხების მეტი ხომ არა მაქვავია რა; ამასაც, რო მოეკვ-

დები, ჩემ ლიზას არ დაუტოვებ, მაგი მეტი ვინ მაბადია, გენაცვალე.

დარო (წამოდგება და სალოფს ასხამს). რა ვიცი, ეგ თქვენ იცით, როგორც გინდათ მოარიგდით. ახლა წავიდე ი ელისაბედა ვნახო.

ეკატერინე. რას მიეშურები; დღეს სადილათ ჩემთან დარჩი, გენაცვალე, თუმცა შენი საკადრისი სადილი კი არა მაქვს, მაგრამ „ყველი და პური და კაი გულიო“!

დარო. ნეტაი შენ, ადამიანო, საქმე გამოგლევია! რა შენი სადილისა მცხელა, დედა-კაცს თავ-ქაფი გადამდის!.. აბა ხა, დატრიალდი და ქორწილისთვის მალე დაემზადე, თორე არც მე და არც შენა! ი შენ ქალს პატარა მალინის ჩაი დაალევინე, რომ ოფლი მოუვიდეს და კარგა გახდეს. მშვიდობით.

ეკატერინე. მშვიდობით იყავი, ჩემო დარო, ი ჩემი სამძახლო სიყვარულით მომიკითხე.

დარო (**მიდის კარებისკენ**). აბა ეკატერინე, შენ იცი და შენმა სვინდისმა! ხო გაგიგონია. „ქრთამი ჯოჯოხეთ ანათებსო!“

ეკატერინე. დარო, განა არა ვტყუი შენთანა, მაგრამ როგორც მოგეხსენება ქვრივ-ოხრის ამბავი... ე... ეხ! (**ამოოხრებს**).

დარო. ჩემი ამბავიც ხო იცი, ჩემო ეკატერინე: მეც ობოლი შვილების პატრონი ვარ, სახლში შემომტანი არა მყავს, მომგები, ერთი და მეორე! ეს ერთი ჭიანი დედაკაცი ვაცხოვრებ ჩემ წვრილ-შვილსა! ცხოვრებაც გაჭირდა, ჩემო ეკატერინე, გაჭირდა! ხორაგია-მამა-სისხლათ აფასებენ, ურემი შეშა, რომელიც აქამდინ სამ-ოთხ მანათათ იყო, ეხლა ექვს მანათს ფეხს არ უცვლიან!.. ეს ნავთიო, ეს ნახშირიო, ეს სახლის ქირაო, ეს ესაო, ეს ისაო და ჯიბეში ფული არა დგება!

ეკატერინე (თავის ქნევით). ვიცი, ვიცი ჩემო დარო! აბა შენი თქმა რათ მინდა, როცა ჩემ თავზე გამომიცდია! ეხ! (ამოიოხრებს).

დარო. არ დაიჯერებ, ბევრჯერ შაური არა მაქვს, რომ თვალზე მივიკრა! ეხ! მადლობა ღმერთსა! ჩემზე გაჭირებულებიც არიან! ე ჩემ ხელობას მაინც ხომ ვერ დაალებენ „ნალოგსა“ და!.. (გადიან).

II

შვარდა აიხდება **გალალოვიანთ** სასტუმრო ოთახში: ბოლი დაფენილია ხალიჩით. შუა კედელზე ჩამოფარებულია ხალიჩა, რომელიც ჭფენს აქვე **კუშეტკას**. მარჯვნივ—რგვალი სტოლი, ხავერდის ყეფრით დაფენილი. ზედ ლამფა, სადარბაზო ბარათების ფაზა, ალბომი, საფერფლე... მარცხნივ—**კუშეტკა**, ხავერდის ბალიშებით და მუთაქებით. ამ **კუშეტკის** ზემოთ, კედელზე ჭკიდია დიდი სარკე. დანარჩენ კედლებზე—რამეებში სურათები. ოთახს აქვს ორი ფანჯარა და სამი კარები. ფანჯრებზე—«ფანავესკები», კარებებზე—«ბარდინები», მარჯვენა კარები გადის ივან პეტროვიჩის კაბინეტში, მარცხენა—დანარჩენ ოთახებში, შუა კარები—დერეფანში. ძვირფასი ხეხილები, ყვავილები, ორიოდე ჩალის სკამი და რამდენიმე რბილი კრესლოები ასრულებენ სტენის მორთულობასა. ერთ ერთ **კუშეტკაზე ზის** ელისაბედა და **გიშრის კრიანოსანს** ათამაშებს. ივან პეტროვიჩს ჯიბეში ხელები ჩაუწყვია და დაფიქრებული დადის.

გამოსვლა პირველი

ელისაბედა და ივან პეტროვიჩი

ელისაბედა (მძიმეთ). ბარემ ათას თუმნების ღირსი იყავ, შვილო, და ორიათასებსაც ვრავინ დაგიჭერდა, მაგრამ

ეხ! (ამოოხრვებს) მადლობა ღმერთსა! ალბად შენი ილბალიც ეგა ყოფილა! კიდევ კარგი, რო პატიოსანი ოჯახიდან გამოგყავს ქალი! თუმცა ეხლა გალარიბებული და გალატაკებულია, მაგრამ ერთ დროს ლაზათოვიანთაც ჩვენისთანა გათქვინებული ოჯახი ჰქონდათ. სანამ ცხონებული კოტე ლაზათოვი ცოცხალი იყო, გაგიხარიან, არა აკლდა რა იმი ცოლშვილს! ჩაუყო თუ არა მიწაში თავი იმ საცოდავმა, იმი ოჯახიც პირქვე დაემხო! ე... ეხ! ჩვენი წუთისოფელი რა არი! (კარკა ხან თავს აქნევს და ჩუმათ არი, შერე) ბედი კიდევ ეკატირინესი, რო ი ქალი ლამაზი გაეზარდა, თორე ერთი გონჯი, მაიმახინჯი რო ჰყოლოდა, ვინ გაუსაღებდა!

ივან. შეტ. (დიმიდით). ლამაზი და რა ლამაზი! просто прелесть!

ელისაბედა (კარიანოსანზე სოვდის). ლამაზი, ახალგაზდა...

ივან შეტ. ოცი წლისაც არ იქნება!

ელისაბედა (თავის ქნევით.) ხო.. ო, კიდეც მაგნაირი რძალი მინდა, რო ჩემ დონეზე დავაყენო! ოცი წლისას კიდევ როგორც მინდა, შვილო, და მოვარჯულებ...

ივან შეტ. დედა, იმას მორჯულება არ უნდა, არა! ის ძიენ წუნარი ქალია. Такая славная, скромная!

ელისაბედა. მაინც კიდევ, შვილო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. განა დედამთილის დარიგება აწყენს? ბეჩავ, ბეჩავ! ჩემ თავზე მაინც არ გამომიცდია, დედამთილის გაზდილი არა ვარ მეცა! სულ თოთხმეტი წლისა არც კი ვიყავ, როცა ცხონებულ მამაშენზე ჯვარი დამწერეს. ასე გაშინჯე, იმდენათ სულელი ვიყავ, რო გათხოვილი ქალი დედოფლებს ვათამაშებდი! (ხელებს აჭყრობს) მაგრამ ღმერთმა სულით გაანათლოს ჩემი ცხონებული დედამთილი! იმან მომაჭკვიანა და ქალათ მაქცია! მეც ისეთი პატივის ცემა მქონდა იმისი, რო შორიდანაც რო დამენახა, ესე ვთრთოდი ხოლმე! (ორთავ ხელებს აკანკალებს).

ეხლა, რაც ე სწავლა-განათლება შემოვიდა, უმფროს-უნცროსობა სადღაა! (ცოტახან დაბუმდება და მერე) ე რუსულის ლაპარაკი ხო კარგათ იცის ი ეკატირინეს ქალმა, შვილო, რომ ხალხში ხმა ამოეღებოდეს და არ შეგვარცხვინოს?

ივან შეტ. გიმნაზია დაასრულა და არ იცის? ნასწავლი ქალია.

ელისაბედა. ეხ! ქალი ოღონდ ოჯახის მუჭუჭი და ყაირათიანი იყვეს, თორე პრაფესსორებათ ხო ე ვაჟებიც კმარხართ! თუ მე მკითხავ, უსწავლელი რძლები უფრო სვინდისიანებიც დგებიან ი ნასწავლებზე! ნასწავლი ქალი აბა ოჯახს რას გამოადგება, როცა სუ ერთავათ წიგნი უჭირავს ხელში! ქალი უნდა ისეთი იყვეს, რომ დანგრეული ოჯახი ააშენოს, არა თუ აშენებული—დაანგრიოს! უწინდელ დროში...

ივან შეტ (მოუთმენლათ). Начнетъ она теперь старье выкладывать! დედა, რა დროს ეგ არი? მე აიმის დარდი მაქვს, თუ რა პასუხი მამივა...

ელისაბედა (მძიმეთ). რა პასუხი!.. უარი კი არ შემოგითვალონ! მგონი, სიხარულით ფეხზე აღარა დგანან! არ ეკადრება ლაზათოვის ქალსა, რომ გალალოვიანთ ოჯახში შემოვიდეს, თუ როგორ არი!

ივან შეტ. ეგ კი ვიცი, რომ დედა უარს არ იტყვის, მაგრამ вотъ ქალი?

ელისაბედა. ან ქალი რა თავს გაიქნევს? მე შენ გითხრა...

ივან შეტ. (დაარღვევს). არა, ერთი მითხარ, თუ რა მაჭანკლები გინდოდა: მე თითონ ვერ გაუკეთებდი „პრედლოჟენიას?“

ელისაბედა. „პრელაჟენია“ კი არა, „პრულაჟენია“ არ გინდა! ახლა ძიენაც ნუ გამოადებინებ თავსა და! რომელი ათასი თუმნები მოზდევს, რომ ეგრე გასტყლარჭო!

ივან შეტ. მე იმი ათასი თუმნები რათ მინდა, როცა ჩემი შეძლებაც მეყოფა!

ელისაბედა. კარგი, ათას თუმნებს ჯანი გავარდეს! ე რიგიანი მზითევი მაინც მოჰყვეს ქა!

ივან შეტ. не хочу я ни მზითები, ничего! ოლონც ქალი კი მომთხოვდეს და მზითევსაც მე უყიდი და სუყველაფერსაცა!

ელისაბედა. შენი ჭკუისაგან არც კი მიკვირს და! სად გაგონილა და თქმულა, რო საქრმომ უყიდოს მზითევი საცოლოს?

ივან შეტ. (გულ მოსულია). აბა მითხარ, თუ საიდან გიყიდონ მზითევი, როცა არა აქვთ რა? ერთი ძველი, პატარა სახლი აქვთ და ისიც რო გაჰყიდონ, მერე ი დედა სადღა წავიდეს?

ელისაბედა. ჯანაბას! ე ქალ კი სვინდისიანათ გაეისტუმრებ და!

ივან შეტ. (თავის ქნევით). ოხ! როგორი ადამიანი ხარ! აბა კიდეც შენი მეწინოდა, თორე ი დედაც ჩვენსა უნდა გადმომეყვანა საცხოვრებლათ.

ელისაბედა (მიიწ-მოიწევს და კოცნებით). რაო?! დედაც უნდა გადმომეყვანა საცხოვრებლათაო?! მაშ ჯერ მე გამაგდე და ის ისე გადმოიყვანე! მაშ ჯერ მე გამომწყვიტე ამ არე-მარეში და ის ისე გადმოაბძანე! მაშ ჯერ...

ივან შეტ. ოხ! ახლა დაიწყებს და აღარ გაათავებს!

ელისაბედა. კიდეც ეგ არი, შვილო. აი: ეხლანდელი ვაჟები ცოლს რო შეირთამთ (ხელის ქნევით), დედას-პანლ-ურ! პანჩურ!

ივან შეტ. ოხ! რა ჭირათ ავტეხე!

ელისაბედა (საზოგადოებას). წადით, გაგზავნეთ შვილები რუსეთში, გაზარდეთ „უნიერსეთებში“! (შვილს). განა ამ დღესაც უნდა მოვესწრო, რო ლაზათოვის ცოლმა ჩემ სახლიდან, ჩემი ქმრის ჭერიდან მე გამაძიოს, აქაო და იმის ქალს ირთამ?!

ივან შეტ. გეხუმრები, დედა, გეხუმრები! იმას ჩვენ სახლში რა უნდა!

ელისაბედა (დამშვიდდება). რატომ, ათასში ერთხელ, ქალის სანახავათ კიდეც წავა, კიდეც მოვა; ე კარსა და ბანს კი ნუ მოგვინგრევს და... მე ეკატერინეს ქალს უფრო იმისთვის დავხარბდი, რო მისადევარ-მოსადევარი არავინა ჰყავს და ცუდ-უბრალოთ არავინ დაიწყებს ჩვენსა ხეტიალს!

ივან პეტ. (გულ მოსული) Безобразіе! შენი შიშით კი ცოლი ვერ შემირთამს და რა უბედურობა არი!

ელისაბედა. რათა, შვილო, მე რა დაგიშავე, რა ვქნა?!

ივან პეტ. დაშაება მეტი გინდა: „ეს ნუ წავა, ეს ნუ მოვა!“ მა როგორ იქნება, ნათესავი და ნაცნობი წავლენ კიდეცა, მოვლენ კიდეცა, ეგ რა „შჩოთებია!“

ელისაბედა. ჰაი, ჰაი! რა ჭკუაში მოგივა! მაშ სახლი გავალეწინო, ოჯახი ავაკლებინო?

ივან პეტ. Какая она мелочная, чортъ возьми! შენ რა გინდა, შენსას ხო არ აიკლებენ, ჩემი არ უნდა აიკლონ, თუ აკლებაა?

ელისაბედა. შენი და ჩემი ვის გაუყვია, შენც ჩემი შვილი არა ხარ, მაშ გული არ დამეწვას?

ივან პეტ. მე მაგნაირი გულის დაწვა არ მინდა! თუ არ მომასვენებ, სულაც გაგეყრები და ცალკე დაქდგები!

ელისაბედა. დახე, დახე როგორ გამიგიჟეს შვილი! თავის დღეში ამას გაყრა არ გაუხსენებია ჩემთვინ! შვილო, ვინ გადაგრია, ვინ გაჭამა საწამლავი ი ჩემი ცოდით სამსემა?!

ივან პეტ. დედა, მოთმინებიდან გამოვედი! თუ არ მომასვენებ, ქუდს ავიღებ და წავალ სადმე! (ქუდს იდებს).

ელისაბედა. კარგი, კარგი, ნუ ხარ სულელი! აბა ამ სიცივეში სად მიხვალ?

ივან პეტ. არა, წავალ. მაინც მაშოც უნდა ვნახო და მოველაპარაკო... (მიდის კარებისკენ)

ელისაბედა (ხელებს გაატაცებს). აქ მო, აქ მო! მაშოს რა მოლაპარაკება უნდა! გადუგდე ერთი ასი თუმანი და თავიდან მოიშორე.

ივან შეტ. (ჭუდს დაზდებს). ნეტა ფულზე მივარდეს საქმე, თორე ას თუმანსაც მივცემ და ხუთასსაც.

ელისაბედა. აი გიჟი, გიჟი! აბა როგორ არ გითხრას კაცმა, შვილო, რომ ტანისამოსიანათ გიჟი ხარ! რომელი მილლიონის პატრონი ხარ, რო ხუთასი თუმანი აძლიო „ქალებს?"

ივან შეტ. დედა, არ დაგავიწყდეს, რო ის სხვა „ქალებს" არა ჰგავს!

ელისაბედა. მაშ არა და, იმისმა თავის სიცოცხლემა, წმინდა წყლისაა! უბრალო გოგო...

ივან შეტ. (დაარდვევს). თუმცა დაბალთაგანი ოჯახისაა, მაგრამ სეინდისიანი ქალია. მეც მოშეწონა, შევიყვარე, შვილიც მოგვეცა და ახლა არ ვიცი, რა უნდა ვქნა?.. (ხელებს გაშლის).

ელისაბედა (დაცინვით). რა უნდა ჰქნა, მე რო შენ ვიყვე, ჯვარს დავიწერ!

ივან შეტ. მეცა გვრძნობ, რო ეგრე უნდა მოვიქცე, მაგრამ ლაზათოვის ქალი ვნახე!

ელისაბედა. ლაზათოვის ქალიც რო არ გენახა, განა უბრალო გოგოზე ჯვარი უნდა დაგეწერა? რა ვქნა, სწავლისაგან სულელდებიან ეხლანდელი ყმაწვილები, თუ რა არი?!

ივან შეტ. ე.. ეხ! შენ რა უნდა გელაპარაკოს კაცი!

ელისაბედა. იქნება მე, ამ გამოყრუებულ დედა-კაცს, მეტი მედოს თავში, ვიდრე შენ, თუმცა ნასწაელი კაციცა ბძანდები!

ივან შეტ. აბა კიდეც ეგ არი სირცხვილი, რო მე, ნასწავლი კაცი მაგას ვჩადი!

ელისაბედა. რას სჩადი? (მუხლში ჩაიკრამს) უხ! დიდი მამაკვდინებელი ცოდო ჩაგიდენია თუ უბრალო გოგოზე ჯვა-

რი არ დაგიწერია! მაშ მოეწყინებათ, ვინც ნასწავლმა კაცმა ქალთან იცელქოს, თუ ყველაზე ჯვარი იწერა!

ივან შეტ. მე მაშოს პირობა მივე: შვილი მოგვეცემა თუ არა, მაშინვე ჯვარს დავიწერ მეთქი... შვილიც მოგვეცა, მაგრამ ჯვარი კი არ დავიწერე!.. მე მაგას თავის დღეში არ ვიზამდი, რომ შენ მაშინ ერთი ყოფა არ დაგეწია და „სკანდალი“ არ მოგეხდინა!

ელისაბედა. ძაან კარგა მიქნია! მაშ უნდა კვერი დამეკრა. წადი, შვილო, ი გოგოზე ჯვარი დაიწერე აქაო და შვილი მოგეცა მეთქი?

ივან შეტ. ე.. ეხ! კარგი, გაათავე! მე თითონა ვტყუი, შენ რას გაბრალებ! Я самъ винаватъ, я самъ безхарактерный человѣкъ! Вчера адну уступку сдѣлалъ матери, сегодня другую и вотъ такимъ-то образомъ въ канцѣ-канцовъ и оподлился! (ქუდს **ახურამს** და **მიდის**).

ელისაბედა. სად მიხვალ, შვილო?

ივან შეტ. ამხანაგთან,—საქმე მაქვს. შენ რა გინდა, რა ვქნა?! Вотъ еще! (**გადის**)

ელისაბედა (**მისძახის**). ხა, არ დაიგვიანო!... (**თავის თავს**) ახლა წავა და ვინ იცის, როდის მოვა! მოდი შენ, ელისაბედ და მაგას ელოდე სადილათა!

გამოსვლა მეოთხე

ელისაბედა მარტო

ელისაბედა. მე რო არა ვყავდე...ე?—თქვენი მტერი, რაც ეგ უბედური იქნებოდა! ჯერ მაშინა, რუსეთიდან რომ ახალი კურს-გათავებული მოვიდა, რა ლობე ყორეს ედებოდა..ა! (**აჯავრებს შვილს**) „ამ სამსახურში არ

შევალ, რადგანაც სვინდისი ნებას არ მაძლევსო!“ აქ ას თუმნიან ალაგებს თავს ანებებდა და იქ კი ორმოც თუმანსაც სჯერდებოდა! (ტოტახარს დაჩუმდება და შეჩერდება) მე რო არა ვყოლოდი...ი?—აქამდინ ეგ გელეთის გლახა გახდებოდა! სუ უნდა, რო თავი ავლა-დიდება სხვას შეაჭამოს!.. (ხედის შდეთ) რა ვიცი, რაც სისულელე გინდა და შაგან ჩაიდინა! წამოვიდა, აიკვიატა ერთი გოგო და კინალამ ჯვარი გადიწერა! კიდევ კარგი, რო მე დროზე გავიგე! (თავს გვერდზე გადიდებს და ამოახვრეთ) ე...ეხ! ე სწავლაც ტყუილი ყოფილა! რაც ჭკუიდან არ იშლებიან ე ნასწავლი ვაჟები, სხვა რა კეთილი ეყრებათ! (სთვდის კრიანიასნზე) ზოგი თავს იკლამს, ზოგი „ციმბირ“ მიდის, ზოგი—საგიჟეთში, ზოგი... (შემოდის მაშო).

გამოსვლა მესამე

ელისაბედა და მაშო

ელისაბედა (დაცინვით). რისგან არი, ქალო, მოგვიგონე...ე?

მაშო (მკაცრათ). ვანო სად არი?

ელისაბედა. რათა გნება...ამს?

მაშო. ეგ ჩემი საქმეა!

ელისაბედა. არ შეიძლება ჩვენც შევიტყო...ოთ?

მაშო (მოუთმენლათ). სად არი მეთქი ვანო?!

ელისაბედა (იქეთ). ფიე! ეს ალარა ხუმრობს. (მაშოს) ვანო სხვაგან წავიდა.

მაშო. როდის მოვა?

ელისაბედა. როდინობის კვირაში! რა ვიცი, როდის მოვა, მე ხო იმი კუდი არა ვარ!

მაშო (ჩამოჯდება სკამზე). სანამ არ მოვა, შანამ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი!

ელისაბედა (ხელის ქნევით). მიბძანდი, მიბძანდი საიდანაც მობძანებულხარ! ე სკამზე რო გამოიჭიმე, ღირსი კი ხარ მაგაზე ჯდომასა?

მაშო. იქნება მე უფრო ღირსი მიყვე, ვიდრე შენა!

ელისაბედა. ე ენა მოიმოკლე, ე პრტყელ-პრტყელი პასუხები ნუ იცი!

მაშო. შენა..ა?—თუ ჩემი ცოდვით იხეირებ და რა ვიცი!

ელისაბედა. არ გახეიროს მამაზეციერმა, მე რა დაგიშავე, შე შეჩვენებულო?

მაშო. დაშაება მეტი გინდა: შენი შვილი ჩემზე ჯვარს იწერდა და შენ დაუშალე!

ელისაბედა. მომეწყინება, ვისთანაც ჩემმა შვილმა იცელქოს, ყველაზე თუ ჯვარი ვწერე, თათარია ჩემი შვილი, თუ რა არი?

მაშო. განა შენ ღმერთი გწამს! ჩემზე ხელს აღებინებ ი შენ შვილსა და სხვას კი რთამ!

ელისაბედა. მაშ ბერათ ხო არ გამომიზდია შვილი: ახლა არ მინდა იმი შვილებს მოვესწრო... ო?

მაშო. შვილი არ არი, ჩემგანა ჰყავს, რაღა შვილები გინდა?

ელისაბედა. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ—„ჩქარა, გამიშვით, ცხვარი მირბისო!“ შენი შვილისთანეები რო მდომოდა, ხო აქამდინ ოციც უნდა შემომერეკა სახლში!

მაშო. რახან ეგრეა, თუ მე თქვენ საქვეყნოთ არ შეგარცხვინეთ, ქალი არ ვიქნები!

ელისაბედა (აჯავრებს). „საქვეყნოთ!“ ყურებზე ხახვი კი არ დაგვაჭრა! ბუზსაც ვერ აგვიფრენ, ბუზსაცა! გასათხოვარი ქალი არ არი ჩემი შვილი, რო სახელი გაუტყდეს და...

მაშო (მწარეთ). აბა კიდეც ეგ არი უბედურობა, რო ჩვენ კი გვიტყდება სახელი და ჩვენ შემცდენლებს კი არა!

ელისაბედა. ნუ შესცდებოდი რა, ე ჭკუა სადა გქონდა?

მაშო (ხელებს აპურობს და ტრემდებით). ჭკუიდან შეიშალოს ჩემი ამ დღეში ჩამგდები! (ტირის).

ელისაბედა. შენი თავი იტირე და შენი ჯანი! დაჩუმდი, არ ვარგა სახლში ტირილი! ან დაჩუმდი, ან გადი აქედან!

მაშო (ტრემდებს იწმენდს). ჩემთვინ სვინდისიანათ მშობლებთან ეცხოვრობდი, პატიოსანი ჩემი ტოლი კაცი მთხოულობდა და რა ვქენ, რა ვქენ! როგორ გავიუბედურე თავი! როგორ გავიტეხე სახელი!

ელისაბედა. ურემი რო გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო!

მაშო. ახლა თავი ღმერთს რას ეუბნება შენი შვილი: აღარ ახსოვს თავისი ფიცი?

ელისაბედა. „ფიცი—ფურცელი—ხე და კუნელიო“, არ გაგიგონია შენა?

მაშო. ღმერთმა ჩემი ცოდო გკითხოს შენა!

ელისაბედა. შენ ემანდ ენა ჩაიკმინე, თორე ხო არ გინდა, რო „გარადაოის“ დაუძახო და პოლიციაში ჩაგათრევინო?! ან კი როგორ გაბედე, რო სახლში შემოგივარდი?!. ვინც დაგინახავდა,რას იტყოდა ჩვენზე?! „ერთმა თაგვმა ცხრა კოკიანი ქვევრი წაპილწაო!“ (შემოდის ივან შეტ.) შვილო! შენგან ერთ ცეცხლში არა ვარ და ორში!

ივან შეტ. (მაშოს, მოწიწებით). გამარჯობა... მაშო...

მაშო. ვანო, მართლა შენ ცოლს ირთავ?

ელისაბედა (მაშოს). მართლა, მაშ ტყუილი გგონია!?

ივან შეტ. წამო, მაშო... ჩემ ოთახში... იქ მოვილაპარაკოთ...

ელისაბედა (ხელის ქნევით). გაიყვანე, გაიყვანე აქედან, მომაშორე თავიდან!.. (ივან შეტ. და მაშო კადიან მარჯვენა კარებიდან).

ელისაბედა (მისძახის შვილს). ხა, ვინძლო „პოლიმპრიალები“ ჩაუჩხრიალო!!

გამოსვლა მეოთხე

ელისაბედა მარტო

ელისაბედა. არა, გეთაყვა, ვაჟის ალაგას რო ისევ ქალი მყოლოდა, ის არ მერჩივნა! ამდენ გულის ტრიალს მაინც არ გამოვივლიდი! ქა...ა! ეს კაი ამბავია, თქვენმა მზემ! რამდენიც ჩემ შვილს „ქალები“ ჰყვანდნენ, ყველას რო ესე თავ-პირი ენტვრია ჩემთვის, აქამდინ რალა მაცოცხლებდა! ერთი ჩქარა მაინც შეირთოს ცოლი და დაბინავდეს!.. ახლა რა ვიცი, ცოლიც რიგიანი გამოადგება! ეხლანდელ დროში დედა შვილს ვერ იცნობს და მე სხვის შვილისა რა გავიგო აბა! კიდევ კარგი, რო სიღარიბით დაჩაგრულ ოჯახიდან არი, თორე დღესვე ეხლანდელი რძლებივით გარეთ გამიძახებს! ღმერთმა დღე არ მისცეს, თუ ეგრეთი იყვეს! (თავის ქნევით) ჯერ მობძანდეს აქა, მე იმას თავი ქერქში დავაყენებ!

გამოსვლა მეხუთე

ელისაბედა და დარო

დარო (სალოთვს იხსნის). ელისაბედ, როგორა ხარ, ელისაბედ! კიდევ ცოცხალი ხარ? ჯერ „ტაზნცია“ არ მოგიახლოვდა?

ელისაბედა (წყენით). ქა.. ა, შენ კი მენაცვალე, შენა! რას მერჩი?

დარო. რა, დრო არ არი დედა-კაცო? შენი „მეტრიკა“ დაკარგულია, თორე კაი ოთხმოცი წლისაც იქნები!

ელისაბედა. აბა შე პირ-შავო, ოთხმოცი წლისა საიდან ვიქნები, რო დიდ ხორეველიანობას გაჩენილი არც კი ვიყავ?

დარო. გაჩნდი თუ არა, ხორველაც თან მოგყვა! ერთი „მატუსალა“ იყო, რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო უტკბებოდა სიცოცხლე!

ელისაბედა. არა, შე არ დასარჩენო, გშურს, თუ როგორ არი, რო მეც დედი-მიწის ზურგზე დავდივარ?

დარო. ჯერ კი ე ქორწილი გააჩალე და მერე თუ გინდა პაპაჩემი მომიკითხე!

ელისაბედა. პაპაჩემიც შენ მომიკითხე და დიდედაჩემიცა! იქნება ი ლაზათოვიანთაც უნდათ ჩემი სიკვდილი? იქნება ნებამთ, რო ბურთი და მოედანი იმათ დარჩეთ და როგორც უნდათ, ისე იპაპლაუქონ ჩემ სახლში?! სანამ ნურა ჭამონ რა! მე ალაგზე მაგრა ვზიავარ, მე ძირ-მაგარაანთ ქალს მეძახიან! შენისთანეებ ორმოც კიდევაც გავისტუმრებ იმ ქვეყანაში! მწიფეს ესროდნენ—კუხე ცვივოდაო!

დარო (**თითების ფშვნეტით**). თქვენ ერთი ეს გალესეთ, საქმე რო გაგირიგეთ!

ელისაბედა. „საქმე გაგვირიგე“, მე შენ გითხრა, დიდი გარიგება უნდოდა ცარიელ-ტარიელ ქალსა!

დარო (**ხელის ქნევით**). ჩემი ოცი თუმანი ჩამაბარეთ! მე მიზეზიანი ხატებისა არა ვიცი რა! პიროობა-პიროობაა!

ელისაბედა. ხო, დედა-კაცო! ჭადი ხო არა ხარ, რო დამახრჩო! ჩემი შვილი გამოვა და ფულს ის მოვცემს.

დარო (**მხიარულით**). სადა ბძანდება ივან პეტროიჩი, სადა? (**თითების ტკაცუნით**) ასეთი ქალი გაურიგე, ასეთი, როგორც მასკვლავი!

ელისაბედა. მე „მასკვლავებისა“ არა ვიცირა; შენ ეს მითხარ, როგორი ხასიათებისაა?

დარო (**დაცინვით**). „როგორი ხასიათებისაა!“ შენ ხასიათებს კი არ უგავდეს! ასეთი დინჯი და წყნარი ქალია, რო ჭიას ვერ გააღვიძებს, ორ ხმას ერთათ ვერ ამოიღებს!

ელისაბედა (**სიამოვნებით და თავის ქნევით**). ხო...ო, ბარაქალლი, ქალო! ქალი მაგისთანა, თორე მოულალავი მოლაპარაკე რათ ვარგა! ჩემმა ცხონებულმა დედამთილმა იცოდა: სალამოზე ძაფით პირს გამიზომამდა ხოლმე—„დღეს რამდენი გილაპარაკნიაო“?

დარო. ე ენას კი არ გიზომამდა?

ელისაბედა. ნუ ხარ ცეტი და, დედაკაცო! ალარ უნდა მოიკრიფო ე ჭკუა! შენ ეს მითხარ, როგორ რა მზითევს ატანს ეკატერინე ი თავი ქალსა?

დარო. მზითევი, თავის დაკვალობაზე, რატომ: ე ბელიო...

ელისაბედა. რისა, პალატნოსი, არა?

დარო (**ხელის ქნევით**). ახლა პალატნო—პულატნო, მოჰყვები შენცა!

ელისაბედა. ქა...ა..ა!!

დარო (**ბანს აძლევს**). რქა..ა..ა!! რა იყო?!

ელისაბედა. როგორ თუ „რა იყო?!“ ცარიელ-ტარიელი ქალიც შემოვიყვანო სახლში და პალატნოც არ იყვეს?!

დარო. თუ კი არა აქვავიათრა ი უბედურებსა, აბა პალატნო საიდან იყვეს?

ელისაბედა. თუ ეგრეთაც იყო, ჩემ შვილს არ უნდა მოსჭიდებოდნენ!

დარო (**ხელის ქნევით**). ვინა, ვინ მოეჭიდა?! შენი შვილი ეხვეწება იმათა თუ ისინი?

ელისაბედა (**თავის ქნევით**). ჩემმა შვილმა რო ჭკუა წააგო, წააგო! კაცი სარჩოს პატრონია, კაცი ნასწავლია, ხუთი-ათასებსაც არავინ დაუჭერდა...

დარო. შენმა შვილმა, ღმერთმა სიყმით ახაროს ისა, ობოლოხერი ქალი მოიწონა და ითხოვა, შენ რა გესაქმება, რა?!

ელისაბედა. როგორ თუ „რა მესაქმება?!“ მაშ ჩემი შვილისთვის გული არ დამეწვას?

დარო (**იქით**). აი ლოდი დაგედოს მაგ გულზე!. (**ელისაბედას**) რაზე უნდა დაგეწვას გული: (**სოფლის თიოებზე**)

ეს ქალი ნასწავლია, ლამაზია—მთვარესა ჰგავს, ე ხასიათები ანგელოზისა აქვს...

ელისაბედა (**თავის ქნევით**). მადლობა ღმერთსა, რო ე ხასიათები მაინც კარგი აქვს!

დარო. კაი ხასიათები აქვს, მაგრამ შენ ვერ შეიფერებ იმასა!—„ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდება, ცხარეაო“.

ელისაბედა. რა გაყვირებს, დედა-კაცო, ქვეყანა ხო შენ არ დაგრჩენია!

დარო, როგორ თუ „რა მაყვირებს!“—მეტი მეტი „ხო.. ო-ხო..“ ხარ გააგიჟებსო! რკინის თავი უნდა შენთან მოლაპარაკესა! შენ წამო აქ, ბევრ ნუ ლაპარაკობ, სადილი მაჭამე—პური მშიან!.. (**იდრიჯება, კვნესის და მუცელზე ხელს იკრავს**) მწ.. ო.. ოხ! ჭვალი დამადგა! ახ, რა კარგია ეხლა ერთი სტაქანი ოტკა! **ელისაბედა** (**ნელ-ნელა წამოდგება**). უხ, უხ! ფეხი დამბუჟებია! წამო, წამო ჩაგაჭყურტო, შე შეჩვენებულო! (**იქით**) სუ მუქთზე უჭყეტია თვალები ამ არ დასარჩენსა!

დარო. ბარე ი შენი ძველი ტალმაც მიჩვენე. მუშტარი მყავს, კაი ფასს მოვაცემინებ.

ელისაბედა. დალალობ კიდეცა, დედა-კაცო?

დარო. მაშ არა და მე შენ გითხრა, ცარიელი მაჭანკლობა დიდი სარფაა, კუჭ გამიძღობს! ეხლანდელი ქალები და ვაჟები მაჭანკლებს აღარ კადრულობენ,—თავიანთ საქმეს თითონვე ირიგებენ! ირიგებენ და აკი კიდეც იმიტომ ეყრებათ ხეირი! (**აჯავრებს**) „სიყვარულით ვირთამთო, სიყვარულითაო“ და არ გამოვა ერთი წელიწადი, ცოლი ცალკე ცხოვრობს, ქმარი—ცალკე! გაქანებული „რაზოდისთვის“ დარბიან! საცა კი მიდგები და მოდგები, ყველგან ეს გესმის: „ამან ქმარს დაანება თავი, ამან—ცოლსაო!“ დასწყევლა

ღმერთმა, ყველი და პურივით კი გახდა ე „რაზოდები“ და!

ელისაბედა. წამო, წამოეთრიე, ყბედათ ნუ გადიქეცი! (**მარტხენა კარებიდან გადიან. ტოტა ხანს უკან მარჯვენა კარებიდან შემოდიან ივან შეტ. და მაშო**).

გამოსვლა მეექვსე

ივანე და მაშო

ივან შეტ. ეგრე მაშო: თუმცა ცოლს შეეირთამ, მაგრამ შენც არ დაგივიწყებ და ე ხუთას თუმანსაც ხვალ ჩაგაბარებ.

მაშო. იცის ღმერთმა, რო ხუთას თუმანსაც არ გამოგართმევდი, შვილი რო არა გვყოლოდა! ეგ კი არ უნდა გექნა, ვანო! ეგ იყო შენი ფიცი?

ივან შეტ. ქალო, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ თუმცა ცოლს ვირთამ, მაგრამ შენც არ დაგივიწყებ და კიდევაც ისე ვიქნები, როგორც აქამდინ...

მაშო (**ნადვლიანით**). რაკი ცოლს შეირთამ, ჩვენ აღარ გეყვარებით, აღარც მე და აღარც ი ჩემი ობოლი შვილი...

ივან შეტ. კიდევაც ისე მეყვარებით, როგორც აქამდინ... შენ მაგი დარდი ნუ გაქვს, მაშო...

მაშო. ახლა ცოლთან გეყოლება შვილები და ჩვენ რაღას მოგაგონდებით! მგონი, ქვა მოგვაგდო და აღარც კი გაიარო ჩვენსა!

ივან შეტ. კიდევაც ისე ვივლი, როგორ აქამდინ. კარგი, წადი...

მაშო. საღამოზე უთუოთ გნახამ (**ხელს მოჭიდავს და გაიყვანს. ტოტა ხანს უკან ისევ დაბრუნდება**).

ბამოსვლა მეშვიდე

ივან შეტ. მარტო

ივან შეტ. (აღელვებული დადის). ბევრი „ქალი“ გამისტუმრებია, მაგრამ ამნაირათ კი არავინ შემცოდებია!.. ამიტომ, რომ ეს სხვებს არა ჰგავს... მე კი რა ვქენ!. Какъ подло я съ ней поступилъ а!.. (თავის ქნევით) მწ... ჰმ... ააბ! (კარგა ხან ჩუმათ არი და მერე) Нѣтъ, нѣтъ: все-же ег арѣ унди мекна! Все-же ѯвари унда унда дамеწера, роца пирова миеци! შვილის გულისათვის მაინც... მწ.. ო.. ოხ!. Чортъ возьми, на каждом шагу приходится заключать компромиссы съ совѣстью! (აღელვებული დადის და მერე), ეხლა რა უნდა ჰქნას მაგ საცოდავმა, სად უნდა წავიდეს შვილითა?.. ყველა დასცინებს, განდევნის... ვერც თავის დღეში გათხოვდება და თუ როგორმე გათხოვდა, სამუდამოთ ქმრის ყურ-მოჭრილი ყმა უნდა გახდეს.. წამ და უწუმ ქმარი წამოაყვედრის მის ცოდვას... (თავზე ხელს წაიგდებს) ახ, ახ, ახ!.

აზიანი

ევა

რომანი

ჯიოვანნა გერგასი

სულ ორჯელ შევხვდი იმ ქალს. — სხვებთან შედარებით არ იყო არც ლამაზი, არც მოხდენილი, მაგრამ სამაგიეროდ რაღაც თავისებური სიმშვენიერე, სიტურფე, იხატებოდა მასში, რომელიც კაცს ყოველთვის უნებურად ჰხიბლავს, იმონებს. თვალებში გამოუკრთებოდა რაღაცა გაუგებარი ცეცხლი, რომელიც უნებურად გიფიქრებდათ მისს მღელვარებით სავსე წარსულზედ, საესეს ყოველ გვარ მიმზიდველ, მომჯადოებელ მოგონებით.

ყოველსავე უფსკრულს აქვს რაღაც ბოროტებით სავსე ძალა, რომელიც უნებურად იტაცებს კაცს თავისკენ და ჩვენც მზადა ვართ ვსწყევლოთ მორევი, რომელიც ნთქავს ჩვენს სიყმაწვილეს, გულს, პატიოსნებას, მაგრამ ვწყეველით კი, სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ, როდესაც სიბრძნე უკვე გაგვითეთრებს თმას!

ის იყო ქერა, გამხდარი, რამოდენადმე ფერმკრთალი. იმ გამსჭვირვალის ფერმკრთალი კანით იყო იგი მოცული, რომლის ქვეშიდანაც გამოსჭვივიან ხოლმე ¦მოლურჯო ძარღვები საფეთქლებზედ და ნიკაპის ორთავ მხარეს. თვალები ჰქონდა ცისფერი, დიდრონი, ზოგჯერ ნათელნი, როდესაც არ სწვავდნენ კაცს ერთ-ერთ იმ გვარ შეხედვით, რომელთ შემდეგაც მთე-

ლი ღამეები სიზმრებით აღივსებიან ხოლმე. მომხიბლველად გეჩვენებოდათ მისი ღიმილი, ბავშვური ღიმილი, რომელზედაც ჯერ კიდევ ოდნავ მოჰჩანდა პირველი, გულუბრყვილო კოკნა.

ევა ერქვა; პერგოლას თეატრის სცენიდან დაწყებული ცოტად თუ ბევრად ყველა იცნობდა მისს ცხოვრებას, სიცოცხლეს. მაღალ საზოგადოების მანდილოსანთ უყვარდათ იმაზედ ლაპარაკი, მაგრამ მისს სახელის ხსენებაზედ კი სახეს მარაოს ქვეშ იმალავდნენ. მოელვარე მეტეორი იყო ის ფლორენციის*) საუკეთესო საზოგადოებისა, საშიში ქალი მდიდარ ყმაწვილკაცთათვის.

პირველად ევა მოხდენილის ტილბიურით**) ვნახე. თითონ ერეკებოდა წყვილ ინგლისურ ცხენს, მომხიბლავი ღიმილი უკრთოდა, უფრო თვალებში, ვიდრე ტუჩებზედ. მთელს მისს მოყვანილობას რაღაც გამოუთქმელი სიტურფე, მოხდენილობა ეტყობოდა. შევხედე თუ არა, უნებურად მეც ღიმილი მომივიდა მეტის-მეტ აღტაცებისაგან. განსაკუთრებით იმ დღეს გულს რაღაც ნაღველი შემომაწვა; უთუოდ მოწყენილობაზედ უკეთესი ვერა მომეხერხებინა-რა. ამის და მიუხედავად ჩემი თვალები და ფიქრები მას უკან გაჰყვნენ, თუმცა ისევე ისე სწრაფად გაჰქრა იგი, როგორც გამოჩნდა.

მეორედ ქალაქ გარედ შევხვდი მას. კარგს გუნებაზედ ვიყა მაშინ. მე შევსრულდი ოცდახუთის წლისა. დაქირავებულს ეტლში ვიჯექ და მარტოც არ ვიყავ. მზეს სასიამოვნოდ გაჰქონდა კაშკაში და ჩემს თანამგზავრს ვიტტორინას თვალებში სიხარულის ნაპერწკალი უკრთოდა. ის ქალი იმ დღეების ერთად ერთი ჩემი სასიამოვნო და საუკეთესო მოგონებათაგანია; მაშინ ყმაწვილი გული დაუფიქრებლად, გატაცებით აძლევს სიცოცხლეს... ჩვენ მძიმედ მივდიოდით დაცარიელებულს ხეივანში. ხეების ფოთლებში მხიარულად გაჰქონდათ ჭიკჭიკი ფრინველთ. ტოტები იდუმალებით ჩურჩულებდნენ და მოხ-

*) ქალაქია იტალიაში.

**) ერთგვარი ეტლია.

დენილს, სხვა და სხვა საუცხოვო ზოლებად ეფინებოდნენ ბილიკებს. რასაკვირველია, ჩვენი მასლაათი სქელის ჟურნალის უკანასკნელს წიგნს არ შეეხებოდა. ვიტტორინა მღეროდა, ხარხარებდა. მე აღტაცებულის ღიმილით შევყურებდი მას და ყურს ვუგდებდი. ზედ შუაგზაზედ გაეჩერებინათ მდიდრული, წამოხურული ეტლი. მისს მოელვარე მინის სარკმელში თვალი მოვკარ ქერა თმიანს, მოშხაბვლელს და საოცნებო ქმნილებას. თვისი ნაზი და ნათელი თვალები უცებ შემოგვანათა და წუთს შემდეგ ისევ წიგნზე დაუშვა. ვიტტორინამ უნებურად ჩაჰკიდა თავი და გაჩუმდა, როგორ-ღაც მოიბუზა, თითქოს ეს მომხიბვლელი არსება ჩვენ შორის ეტლში გაჩენილიყოს.

* * *

ევას კიდევ შევხედი პერგოლას თეატრში სამასკარადო მეჯლისზე. თითქოს ლამაზ, ვიწრო და მაღალ ქუსლებიან ფეხსაცმელებით იგებდნენ რა სიმშვენიერისაც იყო მათი პატრონი, რომ ბრბო უნებურად უკან იხევდა და გზას აძლევდა, და ყოველ იმის დანახვაზედ წყნარი ჩურჩული გაირბენდა ხოლმე ირგვლივ; თვალები ხარბად უკან დასდევდნენ, როდესაც დახურულ ეტლიდან გამოდიოდა. ნიღაბ ახდილს თვალი მოვკარ. გაბედულად და ამპარტავნულის სიკეკლუცით კაბა აეწია და ბატისტის და მოხდენილ ნათელ ფეხსაცმელის პრიალით ცნობის მოყვარეთ თვალსა სჭრიდა. კვლავ შევამჩნიე იგი მოხდენილს ტრუბადურთან, ხელის-ხელ გაყრილი ბრბოში რომ მოდიოდა; იმას შორიახლო უკან მოსდევდა მახხარას ტანისამოსით ვილაც და ისეთის დაჟინებით, რომ უნებურად იპყრობდა საერთო ყურადღებას. ქალი კი ღიმილით მიდიოდა ნახევარ ნიღაბ ქვეშ; მახხარა ყოველს შეხვედრაზედ ერთსა და იმავეს უაზროდ ჰკითხავდა:

— მასკავ, მხიარულობ?

იგი გადიხარხარებდა ხოლმე ამაზედ და სახის ქვედა ნაწილი ალისფრად ელებებოდა.

მე ვებაასებოდი ჩემს მეგობრებს, როდესაც ჩვენ ერთხელ კიდევ დავიხიეთ უკან და გზა მივეცით ამ მეფეს. მასხარა არ ეშვებოდა—ის მიემსგავსებოდა კუდ-ამოძუებულ, მშიერ მგელს; ისევ-ისე იმეორებდა თავისს ერთგვარ სიმღერას. მაშინ მშვენიერმა მასკამ ველარ შეიკავა თავი, უსიამოვნების ნიშნად მხრები აიწია, ნახევრად მიიბრუნა თავი და უთხრა:

— აბეზარო!

ჩვენ გაგვეცინა. მასხარა თითქოს გაქვავდაო. ყურადღება არ მიაქცია ჩვენ დაცინვას და მკვახედ წარმოსთქვა:

— ა, ეს შენა ხარ!—და ამ სიტყვებით განქრა.

მეჯლისი გაჩაღებული იყო. მოხდენილი დომინოები ბრბოში, გზა-დაბნეულ ვარსკვლავებსავით, ხან აქ შეგხვდებოდნენ, ხან იქ. ამ არეულობაში ძნელი არ იყო სასტუმროს მჭკნობ ვარდის ცნობა, მისს განსაკუთრებით სუნნელებით, განსაკუთრებით კაბის შრიალით, მოხდენილ ტანის რხევით და ნაცრის ფერს სახელოსთან მკვრივად მიტანილ ხელთათმანებით; მაგრამ მშვენიერი მასკა ტრუბადურთან ერთად აღარსად სჩანდა. ღამის ᲘᲐ საათი იქმნებოდა, რომ სრულიად გადარეულს მასხარას კლავ შევეფეთეთ: გიჟსავით იყურებოდა აქეთ-იქით, ერთისა და იმავე სიგულგრილით მუჯლუგუნებს ურიგებდა ირგვლივ და თითონაც სამაგიეროს იღებდა. ეტყობოდა, მთვრალი უნდა ყოფილიყო.

ყმაწვილ-კაცობამ მის დანახვაზედ ერთხმად ხარხარი დაიწყო და უკან მისძახოდა:

— უ, „აბეზარო“!

ის უცებ შესდგა, მოიღრიცა ჩვენსკენ კისერი და სულელურათ გადიხარხარა.

— მართალია, აბეზარი ვარ, მოისმა უცებ ნილაბ ქვეშიდან. ჩვენ უნებურად შევკრთით.

— აბეზარი ვარ, შენს ლექსებსავით, (და გაიშვირა თითი ერთ ჩვენგანისკენ), ან კიდევ შენ ისტორიულ დრამებსავით (გაიშვირა თითი ახლა მეორესკენ), ან—და როგორც შენი

ცხოვრებიდან ამოღებული სურათები, შენი მოსწრებული სიტყვები კარგს საზოგადოებაში და შენი იგავ-არაკები.

ყველა ეს მან გადათვალა და თან რიგ-რიგად ჩამოუარა ყველა ჩემს მეგობრებს. უკანასკნელი სიტყვები მე შემეხებოდნენ, თუმცა კი, სინიდისის ქვეშ რომ ვსთქვა, ხმაც კი არ ამომიღია.

— განა მიცნობ?—ვკითხე მე.

— ცოტათი. მოდით ვიეახშმოთ.

— ვახშმადა გვპატიჟობ?—დაეკითხა გრაფი ჩ.

— არა, სანაძლეოსა ვდებ. ვინც წააგებს, ის გაუსწორდება.

— კეთილი, რაში შესდგება შენი სანაძლეო?

— დაგენაძლევებით ვაკოცო მასკას, რომელიც ხელი-ხელ გაყრილი მოდიოდა ტრუბადურთან.

— მოიტა! რამდენზედ?

— ათასი ლირის ვახშამზედ,—მიუგო მტკიცედ ხუმარამ.

წუთით ხმა არავის ამოუღია.

— მგონი, შენი სანაძლეო ნდობის ღირსი არ უნდა იყვეს,—მიუგო პოეტმა.

მასხარამ მშვიდად შეხედა ჯერ იმას, შემდეგ მე.

— აი ჩემი ხუთასი ლირი.

ამ ჩემდამი ნდობამ ცოტა არ იყოს გამაოცა.

— განა გიცნობ?

— როგორ გითხრა! ჩვენ ვიცნობდით ოდესღაც ერთმანერთს.

— მერე და სად გავიცანით ერთმანერთი?

ამაოდ ვცდილობდი ნიღაბ ქვეშ იმის ცნობას. სასაცილო მედიდურებით დაგვიქნია თავი და წარმოსთქვა:

—მაშ ავრე, დაშლამდის!

— მერე და ის ხომ წავიდა კიდეც?—ვიღამაც ჩვენგანმა ჩაურთო ამ დროს.

— არა ჯერ!—მკაცრად გააწყვეტინა მასხარამ და ზურგი შეგვაქცია.

— გიჟობისა მას არა ეტყობა-რა და თითქმის არც მთვრალია,—გამიელვა თავში. ჩემი მეგობრების სიჩუმე შვენივრად ამტკიცებდა ამ აზრს.

— მაგრამ მაინც ვინ უნდა იყოს?

*
* *

ადვილი არ იყო გზის გაკვლევა გასაავალისკენ. ხან მე მკრავდნენ მუჯლუგუნებს და ხან თვით მე ეკრავდი სხვას. უცებ ვიგრძენ, ვიღამაც კალთა დამწია. ეს მასხარა იყო.

— წამომყევ ლოჟაში.

— ბატონი ხარ.

მომკიდა ხელი, ამიყვანა მესამე სართულში და კარი შეაღო.

აქ მოიხსნა ნიღაბი, დაკვირვებით შემომხედა თვალებში და მკითხა:

— მიცანი?

ჩემ წინ იდგა ფერ-მკრთალი, საკმაოდ გამხდარი სახე; ანთებული თვალები ღრმად ჩასცვივნოდნენ; პატარა ქერა ულვაშები მკრთალად დასჩნეოდნენ ფერ-წასულს ტუჩებზედ.

— ვერა, ვერ გიცან.

იმან ნაღვლიანად გაიღიმა.

— სჩანს, ხორბად გამოეცვლილვარ! მე მქვიან ენრიკო ლანრი.

— ჰო, ჰო... ახლა კი მაგონდება.

— ერთს სასწავლებელში ვსწავლობდით; შენ ოქროში დაფერილ ღილებიან ჯუბას ატარებდი ხოლმე... და მერე რა რიგ გეჯავრებოდა! მე ისეთი ჯან-ღონიანი ვიყავ მაშინ...

— ჰო, მახსოვს.

— ახლა კი ისეთი აღარა ვარ!—წარმოსთქვა იმან რაღაც გაუგებარის კილოთი.

— მართალია, რამდენადმე გამოცვლილხარ.

მან რამდენჯერმე ჩაახველა და გაჩუმდა.

დუმილის დასარღვევად ვკითხე.

— დიდი ხანია, რაც ფლორენციაში ხარ?

— ორი წელიწადი იქნება.

— შენ, მგონი, მხატვარი ხარ?

— ჰო!—მომიგო მან და ტუჩებზედ გაუელვა იმ გვარმა ღიმილმა, რომელიც ჩემ ღღეში არ დამავიწყდება.

ცოტა ხანს უკან დაიწყო ისევ:

— შენ ჩემთვის საჭირო ხარ... მე სწორედ შენ გეძებდი... შენ მაინც არ დამცინებ პირში სხვასავით.

თვალები საშინლად უელვარებდა და ძალზედ აღელვებული იყო.

უცებ გამაშტერა შემდეგის კითხვით:

— ხომ არა ფიქრობ სიცილიაში წასვლას?

— შეიძლება წავიდე.

— იცნობ ჩემ დედ-მამას?

— არა.

— მოსძებნე. კარგი ხალხია. თუმც არც ისე დიდი პირები არიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეგიძლიან მაგრად ჩამოართვა ხელი... ჩემზედ ჩამოუგდე ლაპარაკი... მხოლოდ გახსოვდეს კი, სანაძლეოზედ არა უთხრა-რა. დაუმალე ისიც, თუ რა გვარის სიკვდილით მოვკვდი. ის-ღა მაკლდება, საბრალო დედამ იგლოვოს ჩემი ცოდვილი სული. უთხარ, რომ საოფლე შემხვდა, ხოლერა, ერთი სიტყვით, რაც გინდა.

— მე შენი არა მესმის-რა.

იმან გაკვირდებით შემომხედა, თითქოს დაჰკარგაო ლოლიკური ძაფი კარგად მოფიქრებულის გონებითი დასკვნებისა, და წყნარად მომიგო:

— ხომ შესაძლოა, მე მომკლან, იმის მაგივრად, რომ მე მოვკლა?—წარმოსთქვა მან დაღვრემით, თუმცა კი მშვიდად.

— რაი?

— სანაძლეო დაგავიწყდა?

— შენ იბრძოლებ?

— მერე როგორ! წამოიძახა იმან რაღაც გაუგებარის ჩაცინებით და მისმა გაფითრებულმა სახემ საფლავში მდებარე ცხედარის გამომეტყველება მიიღო.

— გძულს ის ტრუბადური?

— ჰო!—წაიბუტბუტა მან კბილების ღრჭიალით,—და მოვკლავ კიდეც!

— იმის გულისთვის?

— ჰო.

— მაშ შენ ის გიყვარს?

ის წამოვარდა.

— მიყვარს? მძულს, მეზიზღება... დავგლეჯდი, სილას გავარტყამდი!.. გავსთელდი ფეხ ქვეშ!

აქ ისევ მოჰყვა ხველას და პირზედ ცხვირსახოცი მიიფარა.

ამ ხანად ხველა იმდენად ძლიერი იყო, რომ ენრიკომ უნებურათ დახუჭა თვალები. გაფითრებულს ლოყებზედ რაღაცა საეჭვო, ბოროტების მომასწავებელმა ფერმა გაურბინა. როცა კვლავ გაახილა თვალები, მომეჩვენა, თითქოს ჩემ წინ ცხედარი ამოყუდებულიყოს მისს ადგილას. შემდეგ ქშენით დაიწყო მან და ხმა წუთით-წუთზედ ეცვლებოდა.

— ახლა ხომ ხედავ, რომ მოვკვდები, თუ შპაგისაგან არა, სხვა რამისაგან მაინც... მაგრამ ეს იქით იყოს... მებრალება საბრალო დედა, საბრალო დე..

— კეთილო მეგობარო, შენ მომეტებულად აზვიადებ.

— მე ვაზვიადებ? წადი, ჰკითხე ექიმს.

— მაშ ეგ დუელი აუცილებელია?

— იმ შემთხვევაში, თუ გრაფი ყოველსავეს გულ გრილად მიიღებს.

— რომელი გრაფი?

— გრაფი სილვანრ, ტრუბადური.

— მაინც და მაინც ხომ შესაძლოა გამარჯვებული შენ გამოხვიდე?

— ბახუსსა ეფიცავ,— შეჰყვირა იმან ბოროტებით სავსე ალტაცებით,—მე დარწმუნებული ვარ ამაში.

— შენ ახლა გაციებს. მოიცადე რამდენიმე დღე.

— ცივება თავისდღეში თავს არ დამანებებს! შენ კი არ იპოვე უბედურება!—წინ. შემომხედე, ხელი ხომ არ მიკანკალებს? აი, დაინახავ, რა მარჯვედ ვამოძრავებთ შპაგას!

უცებ ხელი მართლაც აუთრთოლდა.

— შეხედე! — შეჰყვირა მან,—ხედავ იმას?... აი იმას, იქ? ლამაზია?—მკითხა ენრიკომ და ანთებული თვალები გააყოლა მას ბრბოში.

— ძრიელ ლამაზია!

— უნიღაბოდ რომ გენახა!...

— მინახავს.

— სჩანს, შენც იცნობ მას. ალბად, როდისმე მოწყალებასაით გაჩუქა ერთი თვისი, თვალების მწვავი, შემოხედვა... განა მაგისთანა ქალისთვის არ შეიძლება კაცმა ჩაიდინოს ათასი სისულელე?

იგი ამ დარბაზის კარებს მიეფარა. ენრიკო გაუნძრეველად მისჩერებოდა იმ ალაგს, სადაც იგი ის იყო განქრა, და გააყოლა უკან, წყველის მსგავსად, საუგო სიტყვა.

მერე თითქოს შეინანა, მომიჭირა მაგრა ხელი და კელავ განაგრძო:

— რომ იცოდე, რა საცოდავი და დაცემული რამა ვარ... ამას მე თვითონვე ვგრძნობ... რა ნაირად მეზიზღება ჩემი თავი! ერთი ეს მითხარ, გეთაყვა,—დაუმატა იმან ცოტა დუმილის შემდეგ: შენ ხომ მისდევ კაცის სულის შესწავლას... მითხარი, რად არის შესაძლო ათასი სისულელის ჩადენა იმ ქალისთვის, რომელიც საშინლადა გძულს, გეზიზღება? რისთვის მოგაქვს მისთვის მსხვერპლად პატიოსნება, სიცოცხლე, თვისტომი, ყმაწვილ-კაცობა, ხელოვნება—ერთი სიტყით, ყოველივე, რაც ჩვენ გვილიმის და რაც ჩვენ გვაყვარს... და მხოლოდ იმისთვის, რომ სწვნიო მისი ნაღველით სავსე, შხამ გარეული სიყვა-

რული?! ჭკუაზედ შევიშლები!... გინდა გიამბო ეს ისტორია? გინდა?!

— ჰო,—მივუგე მე, აღელვებულმა მისის სიტყვებით.

* * *

— მე ვიყავ უცნობი გენიოსი, მომავალი ბურჯი იტალიურ ხელოვნებისა, ვატარებდი გრძელს თმას და შლიაპას, როგორსაც რუბენსი ხმარობდა ხოლმე; ვსცხოვრობდი ძველის სახლის სულ მაღალს სართულში, სულის წმინდის ქუჩაზედ. ზამთრობით კაცს ეგონებოდა, ქარი აი ან ახლა, ან ახლა გადმოანგრევს ამ სახლსაო... ვსადილობდი ორმოც-და-თხუთმეტ ლირად თვეში. ყოველივე ეს მომწონდა, დიდი იმედები მქონდა, სასოება... ჩემი სამშობლო მხარე მაძლევდა შემწეობას. მას, ალბად, დიდი იმედი ჰქონდა თავისს სახელოვან პირთა რიცხვის გამრავლებისა. მასწავლებელნი და ამხანაგნი კარგის თვალით მიყურებდნენ. საზოგადოება და ჟურნალები ჩემ ცხვირ წინ უკმევდნენ გუნდრუკს მხატვართ, ერთი-ორად მიძლიერებდნენ თავმომწონეობას, და მეც მთვლიდნენ ნიჭიერად. მერე და ვის არ დაეხვეოდა თავს ბრუ, რომ ასე ბრწყინვალედ მოახერხა თავის კარიერის დაწყება? მე მშვენივრად მოვნათლე ჩემი გულზვავობა—დავარქვი მას ხელოვნებისადმი სიყვარული და სახუმროდაც არ ვამაყობდი ჩემის გრძელის თმით და სხვა-დასხვა მშვენიერ ნივთებით. ბედნიერება მაღრჩობდა; ფლორენციის ქუჩებზედ სეირნობის დროს, მეგონა ხელი-ხელ გაყრილი რაფაელთან და მიქელ-ანჯელოსთან დავდივარ მეთქი. მეჩვენებოდა, თითქოს მთელის გულით ვისუნთქავდი ხელოვნებას. მე ვსცხოვრებდი XV საუკუნის ატმოსფერაში; იქამდის მიდიოდა ჩემი სიყვარული სასახლეთა, გაშავებულთ დროთა სვლისაგან, გამობერილს ბანებსა და ამღვრეულის არნოს წყლისადმი...

ის გაჩერდა და რამდენჯერმე გადისვა შუბლზედ ხელი, თითქოს სცდილობდა თავიდან მოეშორებინა ჩაციებული, აბეზარს მომყვანი ფიქრები.

— ხელოვნება!.. ბოდვაა, სისულელე... დიახ!—წაიბუტ-ბუტა თითქოს თავისთვის.

— ბოდვა? სისულელე?—გავიმეორე მე:—ხელოვნება სი-სულელეა? დაფიქრდი, რას ამბობ!

— დიახ, მიქარვაა, სისულელეა ის, რასაც თქვენ ეძახით კეთილშობილს გრძნობებს!.. შენ რამდენს იგებ შენის „ხელოვ-ნებით“?

— რამდენიც უნდა მოვიგო!.. ჩემთვის საკმარისია ისიც, რომ ჩემს საქმეს მაგგვარს ანგარიშს არ ვურევ.

— რასაკვირველია!.. იყო დრო, როდესაც მეც აგრე პატიოსნურად ვლაპარაკობდი. გეყოფა, გეთაყვა! ამ ეპოქაში უმაღლესს კაცის პატივმოყვარეობას და ყოველსავე მისს მისწ-რაფებას, მთელს მისს მოქმედებას, ერთი და იგივე უდევს სარ-ჩულად—გამდიდრება... გამოტყდი, რომ შენი აზრები, რო-მელთაც შენ არ ურევ ფულის ანგარიშს, არაფრად არა ღი-რან... ე. ი. არა! ღირან იმდენად, რომ ჩაუვარდე ბრბოს ფეხ-ქვეშ, რომელიც, ბირჟისაკენ მიმავალი, გზა-და-გზა მასხარად აგიგდებს, როდესაც შენ დაითვრები ღვეისით მისისავე საკუ-თარის ვნებით. შენ სცხოვრებ იმავე ატმოსფერაში და ხარბად ეწაფები მას, მისთვის, რომ შენი ტვინი და შენი ნერვები სა-შინლად არიან აშლილნი; მაგრამ ბრბო მაინც არ დაიშლის დაცინვას, ვიდრემდის მშვიდობიანობის დამცველი არ მოვა და ჭკუა შეშლილთ საავადმყოფოში არ გიკრავს თავს. მართალია, თუ არა?

— მართალია მხოლოდ ის, რომ შენ ავადა ხარ.

— მაგაზედაც არ აგიხირდები. მე არ ვამტკიცებ ჩემს უცო-დველობას.

— მე ვგრძნობ, ძლიერ უბედური უნდა იყვე!

— სულ ერთია! ყური დამიგდე.

*
* *

—სიყვარული მე არ გამომიცდია. მაინც-და-მაინც ის გრძნო-ბა, რომელიც მთელს ჩემს არსებას მოსდებოდა, არ იყო წარ-

მოშობილი ქალისაგან. ვამაყობდი ჩემის ხელოვნებით, მე თავი მომქონდა ჩემით და სიყვარულის სიზრმებში მელანდებოდა— სულ რომ არა ვსთქვა-რა—თავადის ქალი მაინც... ვეტრფიალებოდი მას აღტაცებით, ოცნებაში მზეთუნახავად წარმომიდგებოდა იგი, ჩემის ფიქრით, მას ჰქონდა ფეხი, რომელსაც არასდროს არ გაეელო ჯერ ქვაფენილზედ, ხელი, რომელიც ჩემს გარდა, არაევის ენახა უხელთათმანოდ; და მისს ლოდინში კი,—იგი როგორლაც იგვიანებდა—შევტრფოდი ჩემს სურათებს, ვოცნებობდი მოახლის ქერა თმებზედ, რომელიც მოპირდაპირე ფანჯრის ფარდებს მტვერსა ბერტყდა ხოლმე, ანდა შევტრფიალებდი მკერვალ ქალის მხრების სწორე ნაკვთებს, რომელსაც რონდინელლის ქუჩაზედ, ერთ-ერთ მაღაზიის ფანჯრებში ვხედავდი ხოლმე მუდამ დღე... ხელოვნება, ხომ იცი, უმაღლესს გემოთ-მოყვარებას შეიცავს!..

შეურყეველის ძალით მიმდინარებდა უზრუნველი სიცოცხლე ჩემისავე ოცნებით დახატულს ცხოვრებაში. ერთხელაც არ მიმიქცევია ყურადღება უშველებელის ქალაქის შექცევა-დროს-ტარებისთვის, რომელიც სადღაც შორს, ბურუსათ მელანდებოდნენ. თუ მომიცავდა ხანდისხან მწარე გრძნობა ცნობის მოყვარებისა, მივაშურებდი ხელოვნებას და მასთან ვნუგეშობდი, თითქოს სატრფოს ხვევნა-ტრფიალში. უმთავრესს ჩემს დროს-ტარება-გართობას შეადგენდა კვირაობით დრამატიულ თეატრში სიარული. სწორედ კი რომ ვსთქვა, მე უფრო ვამჯობინებდი წარმოდგენებს, რომელნიც მომეტებულად ოცნებაზედ მოქმედებდნენ—ე. ი. ოპერას, ბალეტს, მაგრამ საამათოთ ბევრი ფული იყო საჭირო... მე საიდან უნდა ამეღო? თვითვეული თვე შეიცავს ოთხს—ხუთს კვირა დღეს და ჩემი ბიუჯეტი კი არ მაძლევდა ამ გვარ ხელ-გაშლილობის ნებას.

ერთხელ ჯიბეს მეტის-მეტად ძალა დავატანე. ეს რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა არც ასე დამეცხავებინა გული. რომ არ წავსულიყავ ერთხელ ფოსტაში ფულის მისაღებად, შესაძლოა არ გამეშინჯა პერგოლას ტეატრის აფიშა და რომ არ

მოვრჩენოდი დღით ადრე სამუშაოს, რომლითაც სრული კმაყოფილი დავრჩი, და რომ მზე არ ყოფილიყო ისე გაბრწყინებული, როგორც ჩემი გული—ფიქრადაც არ მომივიდოდა ჯიბის დაცარიელება... შენ იქნებ მითხრა, რომ ფატალისტი ვარ და მრწამს განგება? რაო მერე? თქვი რა, ერთის სიტყვით, მოიმორე თავიდამ მოსაწყენი კითხვების აღსნა...

ამ გვარად წაველ თეატრში. დაწყებამდის ჯერ კიდევ კარგა ხანი აკლდა... გადავკიდე პალტო სავარძლის ზურგზედ, ფეხებ შუა ჩავიდგი ქოლგა, ზედ ჩამოვკიდე ჩემი ქუდი და ნახევრად სიბნელეში ჩემის ბილეთით მონიჭებულის უფლებებით ვსარგებლობდი: ვათვარიელებდი ყოველსაფეს: ლოჟების ოქროს ვარაყს, სუფლიორის ადგილს, ლამპის სინათლეს, ყველაზედ მომეტებულად კი მეინტერესებოდა სცენის თავზედ მოთავსებული საათი. წამის-წამს შევხედავდი მას და ველოდდი დასაწყისს. ლოჟები ივსებოდნენ მშვენიერი ქალებით, მაინც და მაინც, ისინი ისე იყვნენ მოართულ-მოკაზმულნი ყვავილებით, ძვირფასის თვლებით და არშიებით, ისე იყვნენ ფერ უმარილ წასმულნი, რომ იმ ბინდ-ბუნდში ყველანი ერთად მშვენიერ-მომხიბვლელ ქმნილებათ ემსგავსებოდნენ. კაცები სუფთად გაპარსულნი, თმაზედ ხელპოხიერ წასმულნი, უთუოდ ისეევ აჭყეტდნენ ქალებს თვალებს, როგორც ნე,—მხატვარს.

გაისმა ზარის წკრიალი; სინათლის ტალღები უცებ მოედენენ დიდ მშვენიერს დარბაზს: წარმოდგენა დაიწყო. მე ვუგდებდი ყურს, ვუცქეროდი, ვმღელვარებდი და კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ გვარი საუნჯე სანახაობისა სულ საშ ლირად მქონდა ნაყიდი! ტყვილად არ დამეხარჯა ფული! ჩემს გონებაში ოცნებამ შეჰქმნა მთელი სამოთხე შეუსრულებელ სურვილებისა.

რამდენიმე წუთის წინად ბალეტის დაწყებამდე, რაღაცა მოლოდინის ჩურჩული გაისმა ირგვლივ მე ვგრძნობდი, როგორ მიგანიერდებოდა გული და სრულიად უაზროდ ვასწორებდი ქუდს ქოლგაზედ.

უცებ, ჩემ წინ, აიხადა ფარდა, გამოჩნდა სცენა, სავსე მომხიბლავ-მომჯადოებელ ხმებით, სინათლით, ლეჩაქებით და მომხიბლავ, საოცნებო მოჩვენებათა, რომელნიც ჩაბმულს ფერხულში ტრიალებდნენ რაღაცა თავ ბრუ დამხვევ, გრძნობათა ამშლელ მომხიბლაობით.—ეს იყო მთელი ფანტასმაგორია მომხიბლავ მოყვანილობათა, ბრწყინვალე, მოელვარე თვალთა და გაშლილ თმათა. შემდეგ, როდესაც მუსიკამ თავსბრუ დამხვევ მომხიბლავობით მოძეტებულის სიგიჟით იწყო გრიალი, როდესაც ყველას თვალები მომეტებულის ყურადღებით მიეპყრა სცენას, ყველა დურბინდები მისჩერებოდნენ მას,—უცებ გაირბინა ჩურჩულმა: „ევა! ევა!"—ო და წვიმასავით წამოსულს აიგულებს, ელექტრონის სინათლეში და ტაშის კვრის ქუხილ ქვეშ, სცენაზედ გამოჩნდა ნახევრად შიშველი მზეთ-უნახავი. გაბედული ღიმილი უკრთოდა ტუჩებზედ, თვალები უელვარებდა და გაშლილი ქერა თმა უხვად დაჰყრიდა ბროლ-ფიქალს, მარმარილოს მსგავსს მკერდ-მხრებზედ. გონება-არეული შევყურებდი მას, თავი მიხურდა, თან მშურდა და თან ვამაყობდი ჩემის ხელოვნებით, რომელიც ამ გვარ წადილთა მაღლა მაყენებდა; მე გულვზვაობდი ჩემის ნიჭით, რომელიც ამაღლებულიყო იქამდის, რომ წარბ-შეუხრელად შევყურებდი პირდაპირ ამ თვალთმაქც ქმნილებას; ამავე დროს კი საშინლად მაანჩხლებდა იაფ-ფასიანი ადგილი პარტერში და შიშველი, უხელთათმანო ხელები.

როდესაც მოჩვენება განქრა სინათლისა და მუსიკის ტალღებში და კვლავ წყვდიადი გამეფდა, მე ჯერ კიდევ ყურები მქონდა გამოჭედილი საამო, გულ-დამატკბობელ ხმებით და თვალწინ იგივე მოჩვენებანი მელანდებოდნენ. გამოველ ბარბაცით, დარეტიანებული. დერეფანი აუარებელ მშვენიერ ქალებით იყო სავსე, რომელთაგან ხან ვის წავაწყდებოდი, ხან ვის, რამდენს დავადგი შლეიფზედ ფეხი, აღარ მახსოვს, ქუჩაზედ თითქმის ოცჯერ კინალამ გამიტანეს ცხენებმა.

იმ ღამეს ძილი გამიკრთა, ნერვები საშინლად მქონდა აშლილი და საშინლად მინდოდა, როგორმე მომეშორებინა

თაეიდამ ეს სულის შემხუთავი მოგონებანი. სამხატვრო კალამი, ვიცოდი, ვერ გადმოსცემდა ყოველსავე ნაგრძნობს, ნანახს და მეც ამისთვის შევუდექ, რაღაცა შეუდარებელის სისულელის წერას, ეს იყო ბოდვა ციება-ატანილ ავადმყოფისა...

***

ჩემთან ხშირად დაიარებოდა საკმაოდ გამოჩენილი რეცენზენტი. ჩვენ ორივენი ყმაწვილები ვიყავით, ორივენი არტისტები, აღტაცებული ხალხი, ორივენი ერთნაირად წინდაუხედავნი: არა იშვიათად ერთისა და იმავე ჩიბუხიდან ვეწეოდით თამბაქოს ორივენი და ერთადვე ვოცნებობდით მომავალს სახელსა და დიდებაზედ. ჩემმა გულმა, ანუ უკეთ, აშლილმა ოცნებამ იქამდის მიმიყვანა, რომ ძალა-უნებურად უნდა გადმეშალა გული ვისთვისმე და მეც ვუამბე მას ყოველივე ისეთის აღტაცებით, რომ მან მოისურვა ჩემი ნაჯღაბნის წაკითხვა და... მომიწონა.

— მე მომეც ეს შენიშვნა,—მითხრა ბოლოს იმან,—მე მსურს, იმ ქალმა შეგიყვაროს.

— როგორ?!—მივუგე გაკვირვებულმა ამ არა ჩვეულებრივის წინადადებით.

— რა არის მერე აქ შეუძლებელი? სინიორა მეტად თავმომწონეა! ბალერინასთეის კი მუდამ არიან საჭირო თაყვანისმცემელნი რეკლამისთვის.

— მაშ, შენის აზრით, ის შემიყვარებს ამ შენიშვნის შემდეგ? ჭკუაზედ ხომ არ შეიშალე!

— ვინ იცის!.. და მეორეც, შენ შეგიძლიან დამეხმარო — რეცენზიის შედგენისაგან გამათავისუფლო... შენი წერილი მშვენიერება რამ არის!.. მე მით ვიამაყებ.

და მართლაც წერილი თან წაიღო. მეორე დღეს საღამოზედ სტოლზედ დამხვდა გაზეთი და ჩემი მეგობრის ბარათი.

„მე არ შევცდი, შენმა წერილმა საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა. ევას სურს გაგიცნოს. დღეს საღამოზედ შემოიარე თეატრში, ჩვენ წარგადგენთ მასთან“.

გული ძალზედ მიცემდა. წარგადგენთო მასთან! იმ მზეთუნახავს, გარშემორტყმულს დიდ-მშვენიერებით,—მასთან, სააქაოს არ კუთვნილს ქმნილებასთან მე წარმადგენდნენ!—და ათასი ფიქრები ვნებათა ღელვით სავსე გრძნობებს აღმიძრავდნენ გონებაში და რაღაცა დამატკბობელი, მათრობელი მოღალულმოქანცულობა, ნელ-ნელა ედებოდა მთელს ჩემს არსებას და ნაზად უციგლიგებდა გულს. მას წაეკითხა ჩემ მიერ დაწერილი სტრიქონები, ეგრძნო ჩემი სულიერი მდგომარეობა!

თუმცა-ღა იმდენი გამბედაობა არ შემწევდა, რომ მიმელო ეს წინადადება, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავ ჩემს სენაკში, სადაც ეოცნებობდი მარტოდ და თვალები დაფიქრებით მიმეშტერებინა ბუხრის ალისთვის.

უცებ მომესმა ძლიერი ზარის წკრიალი; მე მსწრაფლ წამოვეარდი ფეხზედ. დერეფანში მოისმა ჯორჯიოს ხმა.

— ეროი შეხედე,—დაიწყო იმან შემოსვლისთანავე:— რას აკეთებ აქა? განა არ მიიღე ჩემი ბარათი?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ისა, რომ ვერ წამოვალ... არ შემიძლიან.

— აი დალახვრა ეშმაკმა, მერე და მე ხომ დავპირდი ევას, რომ გაგაცნობდი მას. რა მდგომარეობაში მაყენებ?

— გამიგონე...

— რა უნდა გაგიგონო, შენ სასაცილო ლაჩარი ხარ.

ლაჩრობის დაწამების შიშმა ყოველივე სხვა გრძნობა დაახშო ჩემში—და მეც წინააღმდეგობის გაუწევლად გავყევ უკან.

თეატრის კარებთან გაუბედავობა კვლავ შემომეპარა, მაგრამ ჯორჯიომ ყური აღარ მათხოვა, მომკიდა ხელი და შემიყვანა. ჩვენ გავიარეთ რამდენიმე მკრთალად განათებული ოთახი და უეცრად ამოვყავი თავი აუარებელ მანქანებსა, დახატულ ტილოებსა და კიბეებს შორის. ყოველივე ეს საშინლად გამტვრიანებული და გაქონილი იყო; ალაგ-ალაგ იდგნენ და ლაყბობდნენ მემანქანენი გაქონილს ჯუბებში, ერთის სი-

ტყვით, მე ვნახე სამოთხის ქვენა-პირი, რომელსაც ჰქმნიდნენ დახატულ-დაფერადებული ტილოები და ქალალდის ყვავილები. გარედან მოისმოდა გრგვინვით, აღტაცებული ტაშის კვრა, რომელიც აყრუებდა ბალეტის მუსიკას. უცებ გამოჩნდა სუბუქი ტატანი, შეხვეული აუარებელს ლეჩაქებში, და კაბის აწევით დასდგა ფეხი პატარა ფეხის სკამზედ, ქოშის შესაკრავად.

— ეს ევა!—ჩამჩურჩულა ჯორჯიომ,—წავიდეთ.

ქალმა აიღო მაღლა თავი, დაღალულ-დაქანცულს სახე წითლად ანთებოდა. იმან თვალი მოგვკრა და გაგვიღიმა იმ გვარის ღიმილით, რომელიც რაღაც დაღალულ-დაქანცულობას და აჩქარებულს ქშენას გამოსთქვამდა. თმები დაუდევნელად ჩამოშლოდნენ მკერდზედ, თეთრი ხელები დასწითლებოდნენ...

იგი ამ დროს წარმოადგენდა სილფიდას პროზაიკულს წუთებში, როდესაც მისთვის საჭირო არაა ლამაზად, მომხიბლველად ეჩვენოს. შეუძლებელია გამოვსთქვა ის, რაც ამ დროს ჩემს გულში ხდებოდა. ადვილად მისახვედრია, რომ ამ გვარმა მოწყობილებამ ჩემს მგრძნობიარე და ნაზს აგებულებაში საშინელი სიმწარე და ბრაზი ამიშალა. პეპელა მგრაგნელ ჭიად გადიქცა.

— ა, ეს თქვენა ხართ!—მომიბრუნდა ის ღიმილით და შეიკრა თან ჯერ ერთი ნასკვი, მერე მეორე.—ძრიელ მადლობელი ვარ თქვენ მიერ დაწერილ წერილისთვის.

მაგრამ, რადგან არა ვუპასუხე-რა ამაზედ, ჩემმა მეგობარმა საჭიროდ სცნო ლაპარაკში ჩარეულიყო.

იგიც გასწორდა წელში. სახე საშინლად ასწითლებოდა, მძიმედ ქშინავდა და იუბკის სწორების დროს თავისი დიდრონი, ნათელი თვალები შემაელო. მათში გამოიხატებოდა რაღაცა ბავშვური ცნობის მოყვარეობა.—სცენაზედ უნდა გავიდე,—სწრაფად და ცოცხლად წარმოსთქვა მან და გამოგვიშვირა ორივეს ხელები.

— ძალიან ვსწუხვარ, რომ არ შემიძლიან ცოტა ხანს კიდევ დავრჩე თქვენთან... იმედი მაქვს, მასიამოვნებთ და სახლშიაც მნახავთ.

მან გაიღიმა, გასვლის წინ და ეს ღიმილი სახეზედ გაეყინა.

მე ნაღვლიანად დავრჩი ერთს წუთს იმავ ალაგს. სად განქრნენ ჩემი ილლიუზიები, ოცნებანი, მოხიბვლა?

— ჰა, როგორია?— მკითხა ჯორჯიომ.

— სინიდისის ქვეშ რომ ვსთქვა, არც კი ღირდა მოსვლად... რა საჭირო იყო, ჰაეროვანთ ციხეთ დაქცევა, სამ ლირად ნაყიდ ნაყოფთა გაფუჭება!

— აი რა გიჟი რამა ხარ! იქნება გინდოდა, რომ ის ლამაზი პირუეტით დაგვხვედროდა? ან იქნება, შენ გეგონა, რომ პერგოლას თეატრის მირველ ბალერინას მუდამ ღიმი უნდა უკრთოდეს სახეზედ და სცდილობდეს მუდამ ლამაზად და მოხდენილად იმოძრაოს? კმაყოფილი იყავ, ბატონო, იმითაც, რომ მან თავისთან მიგიწვია.

— დიდად გმადლობ!

— დავიჯერო, შეგიძლიან უარი სთქვა მაგ სიამოვნებაზედ?

— ჰო, შემიძლიან.

— აი რას ნიშნავს, მართლადაც ღრუბლებში ფრენა.

— კარგი. მხოლოდ ჩემი მშვენიერი ღრუბლები მევე დამიტოვე... დანარჩენი ყოველივე საზიზღარია!

— ამინ!—დაასრულა ჯორჯიომ დაცინვით,—პატიოსანს სიტყვას გაძლევ, არც კი ვეცდები ჩამოგიყვანო შენის ღრუბლებიდან.

*
* *

— დღეს ყველაზედ მომეტებულად,—ვუთხარი ერთხელ ჯორჯიოს,—მსურს მისი ნახვა, მაგ თვალთ მაქცისა, რომელიც აბრმავებს გონებას თავისს ოქროში დაფერილ კილიტაების ელვარებით, აშმაგებს გრძნობათ გამსჭვირვალი ტანთსაცმელით,

ადულებს სისხლს და სასაცილო წერილებს აწერინებს კაცს. მე ვგრძნობ საჭიროებას მასხარად ავიგდო ჩემი თავი ისევე, როგორც სხვათ ამიგდეს მასხარად და ყველაზედ უწინ მაგან.

— შენს ირონიაში ბევრი სიმწარეა.

— არა, ამას მე ვამბობ გაბრაზებული მით, რომ ჩემმა გულმა მიმიყვანა იქამდის, რომ მოწიწებით ვეთაყვანებოდი ღმერთას, რომელიც უკანასკნელს მოახლესავით თვით იკრავდა ფეხთსაცმელს.

ჩვენ გავსწიეთ თეატრში, მაგრამ ამ ხანად ჩემს გვერდით მოუხდა ჯდომა ჯორჯიოს, რომელიც თვალებ დაჭყეტილი შესტრფოდა ამ დედაკაცს, გარეშემორტყმულს იმავე ბრწყინვალებით, რომელიც ჩვეულებრივად თავბრუ დამხვევს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზედ. მას თითქოს სურდა შეემუსრა ჩემი სარკაზმი, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ეფიცავ... ახ, რა შეენიერია!., პატიოსანს სიტყვას გაძლევ!...

— ჰო, ჰო,—მივუგე მე— ეგ სილამაზე ჰხიბლავს, აღელვებს და აღგიძრავს თვისდამი ზიზღს... მაგ სილამაზის დანახვაზედ გული იხლაკნება, როგორც ფილენჯის დროს და გონება სამარცხვინოდ—შეშინებული გარბის იქით... ეგ სილამაზე ჰბღალავს ყოველსავე მშვენიერს და შეუბრალებლად, პირზედ ღიმმომდგარი, სთელავს თავის ატლასის პაწია წულებით იმას, რაც ჩვენ უმწიკვლელად, წმიდად გვაქვს მიჩნეული—სიყვარულს, იდეალს... ხედავ, მან მეც ამიმღვრია სისხლი, თუმცა კი გუნებაზედ ისე ვარ, თითქოს ვინმემ კარგი, ლაზათიანი სილა გამკრაო.

— ძვირფასო მეგობარო!—შეჰყვირა მოთმინებიდამ გამოსულმა ჯორჯიომ,—მე არა ერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ყველა ჩვენი სამხატვრო ხელოვნების ნაწარმოებნი ნამდვილი ფიზიკური სილამაზის ერთს ბეწვადაც კი არა ღირან.

— ჰო, სამ ლირად იგი ჰყიდის თავის მხრებს, გულმკერდს, ვნებით სავსე ღიმილს, ქალურს კდემას — და მხოლოდ სამ ლირად, მე, შენ, აი იმ სქელს ვაჟბატონს, რომელიც თავის მთვრალის თვალებით ჩასცეცებია მას, ან კიდევ, აი იმ გულ-მოყიჭებულს ქარფშუტას, რომელსაც ლოჟის სილრმიდამ მიუმართავს მისთვის თვისი ლორნეტი... ყოველივე ეს ღირს მხოლოდ სამი ლირი. იგი ათრობს, აცხოველებს ბრბოს დაბალს გრძნობებს, რომელიც მის მიმოხვრას იღებს გამოწ ვევად, ღიმილს — თანხმობად.

— გაები! იმან გაიგონა შენი სიტყვები, — სიცილით შემაყენა ჯორჯიომ.

მე შევკრთი.

— რა? ეგ რა ჭკუაშია მოსატანი!

— ვერა ჰხედავ, როგორ დაგვიწყო ცქერა?

მე შემრცხვა და ჩავჩუმდი.

ჯორჯიომ ჩემზედ ადრე მიატოვა დარბაზი. გასავალ კარებთან მომიახლოვდა კაპელდინერი და ბარათი მომაჩეჩა ხელში.

— ვისა? მე? — ეკითხე გაკვირვებით.

— დიახ, ბატონო, თქვენზედ მიჩვენეს.

— ვინ გიჩვენა?

— სინიორა ევამ.

— რაო?...

— გთხოვენ, მოუცადოთ დერეფანში... ნახევარ საათს უკან გამოელენ.

მე ელდა მეცა.

„თქვენ არ მოხვედით... რატომ? თუ გსურთ გამაცილოთ სახლამდის, მომიცადეთ ტალანში“.

განცვიფრებული, რამოდენსამე ხანს ვიდექ იმავ ადგილს გაქვავებულსავით; წავიკითხე და გადვიკითხე რამდენჯერმე ეს ორი სტრიქონი და ჩემდაუნებურად ვიგრძენ, რომ რაღაც გამოურკვეველი სითბო შეუყენებელის ძალით მოედო მთელს ჩემს არსებას. ხალხი, არტისტები, თეატრის მსახურნი

ნელ-ნელა გალაგდნენ, ლამპარნი ჩაქრნენ, აქა-იქ კიდევ ჰბჟუტავდნენ გაზის რქები და ფიაკრის სანთლის შუქი, რომელიც მისავალში გაეჩერებინათ, დერეფნის მინებში ნაზადა თრთოდა. შუქი... მე ხშირად შემიმჩნევია, რომ ცხოვრების განსაკუთრებულს წუთებში, ხშირად ყურადღებას სულ უბრალო, უმნიშვნელო საგანი მიიპყრობს ხოლმე. მე კი არ შემიძლიან ისე მოვიგონო ეს, ევას მოლოდინის წუთები, რომ ჩემ წინ არ გამოკრთეს ამ წუთს ფიაკრის ლიფლიფის შუქი... მე არ ვიცოდი, საიდან უნდა გამოსულიყო ევა, და კიბეზედ და ტალანის სიღრმეში სულ უმნიშვნელო შრიალზე სისხლი მეცემოდა ხოლმე თავში. თითქმის ოცჯერ დავაპირე გავქცეულიყავ, დავმალულიყავ, მაგრამ რაღაც ანგარიშ-მიუცემელი შიში მაკავებდა იმავ ალაგს.

უცებ მომესმა ქსოვილის მსუბუქი შრიალი. ტალანის სიღრმეში გამოჩნდა ქალის ნაკვთი, მთლად გახვეული ტალმაში, პირბადე ჩამოფარებული. მან, მოახლოვებასთან ერთად, ხმაამოუღებლივ მომკიდა ხელი და კაბის ნაოჭების აწევით მითხრა:

— წავიდეთ.

ის იყო მეც გვერდზედ მოუჯექ დახურულს ეტლში, რომ მან ჩამოუშვა სარკმელი და თავი გაჰყო.

— კოლლისკენ!—უბრძანა მეეტლეს.—შემდეგ გაისწორა ტანისამოსის სამხრე, თვალებზედ ჩამოფხატული პირბადე მოიხსნა და ხმაამოუღებლივ მომაჩერდა თავის დიდრონის, ლაჟვარდოვან-მოელვარე თვალებით. მათში გამოითქმოდა გაუმაძღარი, თითქმის ბავშური ცნობის-მოყვარება.

— რა გქვიანთ?

— ენრიკო ლანჩი.

— რამდენის წლისა ხართ?

— ოცდახუთისა.

— დიდიხანია ფლორენციაში ხართ?

— არა, ორი თვე იქნება.

— და დიდხანს დარჩებით აქ?

— სამ-ოთხ წლამდის.

— მე კი თიბათვეში წავალ აქედამ.

ღამე იყო თბილი, მთვარიანი. აშკარად ვგრძნობდი მისს სუმბუქს, დამშვიდებულს, ბავშვურ სუნთქვას. როდესაც ეტლი მობრუნდებოდა ხოლმე, მთვარის შუქი ქურდულად გაიძაფებოდა შიგ და მისს ფერ მკრთალს, თითქმის გამჭვირვალს სახეს უცხო აჩრდილს აყენებდა. მისი ქერა თმა ისეთი სუმბუქი და თხელი იყო, რომ გამოურკვეველ ფერფლის ფერს ჩრდილს ემსგავსებოდა. ასე მეგონა, სიზმარში ვარ მეთქი.

— მომიტევეთ,—დაიწყო ბოლოს ევამ, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, თვალებ დახუჭულმა,—მე ისე დავიღალე...

მე მოვინდომე სარკმლის აწევა...

— თავი დაანებეთ! რა საოცნებო ღამეა!

— ასე ხომ შეიძლება გაცივდეთ!

— სრულებითაც არა.

შემდეგ გაიხედა ფანჯარაში და ღრმად ამოიოხრა.

— ღმერთო ჩემო! რა მშვენიერებაა!—და დიდხანს გაუნძრევლად გაიყურებოდა სადღაც შორს. უცებ მომიბრუნდა და სწრაფად მკითხა:

— რატომ არ მოხვედით ჩემსა?

მე არ ვიცოდი რა მეპასუხა. უეცარმა კითხვამ მთლად ამრია.

პასუხის მოუცდელად ევამ დაუმატა.

— თქვენ პოეტი ხართ?

— არა, მხატვარი.

— მხატვარი!—წაიბუტბუტა მან.—სადაური ხართ?

— სიცილიელი.

— შორს არის აქედამ სიცილია?

— დიახ.

— გინახავთ ნეაპოლში სან-კარლო?

— არა.

— მე იქ ვიქნები ქრისტესშობისთვეში.

უცნაური ბაასი იყო, მაგრამ არ მქონდა იმდენი დონე, სხვა მიმართულება მიმეცა მისთვის.

— მართალია, რომ საზოგადოდ სიცილიელნი იჭვიანები ხართ?

— ისევე, როგორც სხვანი.

— თქვენა, იჭვიანი ხართ?

— არ ვიცი, არ გამომიცდია ჩემი თავი.

— არ გამოგიცდიათ სიყვარული?

— არა.

— არას დროს?

— არას დროს.

ევა დაკვირვებით დამაცქერდა.

— თქვენ გიყვართ თქვენი ხელოვნება?

— დიახ.

— როგორც ქალი?

— შესაძლოა, როგორც ქალი.

— მერე და საიდან იცით, როგორ უყვართ ხოლმე ქალები, თუ თავის დღეში არ გამოგიცდიათ სიყვარული?

მაგრამ პასუხის თქმა აღარ მაცალა, თითქოს შეეშინდაო თავის გაბედულის კითხვისა.

— თუმცა კი, თქვენ, მხატვარნი, სულ სხვა ჯურის ხალხი ხართ. მე ვიცნობ ბევრს კაცებს, მაგრამ მათში არც ერთი არ არის მხატვარი. მე მითხრეს, რომ ისინი უცნაურნი არიან... კიდეც ამისთვის ასეთის ცნობისმოყვარეობით შემოგცქერით, ცბიერი ხომ არა ხართ, ჰა?

— არა.

— მგონი მეტის-მეტი ამპარტავანი უნდა იყვეთ და ახლოს გაცნობის ნებას არ მომცემთ... მე კი ისე ძრიელ მინდა თქვენი გულის საძირკველში ჩამოვიხედო. ხომ არა გწყინთ, რომ იშვიათ ნადირსავით გათვალიერებთ?

ევამ გულწრფელად გადიხარხარა. მეც გამეცინა.

— არ შეგეშინდეთ კი ამ ნადირისა!

მან ჩამომართვა ხელი.

— არა, არა, მხოლოდ დარჩით იმისთანათვე, როგორათაც მე მეჩვენებით... გულახდით, სინიდისის ქვეშ მითხარით, ძრიელ ხომ არ მოგაქვთ თავი, ხომ კარგი შეხედულებისა ხართ ქალებზედ?

— სრულებითაც არა.

— ნამდვილად?

— გარწმუნებთ.

— თქვენი წერილი ჩემ შესახებ ხომ საუცხოოა? მასში იმდენი სიწრფელეა, იმდენი გულუბრყვილობა იხატება!

მისი თავმოყვარება სრულის გულწრფელობით გამოითქვა ამ უკანასკნელს სიტყვებში. ამან მომისყიდა. მისი პაწაწა, ნაზი, რამდენადმე მოგრძო ხელი, ხავერდსავით ფაფუკი და უხელთათმანო, ჩემს ხელებში იდო.

— ახლა, მგონი, სრულებით გაგიმტყუნეთ ილლიუზიები.

მაგრამ სიტყვის თქმა კვლავ არ დამაცალა, გაჰყო სარკმელში თავი და ბავშვურის სიმკვირცხლით წამოიძახა:

— ერთი გაიხედეთ, რა მშვენიერებაა!

მეც გავყავი თავი სარკმელში. ეტლი მიისწრაფებოდა კელლის საუცხოო გზა-ტკეცილზედ; ევას სუნთქვა საამოდ მიციგლიგებდა სახეზედ. უცებ ცხენებმა მომეტებულად გაიწიეს, მისი თავი ჩემსას მოუახლოვდა, ჩვენი ლოყები ერთს წუთს შეეხნენ ერთმანერთს.

ევამ ოდნავ შეჰკიელა ჯ ღიმილით გაწითლებული მსწრაფლ ეტლის სიღრმეში გადაეშვა. მაგრამ მაშინვე გრძნობათა გამოცვლით მითხრა:

— რა შვენიერი ღამეა! გამოვიდეთ.

მე გავაჩერებინე ეტლი. ევა ფრინველსავით სუმბუქად გადმოხტა.

შეგვცივდა. იგი დამეყრდნო ხელზედ და ძალზედ მეკვროდა.

— ცივა!—და აქ მთლად აკახკახდა. ევას თრთოლა მეც გადმომედო.

— ვირბინოთო! — და ჩვენც პატარა ბავშვებსავით ვიწყეთ სირბილი; მისი ფეხები ოდნავ ეხებოდნენ დედამიწას, მისს კაბის ნაოჭთ შრიალი გაჰქონდათ; წამის-წამს იწევდა იგი სახეზედ ქარზედ აფრიალებულს სამხრეს.

— რა შვენიერებაა! რა საუცხოო ღამეა!

მისს პატარა კბილებს სიცივისაგან ერთი-ერთმანეთზე აკვამინებდა.

როცა ეტლში დავბრუნდით, ევამ დახურა სარკმელი და კუთხეში მიიჭუჭკა, ის მთლად ცახცახებდა და თან იცინოდა.

— ახლო მოიწიეთ, მცივა.

მე ჩავუდე ფეხებ ქვეშ ბალიში და ზედ ჩემი პალტო დავაფარე.

— მერე და ასე ხომ თქვენც შეგცივდათ. გავიყოთ.

და აქ გადმომადო მხრებზედ თავისი ხავერდის ტალმის ნახევარი.

— აი თქვენ ნახევარი — ხელებზედ შეგცივათ... ახ, რა პატარა ხელებია.

მე აშკარად ვგრძნობდი მისს, კუთხეში მიჭუჭკულ, ნაზი სხეულის თრთოლას. მისი თბილი, მათრობელი სუნთქვა ნაზად ეხებოდა ჩემს სახეს.

— რას გაჩუმებულხართ? კმაყოფილი ხართ თუ არა ამ სეირნობით?

— დიაღ.

— მეც... თქვენა ხატავთ ბუნებიდან?

— ვხატავ.

— გინდათ დახატოთ ჩემი სურათი?

— სიამოვნებით.

— ლამაზი კი გამომიყვანეთ!

— გამოგიყვანთ ისეთს, როგორიც ნამდვილადა ხართ...

— მოგწონვართ?

— დიაღ.

— მეც მომწონხართ.

ყოველსავე ამას ჩვენ ვეუბნებოდით ერთმანეთს გაბედულად, გულ-ახდით, და-ძმასავით, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მე გადავჯექ იმის პირდაპირ.

— რას შვრებით?

— თვალებში მინდა გიყურეთ.

მან წყნარად გაიღიმა. თავი უკან გადახარა, თვალები გაახილა, ტუჩები მოკუმა. მთელს მისს ნაკვთს რაღაც ჯერედ კიდევ გამოუცდელი, მაორობელი მომხიბლავობა ეტყობოდა ყოველს მიმოხვრაში.

ევამ უცებ გულიანად ვადიხარხარა.

— რა გიჟი რამა ვარ! მაგრამ ეს ისეთი ბედნიერებაა — ხან-და-ხან ჭკუაზედ გადირეო, მომეტებულად მაშინ, როდესაც ყველგან საშინელი მოწყენილობაა.

— თეატრში?

— თეატრში ყველაზედ უწინ.

— მაშ რატომ თავს არ დაანებებთ?

მან განცვიფრებისაგან თვალები ძალზედ დააჭყიტა.

— მერე და ეგ ხომ ჩემი ხელობაა.

— ა!

— თუმცა კი იქაც არის ხოლმე კარგი წუთები.

— როდესაც გამოგიძახებენ ხოლმე?

— დიახ... და ამასთან ბრწყინვალება, მუსიკა, აღტაცება, გრძნობა, რომ შენ ლამაზი ხარ, მოძხიბლავი...

— თქვენ ამასა გრძნობთ ხოლმე?

— რასაკვირველია... მიუმატეთ ყოველსავე ამას კიდევ... რაღაცა გამოურკვეველი შიში შენი სილამაზის გამო. ადვილად სათქმელია, რომ, აი, შენზედ არის მოპყრობილი ღიმილნი, ბინოკლები... ეს ისე ამაღელვებელია გულისა!... არა, ბევრი რამ კარგი არის თეატრშიაც. მეორეც, იმდენ მოხდენილ კაცებისაგან რამედ ღირს, მგონი, სმენა, რომ შენ ლამაზი ხარ ყველაზედ, იმ ამპარტაევან და პრანჭია მანდილოსნებზედ, რო-

მელნიც ისეთის დამამცირებელის ღიმილით, თითქმის ზიზღით გიყურებენ, გაწვრთნილ ძაღლებსავით...

— კულისებში ვიზიტები?

— ჰო, და სახლშიაც.

ყოველსაევ ამას მეუბნებოდა იგი თვალებში ყურებით, სრულიად დამშვიდებული, ნამდვილის გულწრფელობით.

— რა მოგვიდათ? რას გაჩუმდით?

— არაფერი.

— თქვენ არ მოგწონთ ჩემი გულახდილობა?

— ოჰ, არა!

— ყველას ვიზიტზედ კი თქვენი მომეტებულად მასიამოვნებდა. მოხვალთ?

— არა.

— როგორ თუ არა? რატომ?

დიდხანს ელოდდა ევა ჩემს პასუხს. ბოლოს ნაღვლიანად წარმოსთქვა:

— მე რომ დავკეტო კარები და აღარ მივიღო ეგ ბატონები, გამკიცხავენ და მაშინ პირველად თქვენთვისვე შევიქნები ინტერესს მოკლებული.

იმის სიტყვებში იმდენი ჭეშმარიტება გამოითქმოდა, რომ გული უნებურად მწუხარებით ამეესო.

ეტლი გაჩერდა.

— დაურეკეთ, გეთაყვა, ბელ-ეტაჟში.

ბელ-ეტაჟი განათებული იყო.

— სტუმრები გყავთ?

— დიახ, —მომიგო მან გულგრილად და მომკიდა ხელი.

უცებ რალაც დარდი შემოაწვა. ჩვენ მარტონი დავრჩით. ეტლი წავიდა. დაცარიელებულს ქუჩას მთვარის შუქზედ კაშკაში გაჰქონდა, ჩვენ ალაყაფის კარებთან ვიდექით.

— მაშ მოხვალთ, დამათვალიერებთ?—მკითხა მან.

— შეიძლება.

— რათა, „შეიძლება"? დამპირდით.

— ეშიშობ, ვერ აღვასრულო დანაპირები.

— შიშობთ, ვერ აღასრულოთ დანაპირები!—განიმეორა მან.

მე ვსდუმდი. ევამ მომიჭირა ხელი და გამიმეორა კვლავ.

— მაშ მოხვალთ?

— მოვალ.

— აი ეს მიყვარს! ხვალა?

— ხვალ.

— წარმოდგენის შემდეგ მოდით ჩემ წასაყვანად!

— თუ გსურთ...

— დიდად მასიამოვნებთ.

— მოვალ.

— ახლა კი ნახვამდის.

ევა შებრუნდა დერეფანში. ოც ნაბიჯამდის მექნებოდა თითქმის გავლილი გზა, რომ უკანიდან მომესმა ძახილი, ევა ჩემ სახელს იძახდა. პირველი გაგონება იყო იმის პირიდან ჩემი სახელისა. სისხლი თავში ამივარდა, დავბრუნდი. იგი იდგა კარებში, ზღრუბლზედ, მთლად განათებული მთვარის შუქით.

— სადა ცხოვრებთ?

მე ვუთხარი.

— რომელ სართულში.

— მესამეში—უკანასკნელში.

— ღამე მშვიდობისა!—და იგი განქრა.

აღტაცებული ვიდექ ევას სახლის ჭისკრის წინ. სავსე გულით ვისუნთქავდი ღამის გრილ სიოს, ვგრძნობდი, რომ გული ხან ძალზედ გამიგანიერდებოდა და ხან კიდევ ტკივილით შეიკუმშებოდა. მე იმედი მქონდა, რომ იგი განათებულ, თვალის მომჭრელ ფანჯრებიდან გადმომხედავდა, სადაც, იმის გარდა, ყველას აჩრდილები მოჩანდა. მე მშურდა ბედი ამ კაცებისა... ამპარტავნებით სავსენი, მოლიმარნი ისინი შესტრფოდნენ ევას მისს საკუთარს სახლშივე—ითრობოდნენ მისის სილამაზით, სტკბებოდნენ მასთან საუბარით, მისის ჭვრეტით, ღიმილით. თითქოს ელვის გამონაკრთობში დაეინახე ჩემი ხვედრი: ღარიბი, ეული, გაჭირვებაში მყოფი, მიტოვებუ-

ლი ვილაცის კარებ-წინ მე ვკანკალებდი სიცივისაგან და იჯ-ვები მახრჩობდნენ. რა უნდა ვქნა, რომ წავართვა ეს ქალი ამ ბედნიერთ? საშინელი გრიგალი ატეხილიყო ჩემს გულში და იმავ დროს კარგადა ვგრძნობდი, რომ საკმარისი იყო ასე-ვე გამეტარებინა კიდევ ერთი საღამოც, რომ სრულებით ამო-ვვარდნილიყავ ჩემი კალაპოტიდგან, მოვშორებოდი ჩემს ოც-ნებათ და საშინელს უფსკრულს მივცემოდი. მე შემაძრწუნა ამ ფიქრმა. თავმოყვარებამ მომაკრეფინა ლონე. მივეც ჩემს თავს სიტყვა, რომ არასდროს აღარ ვნახავდი ამ ქალს.

* * *

გათენდა მეორე დღე. გაიარა ამ დრომ, რა დროსაც ევასთან უნდა მივსულიყავი. საშინელი ბრძოლა გამოვიარე. ბარემ ოცჯერ დავაპირე გავქცეულიყავ და ჩავვარდნოდი ფეხ-ქვეშ, ათას გვარ მიზეზებს ვპოულობდი, თავგანწირვით ვეპო-ტინებოდი მათ ორთავ ხელებით და ადგილიდამ არ ვიძროდი. მე ვტიროდი და ბედნიერი ვიყავ, რომ ვერავინ ხედავდა ჩემს ცრემლებს.

ბოლოს ნაშუაღამევის პირველი საათი შესრულდა. ღრმად ამოვიოხრე, ითქოს დიდი რამ საქმე გამეკეთებინოს.

საშინლად ცივოდა. ძლიერი ქარი საშინელის ძალით აწვებოდა და არყევდა ფანჯრების ჩარჩოებს და კარებებს. იგი გაშმაგებით მოშხუოდა, ჰკვნესოდა ვიწრო ქუჩებში, ჯრნოს იქით ნაპირს და ყოველსაკენ ირგელივ ჰყინავდა. შევხედე თოვლს, რომელიც ეცემოდა მინებს და წუთით ფიქრებმა გამიტაცეს ჩემ დაშორებულს სამშობლო მხარისკენ, სადაც მშვიდი, ბედნიერი წუთები მივატოვე და ფუყე, მაცდურ მო-ჩვენებათ უკან დავედევნე; ვგრძნობდი, რომ ათასი სხვა და სხვა დიადი აზრები მაფრთოვანებდნენ და უნებურად ჩემს მომავალ სახელ-დიდებაზედ ვიწყე ოცნება.

მოულოდნელად ზარმა ძლიერად დაიწკრიალა. უცებ სკამიდგან წამოვხტი და, თითქოს გულზედ მომიჭირესო, რა-ლაცა უბედურების წინასწარ-მეტყველი გრძნობა მძიმე ლო-

დათ დამაწვა გულზედ. ავიღე სანთელი და კარების გასაღებად გავსწიე. ჩემ წინ ევა იდგა.

მთლად შეფუთნული, გაფითრებული, სიცივისაგან მთლად ათრთოლებული, იგი შემომცქეროდა მე და, ვფიცავ—მისს თვალებში ცრემლები ბრწყინავდნენ.

მოველოდი საყვედურს, დრამატიულ სცენებს, მაგრამ ამ გვარი არა მომხდარა-რა. იგი შემოვიდა, მიუჯდა ჩამქრალ ბუხარს და მშვიდად მითხრა:

— თქვენ არ მოხვედით.

— სინიორა!

მან წყნარად გაიღიმა. მისი წულები თოვლში იყო აძოგახგლული.

— ფეხით მოხველით?

— დიახ.

— რისთვის?

— არ ვიცი, ვგრძნობდი, საჭირო იყო ბოდიში მომეხადნა თქვენთან გუშინდელ საღამოს გამო.

იგი სცდილობდა ამასთან არ შეემჩნეინებინა თრთოლა და კბილების ცემა, თითქოს არ უნდოდა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ ჩემს სენაკში საშინლადა ციოდა. ამ თავაზიანობამ მომილბო გული, მე შემრცხვა ჩემის გაუხურებელი ბუხრისა, ღარიბულ ავეჯის და ძველის, სკამზედ მიგდებულ წამოსასხამისა. დავამტვრიე სამხატვრო დაზგები და ბუხარში ცეცხლი დავანთე.

ევას ფალურჯებულს ტუჩებზედ ღიმილმა გადურბინა. ნან გაუშვირა ბუხარს ათრთოლებული ხელები და წარმოსთქვა:

— რა მშვენიერი ცეცხლია!

დაეჩოქე; წამოსასხამის კალთით გავუწმინდე ფეხთსაცმელები და საფენის მაგივრად დავუგე ფეხქვეშ. ევა არ მეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ ჩუმად იცინოდა ბავშვსავით; შემდეგ დაიწყო ირგვლივ ოთახის თვალიერება ისეთის ყურადღებით, რომელმაც ჩემი ამპარტავნება სრულიად დააკმაყოფილა.

— ეს არის თქვენი სადგომი?

— დიახ.

— რა ბედნიერნი უნდა იყვნეთ მხატვარნი! ვინ იცის, რა მშვენიერი მოჩვენებანი გესტუმრებიან ხოლმ ამ გვარს კედლებში!

მოჩვენება თვით იგი იყო, ეს მოქნილი ნაკეთი, გაბრწყინებული მომხიბლავის ღიმილით, მისი დიდრონი, ნამიანი თვალები, მისი ხელები, მუხლებზედ დაკრეფილნი, მუქს კაბაზედ, რომელიც ლბილ ნაოჭებად შემოხვეოდა მისს საუცხოვოდ აყრილს ტანს!

— მიჩვენეთ რამე,—მითხრა ევამ. იგი წამოდგა და ჩემს სურათებს და ეტიუდებს დაუწყო ჩხრეკა, ყოველივე საშინლად აურ-დაურია, ათასგვარ კითხვებს მაძლევდა ზედი-ზედ, სხვადა-სხვა შენიშვნებს, მოკლებულთ ლოღიკურს კავშირს, მაგრამ სამაგიეროდ მოხდენილობით სავსეთ.

— მშვენიერებაა!.. მშვენიერება... რა კარგია!—იმეორებდა იგი ტაშის კვრით და ყოველსავეს საშინლად ურევდა.— როგორა ჰხატავთ ამისთანა მშვენიერს სურათებს? რასა გრძნობთ ხოლმე?

მაგრამ პასუხის მოუცდელად ევამ სწრაფადვე დაუმატა:

— მაჩუქეთ რამ.

— აირჩიეთ, რაც მოგწონთ.

— მომეცით რომელიმე პეიზაჟი. ეს რა არის? ზღვის სურათი?

— „ციკლოპებია“.

— რა არის—„ციკლოპები“?

— მაგას ეძახიან, აჩი-ტრეცცა'ში, ზღვის კიდეზედ ალმართულ უზარმაზარს ფრიალო კლდეებს.

— სიცილიაში?

— დიახ.

— რა კარგია!

მე ავიღე სამხატვრო კალამი და კუთხეში, ტილოს დავაწერე: „ევა, 22-ს მარტს“!

ამ წუთს მისი თვალები ჩემს ღარიბულს საწოლს მიაჩერდნენ. ტუჩებზედ კვალავ ახალმა ღიმილმა გადურბინა. იგი მივიდა ბუხართან, მიუჯდა გაჩაღებულს ცეცხლს და დაურიდებლად თვალიერება დამიწყო.

— მე კმაყოფილი ვარ ჩემის მოსვლით, მაგრამ თქვენ ძრიელ მაწყენინეთ.

— მომიტევეთ.

— მოსატევებელი არა გაქვსთ-რა. მე არც კი მიკითხავს, რატომ არ მოხვედით. როდესაც დავრწმუნდი, რომ თქვენ არ მიცდით ტალანში, მაშინვე მოვიაზრე რადაც არ შეასრულეთ თქვენი სიტყვა... და მე თვით მოველი.

მან გამომიშვირა ორთავ ხელები და ღიმილით, წყნარის, ნათელი თვალებით შემომხედა.

— შენ კიდევ იჭვიანობ?

— ოჰ, არა!

— ძრიელ გიყვარვარ?

— გაგიჟებით.

— არა ერთისა და ორისაგან მსმენია ეგევე.

— ევა, რას ამბობ?

— მაგრამ—მე შენი მრწამს. მარტო შენ შეგიძლიან აგრეთი სიყვარული! რა სიტკბოებაა! რომ იცოდე, რას ნიშნავს ქალისთვის აგრე მოეწონოს ვისმე! დიდხანს გაგრძელდება ნეტავ ეგ გრძნობა? ვინ იცის! საქმე მაგაშიც არ არის! ოღონდ, ერთად-ერთის წუთით მაინც ნამდვილი სიყვარული... იცი, მეც ხომ შემიყვარდი!

— შენცა? შენ?

— ჰო, მე შენ მიყვარხარ!

იგი ისე გულახდით, მშვიდად მიცქეროდა, რომ ამ უბრალოდ წარმოთქმულმა, გულწრფელმა სიტყვებმა თავბრუ დამახვია.

— ღმერთო ჩემო, მოსატყუარი რა მაქვს! მე მზადა ვარ მთელი ჩემი გული გადმოგიშალო და შიგ ჩაგახედო. და მე-

რე... შენ ხომ არ შეგიძლიან დაიფიცო, რომ მუდამ გეყვარე-ბი ისევე, როგორც დღეს?

— ჰო, ჰო!

— რა ბავში რამა ხარ!—მან ნაღვლიანად გაიღიმა.—არა ერთისა და ორისაგან მსმენია ეგეევე!

— ევა, ნუ მომაგონებ...

— რა შენი საქმეა! ამ ჟამად ხომ მარტო შენ მიყვარ-ხარ! დაიჯერე ჩემი გულწრფელობა, მე მართალს გეუბნები, სულ ერთია—ჟინია ეს თუ სიგიჟე. შენ ხარ სადა, არა ხარ მდიდარი, კოხტა-პრუწა, შენს გულში ხელოვნების სრული ძალაა დასადგურებული და მეორეც—შენ მაგისთანა თვალე-ბით შემომყურებ... აი, რისთვის მიყვარხარ. ხვალ, შესაძლოა, რომელიმე ლამაზი ჭაბუკის ყელსახვევი მომეწონოს მე, შენ კიდევ-მოდისკის წითელი ხელები. და განა სისულელე არ იქნება ჩვენის მხრივ ბედნიერების წუთები მოვიშოროთ თავიდამ? ის ხომ ისე გვილიმის! ჩვენ მაინცა და მაინც ათას-ჯერ ვჯობივართ იმ მატყუარებს, რომელნიც დღეს ლაპარა-კობენ ტყუილს და თავის გულში პირობას სდებენ ხვალ კიდევ მეტი იცრუონ. მე ჯერ არავინ მყვარებია. შენა? ვინ იცის, რამდენი ქალი დაატკბე შენის სიყვარულით! დღეს შენ მომწონხარ მე და მეც მიხარია, რომ ეს შემიძლიან შენ გითხრა, მაგრამ ხვალ... ვინ იცის, ხვალ რა იქნება! ახლა ხომ ხედავ, რა გულახდით გელაპარაკები და შენის მხრივ უსამართლობა იქნებ იქვიანობა.

მისს უწყალო, მაგრამ სიმართლით სავსე, სიტყვებში იმდენი გულახდილობა, გულითადობა გამოიხატებოდა, რომ ენებურად მოვიხიბლე. უწინ თავს გავიჩეხდი, ვიდრე უარს ვიტყოდი ამ ქალის სიყვარულზედ, რომელიც მარწმუნებდა, რომ ვუყვარდი და ერთსა და იმავე დროს მიწინასწარმეტყვე-ლებდა წუთს, როდესაც აღარ ვეყვარებოდი.

იგი იჯდა ჩემს პირდაპირ ბუხართან; ჩვენი მუხლები თით-ქმის ეხებოდნენ ერთმანეთს, ხელები შეერთებული გვქონდა, შემომყურებდა ნდობით სავსე ღიმილით.

— ᲰᲮᲔᲓᲐᲕ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓᲐ ᲕᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲮᲐᲠ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲥᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲪᲔᲪᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲨᲔᲜᲗᲐᲜ, ᲨᲔᲮᲕᲔᲣᲚ-ᲨᲔᲤᲣᲗᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲛᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲔᲡᲬᲝᲜᲔᲑᲝᲓᲘ...

ᲑᲣᲮᲐᲠᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲩᲐᲥᲠᲐ; ᲘᲛᲐᲜ ᲓᲐᲘᲩᲝᲥᲐ, ᲘᲛᲐᲜ — ᲐᲛ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲛᲐ, ᲜᲐᲖᲛᲐ, ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐ-ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲛ, ᲓᲐᲘᲩᲝᲥᲐ ᲓᲐᲛᲭᲕᲐᲠᲢᲚᲣᲚ, ᲜᲐᲪᲠᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲑᲣᲮᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲭᲠᲐᲚᲡ ᲛᲣᲒᲣᲖᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲑᲔᲠᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲩᲐᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲛᲔ ᲛᲘᲕᲘᲮᲔᲓ-ᲛᲝᲕᲘᲮᲔᲓᲔ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲕᲔᲫᲔᲑᲓᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲣᲮᲐᲠᲨᲘ.

ᲔᲕᲐᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲐᲛᲩᲜᲘᲐ.

— ᲐᲮᲚᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ, ᲩᲐᲘ ᲓᲐᲕᲚᲘᲝᲗ.

— ᲡᲐᲓᲐ?

— ᲩᲔᲛᲗᲐᲜ.

— ᲛᲔᲠᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ? ᲤᲔᲮᲘᲗ?

— ᲰᲝ, ᲤᲔᲮᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲨᲔᲜ ᲛᲝᲛᲪᲔᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲐᲛᲡ.

— ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ.

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲘᲓᲒᲐ; ᲗᲝᲕᲚᲡ ᲡᲥᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲤᲐᲠᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ. ᲔᲕᲐ ᲪᲐᲮᲪᲐᲮᲔᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲐᲪᲔᲚᲘᲝᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔᲓ; ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲔ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲒᲐᲩᲐᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲔᲕᲐ ᲛᲝᲛᲔᲙᲠᲝ ᲛᲮᲐᲠᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲝᲛᲘᲭᲘᲠᲐ ᲛᲙᲚᲐᲕᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲗ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲝᲛᲙᲕᲠᲝᲓᲐ.

— ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ,—ᲩᲐᲛᲩᲘᲣᲠᲩᲚᲐ ᲘᲛᲐᲜ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗ:—ᲛᲔ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲜᲔᲜ.

ᲛᲐᲜ ᲛᲝᲛᲙᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲙᲘᲑᲔᲖᲔᲓ.

— ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲓ! ᲐᲠ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲝᲜ! ᲒᲐᲐᲥᲠᲔ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ!

ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔ ᲦᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘ ᲩᲐᲥᲠᲐ. ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲛ ᲛᲝᲒᲕᲘᲪᲕᲐ ᲝᲠᲗᲐᲕᲔᲜᲘ. ᲛᲔ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲘᲡ ᲡᲣᲜᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ; ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲖᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲓᲜᲐᲕ, ᲨᲘᲨᲘᲗ, ᲓᲐᲠᲔᲙᲐ. ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲛᲔ

მოახლემ მაშინვე გაგვიღო კარი. ევამ რაღაც ჩასჩურჩლა მას. შემდეგ ხელი მკრა და შემაგდო ტალანში, თვით კი უჩუმრად განქრა მეორე კარებში.

მოახლემ შემიყვანა ოდნავ განათებულს საწოლ ოთახში.

ალ. დ. წინამძღვრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ირლანდია

მე-XIX-ე საუკუნეში

(შესავალი)

ირლანდია პატარა კუნძულია—გარს ზღვა და ოკეანი არტყია. ამ ქვეყნის ბუნება მეტად ღარიბია. მიწა კართოფილის მეტს არას იძლევა. არე-მარე ძრიელ მოსაწყენია, სულ მუდამ ნისლი და ბურუსი ტრიალებს. ძველის დროიდამ აქ სცხოვრობს ხალხი, კელტების ჩამომავლობისა, რომელსაც „აირიშებს“ ანუ ირლანდიელებს უწოდებენ. ძველ დროში ირლანდია იყო დამოუკიდებელი სამეფო. მის დამოუკიდებლობას საშუალო საუკუნებში ბოლო მოუღო ინგლისმა. ინგლისმა შემოიერთა ირლანდია, ე. ი. თავის მეფეებს და პარლამენტს დაუქვემდებარა ეს ქვეყანა. ხოლო პირველხნობით არ გააუქმა ირლანდიელების საკანონმდებლო კრებული, ე. ი. პარლამენტი. ასე იყო 1800 წლამდე. ინგლისს და ირლანდიას ჰყავდათ საერთო მმართველობა, საერთო აღმსრულებელი ძალა, ხოლო ამასთან თავ-თავიანთი პარლამენტი ჰქონდათ, ე. ი. იმგვარი დაწესებულებანი, რომელნიც სცემდნენ სხვა და სხვა კანონებს, ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით. ამნაირ წესს ბევრი ინგლისელი არ თანაუგრძნობდა. მათ უხდოდათ ირლანდიის სრული მორჩილება და ეს თავისუფლების მგზავსი სისტემა თვალში არ მოზდიოდათ. ირალნდიის და ინგლისის შორის ხშირად უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე. ამ უთან-

ხმოებამ თვალ საჩინოდ იჩინა თავი ორ შემთხვევაში—ერთხელ მაშინ, როდესაც ინგლისს და ამერიკას შუა გაიმართა ომი; მეორედ—როდესაც საფრანგეთმა გამოუცხადა ომი ინგლისს (1770—1798) ორივე შემთხვევაში ირლანდიის თანაგრძნობა მიმართული იყო ინგლისის მტრებისაკენ—ამერიკელებისაკენ, რომელნიც იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და, ფრანგებისაკენ, რომელნიც იცავდნენ თავიანთ ახლად დაარსებულ რესპუბლიკას და რევოლუციის პრინციპს. ინგლისი აიძულებდა ირლანდიელებს ომში გამოსულიყვნენ და ამ გარემოებამ გამოიწვია ხალხის დიდი უკმაყოფილება. ხალხი სხვანაირადაც იყო შევიწროებული: მთელი თავისს ნაამაგარს მემამულე—ინგლისელებს აძლევდა და თვითონ მშიერ-მწყურვალე იმყოფებოდა. ამასთან, როგორც კათოლიკეთა სარწმუნოებისა, მას არ ჰქონდა უფლება თავისუფალ ლოცვისა და აღსარებისა. ყველა ამ გარემოებამ ხალხი ააღელვა, ააჯანყა და ხელში იარაღი ააღებინა. ინგლისელებს და ირლანდიელებს შუა მოხდა ცხარე შეტაკება. დიდ-ძალი ხალხი დაიხოცა ამ შეტაკებაში, ბევრი სისხლი დაიღვარა. ბოლოს ინგლისელებმა გაიმარჯვეს. აუარებელი ჯარი ჩააყენეს ირლანდიაში. სამხედრო კანონები და წესი შემოიღეს და ბოლოს მოუსპეს ირლანდიელებს თვითმმართველობის დაწესებულება—პარლამენტი. ეს მოხდა 1800 წელს.

ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა ირლანდიის ისტორიისა, ის ხანა, როდესაც პატარა ირლანდიელ ხალხის ტანჯვა გაორკეცდა, როდესაც ამ ტანჯვამ ისე შეაწუხა ხალხი, რომ გადაიწყვეტინა: ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, კანონიერი და უკანონობა, შევიმსუბუქოთ მწარე ბედიო. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდამ იწყება ის ხანაც, როდესაც შრომით, წვალებით და მხნეობით, ირლანდიელებმა დაუდვეს საფუძველი ახალ მომავალს. და აი ამას მოგითხრობთ მოკლედ ამ ჟამად.

I

როგორც ვსთქვით, 1800 წლამდე, ირლანდიას ჰქონდა თავისი პარლამენტი, რომელიც კარგათ თუ ავად განაგებდა ადგილობრივ საქმეებს. ეს პარლამენტი წაართვეს ირლანდიელებს. ამის გარდა, ირლანდიელები სარწმუნოებით კათოლიკები არიან, მათი რიცხვი მე-XIX-ს დასაწ. 4-5 მილიონამდე იყო. ხოლო ამ კათოლიკეთა შორის ცხოვრობდნენ აგრეთვე გადმოსახლებული ინგლისელები, რომელნიც პროტესტანტების სარწმუნოებას ეკუთვნოდნენ. იმ ხანაში ჯერ კიდევ გამწვავებული იყო სარწმუნოებრივი ბრძოლა. ინგლისში, სადაც მხოლოდ უმცირესობა იყო კათოლიკები, სდევნიდნენ მათ, ავიწროებდნენ და არავითარ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებს არ აძლევდნენ. თუმცა ირლანდიაში პროტესტანტი—ინგლისელები უმცირესობას შეადგენდნენ ($^1/_7$), მაინც ისინი იყვნენ ბატონები. მათი სარწმუნოება და საყდარი სახელმწიფო სარწმუნოებად იყო ცნობილი. საყდრებს დიდძალი მამულები ჰქონდათ და მათ აძლევდნენ ღალას ირლანდიელები. ყოველ გვარი უმაღლესი და საშუალო თანამდებობაც სულ ინგლისელ-პროტესტანტების ხელში იყო. კათოლიკებს არამც თუ არ ჰქონდათ მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებები, მათ თითქმის ლოცვის უფლებაც ჰქონდათ წართმეული. ამ ნიადაგზედ იბადებოდა ხალხის უკმაყოფილება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უნდა ვიცოდეთ, რომ ირლანდიელი ხალხი ქონებრივადაც ძრიელ შევიწროებული იყო. ირლანდიაში დიდი უმრავლესობა, მეტადრე საუკუნის დასაწყისში, მეურნეობას მიზდევდა. მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებს ერთი მტკაველი მიწა არ ჰქონიათ საკუთრებად. მთელი ტერიტორია ინგლისელ დიდ-მემამულებს ეჭირათ (ლენდლორდებს, როგორც იქ ეძახიან). ამ მიწას პატარ-პატარა ნაჭრებად იჯარით აძლევდნენ გლეხებს. ხოლო მემამულეებს ჰქონდათ უფლება მიწიდამ გლეხების აყრისა. ასე რომ ხშირად მოხდებოდა ხოლ-

მე, რომ ცხოვრობს ირლანდიელი გლეხი ათის, ოცის წლის განმავლობაში მიწაზედ, აშენებს სახლს, იჩენს საქონელს და სხვა. ვნახოთ არ მოუვიდა თვალში მემამულეს. მემამულე ითხოვს გლეხს, ჰყრის მიწიდამ და ხელ-ცარიელს ისტუმრებს. ამგვარმა ეკონომიურმა დამოკიდებულებამ, რომელიც თვითნებობაზედ იყო აშენებული, მეტად შეაწუხა ხალხი, გააღარიბა, გააღატაკა იგი და მწარე ბედი აწყევლინა. მიუმატეთ ამას ისიც, რომ ინგლისელ-პროტესტანტ-გლეხები, რომელთ რიცხვი, მართალია, პატარა იყო, შედარებით კარგათ სცხოვრობდნენ. მუმამულეს არ ჰქონდა უფლება მათის აყრისა მიწიდამ. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა საქმე. უსამართლობა, მიდგომილობა და გულქვავობა ირლანდიელებისადმი უფრო თვალსაჩინოდ ჩნდა. მე-XIX საუკ. ირლანდიის ისტორია ამ უსამართლობასთან ბრძოლაა და ამ უსამართლობის გასწორებაᲐ. და იმ თაეითვე მათი სურვილა იყო 1) დამოუკიდებელი პარლამენტის აღდგენა, 2) სარწმუნოებრივი თავისუფლება და აქედამ წარმომდგარი მოქალაქობრივი თავისუფლება და 3) გლეხკაცების მიწაზედ დამყარება და გაუქმება მემამულეების თვითნებობისა. ამ სამ უმთავრესს კითხვიდამ წარმოსდგა სამი უმთავრესი სამი მოძრაობა, პარტია, რომელიც საუკუნის განმავლობაში მოქმედობდა ირლანდიაში და ინგლისში მრავალტანჯულ ხალხის განთავისუფლებისათვის. პირველ პარტიას ჰქონდა უფრო **პოლიტიკური** ხასიათი: მისი უმთავრესი სურვილი იყო ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენა; მეორე პარტია **სარწმუნოებრივი** თავისუფლებისათვის იბრძოდა; მესამე პარტიის მიზანი იყო **სოციალური** კითხვა,—ხალხის ეკონომიური განთავისუფლება. საყურადღებოა, რომ ამ პარტიებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და ამიტომ ისინი ხშირად შეთანხმებულად მოქმედობდნენ. ყველას ესმოდა, რომ უმთავრესი კითხვა, ურომლოდაც დანარჩენ კითხვების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, **ერთგნულ დამოუკიდებლობის** კითხვა იყო. ეროვნულ დამოუკიდებლობაზედ იყო დაფუძნებული სარწმუნოებრივი, მოქალაქობრივი და სოციალური თავისუფლება ირლანდიელ ხალხისა. ინგლისი

ჰბატონობდა ირლანდიაში და, რასაკვირველია, ყოველთვის ხელს აძლეედა ინგლისის საყდარს, ინგლ. მღვდლებს და ინგლისელ დიდ-მემამულებს—ლენდ-ლორდებს. ინგლისის პროტესტანტ—საყდრის უპირატესობის მოსპობა ძნელი იყო, ინგლისელ ლენდ-ლორდების ალაგვა შეუძლებელია, სანამ ინგლისი ჰბატონობდა ბოლიტიკურად ირლანდიაში. ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ ყველა პარტიები ერთნაირად თანაუგრძნობდნენ ირლანდიის ეროვნულ დამოუკიდებლობას და აგრეთვე ამითი აიხსნება, რომ ყველა ირლანდიელ პარტიებს ერთგვნული ხასიათი ჰქონდათ.

II

უნდა ვსთქვათ, რომ, როდესაც ირლანდიის პალატა ჯერ კიდევ ძალაში იყო, 1780 წ. მან გაიყვანა ერთი ღირსშესანიშნავი კანონი კათოლიკეთა შესახებ. ირლანდიელ გლეხებს (კათოლიკებს) მიენიჭა საარჩევნო უფლება. ხოლო, როდესაც ირლანდიის პარლამენტი მოისპო, და ირლანდია დაექვემდებარა ინგლისს, ინგლისის კანონ-მდებლობა შეიქმნა სავალდებულო ირლანდიელებისთვის. ინგლისში კი იმ ხანში კათოლიკებს არავითარი პოლიტიკური უფლებები არა ჰქონდათ. ასე რომ ირლანდიელი კათოლიკები პოლიტიკურის მხრივ მაღლა იდგნენ ინგლისელ კათოლიკებზე. ინგლისმა, რასაკვირველია, ეს უპირატესობაც წაართვა ირლანდიელებს და ერთ დონეზედ დააყენა ინგლისელ-კათოლიკებთან. ამ გარემოებათა ძალდატანებით, ირლანდიელებ თავისი მოქმედება გადაიტანეს ინგლისში, ინგლისის პარლამენტში და იქ შეუერთდნენ ინგლისელ ლიბერალებს, რომელნიც თანაუგრძნობდნენ კათოლიკეთა განთავისუფლებას. ცნობილი ირლანდიელი წარმომადგენელი, გრატანი 1813 წ-ამ მოყოლებული სულ მუდამ აყენებს კათოლიკეთა კითხვას ინგლისის პარლამენტის საყურადღებოდ. პირველ ხანში ვერას გახდა. ყურს არავინ არ უგდებდა. ინგლისელი მეფე გიორგი IV-ე წინააღმდეგი

იყო სარწმუნოებრივ თავისუფლებისა. ლორდების პალატაც ხომ მტერი იყო ამ კითხვისა. ამ ხანში ირლანდიაში მეტად გამწვავდა კათოლიკეთა მდგომარეობა. ამან გამოიწვია (1823 წ.) „კათოლიკეთა ასოციაციის“ (საზოგადოების) დაფუძნება ირლანდიაში, რომელიც თავისუფლების სახელით ითხოვდა კათოლიკეთა განთავისუფლებას. მთავრობამ გააუქმა ეს საზოგადოება. ბოლოს საქმე მაინც პარლამენტამდის მივიდა და ჯერ მინისტრ კანინგის, მერე პილის დახმარებით, 1829 წ. გამოსცეს კანონი, რომლის ძალით ზოგიერთი განსაკუთრებული ზომები კათოლიკეთა წინააღმდეგ მოსპობილ იქმნენ. მაგრამ რადგან ამ ახალი კანონის ძალით არ ირღვეოდა არსებული უთანასწორობა, ამისათვის, რასაკვირველია, ირლანდიელი ხალხი არ იყო დაკმაყოფილებული და მეტის მხნეობით შეუდგა ბრძოლას. საქმე ის არის რომ ირლანდიელებს მაინც არა ჰქონდათ მოხელეების თანამდებობის უფლებები (მოჰრიგებელ-მოსამართლებისა, მსაჯულებისა და ადმინისტრატიულ მოხელეებისა). არც ხარჯის გადახდა ინგლისელ საყდრების და ეკკლესიის შესანახად შეუმცირეს მათ. და ამასთან ხალხი მეტის-მეტად გაღარიბებული და წელში მოწყვეტილი იყო. (რიცხვით ძალიან იმატა, ასე რომ 1826 წ. ირლანდიაში 6.800.000. ითვლებოდა, ხოლო 1836 წ. 8.670.000.) ამოდენა ხალხი სხვის მიწებზე სცხოვრობდა. ირლანდიის ტერიტორია საშინლად დაიკუწა პატარ-პატარა ნაჭრებათ და გლეხებს მიწაზედ სამუდამო ყოფნის უფლება არა ჰქონდათ. იმ დროინდელი მწერლები შემაძრწუნებელ სურათს გვაძლევენ ხალხის ცხოვრებისას. ირლანდიელები მიწაში ჩამძვრალ უფანჯრო ქოხებში სცხოვრობდნენ. მათ პირდაპირ მიწაზედ ეძინათ ძროხებთან და ღორებთან ერთად. საკვებად მარტო კარტოფილი ჰქონდათ და სასმელად—წყალი. ეს კიდევ არაფერი. შესაფარი მაინც ჰქონდა ხალხს, უბედურება ის იყო, როდესაც ინგლისელი მებატონე ითხოვდა ხოლმე თავის მოიჯარადრეებს და სტოვებდა მათ ულუკმა-პუროდ, უსახსროდ, უმიწა-წყლოდ.

ხალხის გაჭირვება წარმოუდგენელი იყო, მას სიკვდილი ერჩივნა და მალე აირჩია კიდეეაც ეს გზა. ხოლო სანამ იქამდე მივიდოდა, სხვანაირადაც ბევრი ეცადა თავისი ბედი შეემსუბუქებინა.

ამ ხანაში პატრიოტები, კათოლიკები და რევოლიუციონერები შეერთებულად მოქმედებდნენ და მათი წინამძღოლი, გამოჩენილი ირლანდიელი, ო, ოკონელი სამივე პარტიის ინტერესებს იცავდა, რადგანაც თვით ცხოვრებაში ერთი მეორესთან ვიწროდ იყვნენ დაკავშირებულნი. თავისუფლების და თანასწორობის ინტერესი მოითხოვდა—გაუქმებას პროტესტანტების უპირატესობისას, მათთვის ხარკის ძლევას, გაუქმებას მოქალაქობრივ უთანასწორობისას, ირლანდიელების არ შეწყნარებას სამოქალაქო ასპარეზზე, გაუქმებას ინგლისელ მემამულეების ყოვლად-შემძლებლობისას. პატრიოტული, სარწმუნოებრივი და ქონებრივი ინტერესი ერთი-ერთმანეთში გადაწნული ერთ დროშის ქვეშ იწვევდა ყველა მათ, ვისაც თავისუფლებას ცეცხლი უღვიოდა გულში და ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლე არ მოჰბეზრებოდა. ო'ოკონელმა შეაერთა სხვა-და-სხვა ჯგუფები და უთხრა, ხალხის ინტერესი მოითხოვს შეთანხმებულ მოქმედებასო. ირლანდიაში გამოცოცხლდა სიცოცხლე, ხალხი აღელვდა, შეინძრა, შეირყა. ათი ათასობით იყრიდა თავს ქალაქების მოედნებზე, ბჭობდა და ემუქრებოდა თავის მტარვალებს. მთავრობაც, თავის მხრით, რასაკვირველია, გულ-ხელ დაკრეფილი არ იმყოფებოდა. ჯარის და მოხელეების შემწეობით ეგრედ წოდებულ „წესს" იცავდა. დააპატიმრა მოძრაობის მოთავე ო'ოკონელი და აგონებდა ხალხს, რომ ძალა ჩემ ხელშია და ამიტომ იმას ვიზამ, რაცა მსურსო.

III.

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ირლანდიელების მოთმინებასაც მოელო ბოლო. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ისინი კანონს არ გადასცილებოდნენ

და კანონიერის საშუალებით რაიმე ლონე ეღონათ და თავისი ტანჯვა შეემსუბუქებინათ. ბოლოს იმედები გაუცრუვდათ და სხვა გზა ირჩიეს. მართალია, ხალხის უმრავლესობა მშვიდობიანობის დარღვევას ვერ ჰბედავდა, ის ემორჩილებოდა ჯერ კიდევ ო,ოკონელს და კათოლიკეთა მღვდლებს, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ არეულობისა დი აჯანყებისა. მაგრამ ამ ხალხში, იმის ერთ ნაწილში მაინც დაიბადა ჯგუფი, რომლის სურვილი იყო იარაღით ბრძოლა. ამ ჯგუფის მიმართულება იყო რევოლუციონურ-დემოკრატული, ხოლო მათ დემოკრატიზმს წმინდა ეროვნული ხასიათი ჰქონდა, რადგან ისინი ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ იარაღის საშუალებით ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას: ეს იყო იმისთანა მიუცილებელი პირობა, ურომლოდაც ხალხის გაჭირვების, სოციალურ კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ამ ჯგუფს დაერქვა „ახალგაზდა ირლანდიის“ სახელი. ახალ გაზდა ირლანდიელებმა გასწყვიტეს ყოველი კავშირი ო'ოკონელთან და კათოლიკეთა მღვდლებთან, რადგან ამათ არ ჰსურდათ კანონის დარღვევა და ქუჩაში იარაღის გამოტანა. ახალგაზდა ირლანდიელების აზრით მოქმედების ტაქტიკა უნდა შეცვლილიყო და მთავრობის ძალმომრეობაზედ ძალმომრეობით უნდოდათ გაეცათ პასუხი.

ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ააფიქრა ინგლისის მთავრობა. პარლამენტში აღიძრა კითხვა, ირლანდიელებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ აჯანყებას აპირებენო. მინისტრ პილმა შეიტანა კანონ-პროექტი ირლანდიელებისთვის სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ და განსაკუთრებულ კომისიის დაფუძნების შესახებ. ამ კომისიას დაევალა გლეხების მდგომარეობის შესწავლა და გააუმჯობესობა მოიჯარადრეთა ცხოვრებისა. ეს იყო 1845 წელს. მაგრამ ამავე ხანში ირლანდიას საშინელი უბედურება ეწვია. კარტოფილს, ერთადერთ ხალხის საკვებს, რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა და მას მოჰყვა საერთო შემაძრწუნებელი შიმშილობა. ხალხი ქალაქებს მიაწყდა, მათხოვრობა დაიწყო, ბალახით და ნაპოვნი ქერქე-

ბით ირჩენდა თავს. გაჩნდა საშინელი ავადმყოფობა, რომელმაც მუსრი გაავლო ხალხს, მეტადრე წვრილფეხობას. გაივსო ქუჩები და შარა-გზები ადამიანთა მძოვრებით, რომელთაც ეხვევოდა გათამამებული ძერა-ყორნები და ტყიდან გამოსული ნადირი. თითქოს აივსო და გაიჟენთა დედა-მიწა ცრემლებით და დაღვრილ სისხლით*). ვინც ამ უბედურებას გადარჩა, ფიცი მისცა თავის თავს სამაგიერო გადაეხადა ამ ტანჯვისა და მწუხარების მქმნელებისათვის და ამ დროიდან დაიწყო ირლანდიაში და თვით ინგლისშიაც განუწყეტელი არეულობა.

როგორც ვსთქვით, მთავრობამ მოისურვა ზოგიერთ რეფორმის შემოღება. შიმშილობამ უფრო დააშურა ეს საქმე. ინგლისის პარლამენტში იჩინა თავი შესანიშნავმა სახელმწიფო მოღვაწემ პილმა, იმ პილმა, რომელიც წინადაც ზრუნავდა ირლანდიაში რეფორმების შემოღების შესახებ, ხოლო რომელსაც, სანამ დიდი გაჭირება არ დაადგათ, არ უჯერებდნენ. და ახლაც, თუმცა პარლამენტში საკამათოდ მიიღეს ამ მინისტრის წინადადება, მაგრამ ყველა ამას დიდი შედეგი არ მოჰყვა. პილს უნდოდა, რომ კათოლიკეთა სარწმუნოების გლეხები იმ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რა მდგომარეობაშიაც იყვნენ გადმოსახლებული პროტესტანტ—ინგლისელები. (როგორც წინადა ვსთქვით, მებატონეებს ნება არა ჰქონდათ ბინიდან აეყარათ ეს უკანასკნელები). თუმცა დეპუტატთა პალატაში ბევრნი თანაუგრძნობდნენ ამას, ლორდების პალატაში ვერ გავიდა ეს წინადადება (1845 წ.) შემდეგ ამისა, პილმა კიდევ ორი წინადადება შეიტანა პალატაში: მოიჯარადრეების მდგომარეობის შემსუბუქებაზე და დავალიანებულ მამულების გაყიდვაზე. იმას იმედი ჰქონდა, რომ მემამულე, რომელსაც ვალი არ შეაწუხებს, უფრო სინიდისიერად და ადამიანურად მოეკიდება თავის მოიჯარადრეებს. იმ ჟამად დავალიანებული მემამულეები ბევრნი იყვნენ ირლანდიაში. მდიდრულად სცხოვრობდნენ და

*) ამ ხანაში მცხოვრებთა რიცხვმა ძალიან იკლო, 8.170.000-დან 1851 წ. დაიწია 6.500.000. 1781 წ.—5,100.000.

რაც აკლდებოდათ, ართმევდნენ მიწას მომუშავეთ. პალატაში ეს მეორე წინადადება გავიდა, პირველი კი შეაფერხეს. (1848 წ.) ყველა ამითი საქმე არ გასწორდა. ახალი მემამულეები (ესენი ყოველთვის ინგლისელი ლორდები იყვნენ)—არა დავალიანებულები, ძველად დამყარებულ წესის ძალით ითხოვდნენ ბინიდან გლეხებს და არა ნაკლებ აწუხებდნენ მათ. ასე რომ მთავრობამ ვერ შეუმსუბუქა ხალხს მძიმე უღელი და ამ ხალხის დრტვინვა და უკმაყოფილება ღღითი-ღღე იზრდებოდა. გაჩნდა ყაჩაღობა, მემამულეების მკვლელობა. „ახალგაზდა ირლანდიელთა“ პარტიამ კიდევ ამოჰყო თავი. დაარსდნენ ფარული საზოგადოებები, კლუბები. ყველა აღელვდა, ფეხზე წამოდგა, წელში გაიშალა. ამ ხანაში საფრანგეთშიაც რევოლიუცია მოხდა (48 წ.) ირლანდიელებმა ადრესი გაუგზავნეს საფრანგეთის მაშინდელ დროებით მმართველობას, დახმარება სთხოვეს. საქმე ძალიან გამწვავდა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღო, აუარებელი ჯარი ჩააყენა ირლანდიაში. 118 მოთავე კაცი დააპატიმრა და დაქსასა. ჯარს ხალხთან მოუვიდა შეტაკება. ბოლოს, რასაკვირველია, ფიზიკურმა ძალამ სძლია და დროებით მოსპო მოძრაობა. დადუმდა ხალხი და ქედი მოიხარა. თითქოს დამშვიდებულად, წყნარად დაიწყო ცხოვრებამ მიმდინარეობა. ხალხი იკრებდა ძალას, სულს იბრუნებდა. ხალხის გულში ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მწიფდებოდა ახალი აზრი და გრძნობა... მოისვენა, შემოიკრიბა ძალ-ღონე და კიდევ აჯანყდა, ზღვასავით აღელდა და აღშფოთდა; და ხელმეორედ ბევრი კაცი და ქალი იმსხვერპლა თავის ტალღებში.

IV

შიმშილობის დროს დიდძალი ხალხი გადასახლდა ამერიკაში. (1848). ირლანდიაში, როგორცა ვსთქვით, აჯანყება მოხდა და ამ აჯანყებამაც აუარებელი კაცი და ქალი იმსხვერპლა. პირველის შეხედვით, ყველა ამ ამბების შემდეგ, თითქოს მოისპო პოლიტიკური სიცოცხლე ირლანდიაში, თითქოს

შესდგა ცხოვრების მიმდინარეობა. ხოლო ეს იყო დროებითი. ახალმა მოძრაობამ თავდაპირველად იჩინა თავი ამერიკაში. იქ, გადასახლებულ ირლანდიელთა წრეებში, შესდგა ფარული ნაციონალური საზოგადოებები, რომელთაც „ფენიენებს“ ეძახოდნენ. ამ ფენიენებს, ფარულ (რევოლუციონურ) საზოგადოებებს სურვილი ჰქონდათ გაენთავისუფლებინათ ირლანდია ინგლისის მონობისაგან, დაემყარებინათ რესპუბლიკა და შემდეგ ამისა მიწის-მფლობელობის და იჯარადრობის კითხვა გადაეწყვიტათ. ფენიენებს ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, აგრეთვე იმ ირლანდიელ ჯარის კაცებისა, რომელნიც ამერიკის განთავისუფლების დროს ინგლისელებს წინააღმდეგ იბრძოდნენ. დიდძალი ირლანდიელი ინგლისის ჯარშიაც იყო. მათიც იმედი ჰქონდათ „ფენიენებს“. ამგვარ განზრახვებით წამოვიდნენ ისინი ირლანდიაში და ინგლისში. ირლანდიაში დააარსეს ფარული გაზეთი და მოჰფინეს სხვა-და-სხვა მოწოდებებით მთელი ქვეყანა. მაგრამ არც მათ გაულიმა ბედმა. ფარული სტამბა ალკრძალეს, ჟურნალი დაიჭირეს და მასთან—საქმის მოთავენიც, რომელნიც სასიკვდილოთ იყვნენ დასჯილნი. ამის შემდეგ „ფენიენები“ კიდევ ერთხელ ეცადნენ ფეხზე აეყენებინათ მთელი ხალხი. დაურიგეს იარაღი, აფიცრები და ღენერლები ჯარების დამზადებას შეუდგნენ. მაგრამ აქაც ვერა გაიტანეს რა: მთავრობამ დაასწრო და მოსპო აჯანყება. იქ რომ ველარა გააწყეს რა, (რეოლუციონერებმა) ინგლისში გასწიეს, სადაც არსენალის და თოფ-იარაღის დაპყრობას აპირებდნენ. ამ საქმის სათავეში ერთი ამერიკელი ღენერალი დგა, სახელად კელი. კელი დაიჭირეს, ხოლო მას მეგობრები მიეშველნენ, გაანთავისუფლეს და გაისტუმრეს ამერიკაში. ბევრი დაისაჯა სასიკვდილოდ ამ საქმეში გარეეისათვის.

იტყვიან, რა რჯიდათ, ძრიელ მტერთან ბრძოლა შეუძლებელია. ძალა აღმართსა ხნავს და ირლანდიელებსაც მორჩილების მეტი არა დარჩენოდათ რაო. მაგრამ ირლანდიელებს თავისუფლება უყვარდათ. იმათ იცოდნენ, რომ თუ ეხლა არა, მომავალში მაინც თავისას გაიტანენ. და მაშინ რომ სიმ-

ხდალე გამოეჩინათ, ამ მომავალის იმედი არ ექნებოდათ. რას იზამთ, როდესაც ბოროტებას და ძალ მომრეობას დიდი სამეფო შემოუფარგლავს. ამ ქვეყანაში ადამიანის მსხვერპლი ყოფილა საჭირო ამ ბოროტებასთან საბრძოლველად; მოდით და გაამტყუნეთ არლანდიელები!

ყველა ამ ამბებმა ხელ-ახლად მიიზიდეს მთავრობის ყურადღება. როგორც 1845 წელში პილი გამოვიდა ირლანდიის მომხრეთ ლონდონის პარლამენტში, ისე ეხლა 1869-ში, გამოჩენილი გლადსტონი გამოდგა ირლანდიელების მოსარჩლედ. გლადსტონს თავისი აზრები ქჰონდა. ის არ თანაუგრძნობდა რევოლუციას, მხოლოდ ჰფიქრობდა, რომ ხალხის აჯანყება (რევოლუცია) უმიზეზოდ არ იბადება ხოლმე—იგი ხალხის გაჭირვების მთქმელია, და აი რევოლუციის ასაცილებლად, ჰფიქრობდა გლადსტონი, საჭიროა ხალხის კეთილდღეობაზედ ზრუნვა. ამ მოსაზრებით 1869—71 წლ. განმავლობაში გლადსტონს შეაქვს პარლამენტში შემდეგი კანონ-პროეკტები, რომელნიც დამტკიცებული იყვნენ. 1) ინგლისის ეკლესიას, პროტესტანტიზმს წაერთვა ირლანდიაში სახელმწიფო რჯულის ხასიათი. ხალხი განთავისუფლდა ხარჯისაგან, რომელსაც აძლევდა ამ ეკლესიას. ეკლესიის სიმდიდრე სამად გაიყო—ერთი ნაწილი მასვე დარჩა, მეორე ნაწილი კათოლიკეთა ეკლესიას მიეცა, მესამე ნაწილი საქველმოქმედო დაწესებულებებს მოხმარდათ—თავშესაფერს, სამკურნალოს და სხვ. ამგვარად, მოისპო ოფიციალური უთანასწორობა ეკკლესიებისა და ყველა ის, რაც მასთან იყო დამოკიდებული. 2) გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯოსებლად 1870 წ. დამტკიცდა კანონი (Land act), რომლის ძალით მემამულეს უნდა ეზღო იმ შემთხვევაში, თუ დაითხოვდა თავის მოიჯარადრეს. ზოგიერთ პროვინციებში მემამულეთ აეკრძალათ მოიჯარადრეების დათხოვნა. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მემამულეები (ლენდ-ლორდები) მაინც სარგებლობდნენ ძველის უფლებით და ხშირად იმგვარ ხელშეკრულობას სდებდნენ მოიჯარადრეებთან რომ, მიუხედავად ახალ

კანონისა, აიძულებდნენ მათ მიწიდამ აყრას და საზღაურსაც არას აძლევდნენ.

V

ირლანდიაში ხალხი ძალიან მოიღალა. ამ ხანაში იქ ჩვენ აღარ ვხედავთ მტკიცე პოლიტიკურ ორგანიზაციას. უკმაყოფილება, რასაკვირველია, ჰსუფევდა და ეს აქა-იქ ლენდ-ლორდების მკვლელობაში, მათი საქონლის გაწყვეტაში ისახებოდა. ამ საქმეებში ძრიელ დახელოვნებულები იყვნენ, ეგრედ წოდებულები, „თეთრი—ბიჭები“ (whitboys) ან კიდევ „მთვარის ბიჭები„ (moon—liqters) (ასე ეძახდნენ, რადგან ესენი ღამე დაფარფაშებდნენ და რასაც მოასწრობდნენ, აქრობდნენ). მაგრამ ყველა ამას უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ორგანიზაციისა და განსაზღვრულ პოლიტიკური მიზანისა არა ეტყობოდა რა. რაც რამ იყო გამოჩენილი ირლანდიაში, ინგლისში გაემგზავრა საბოქმედოთ. ლონდონის პარლამენტში შესდგა ახალი ირლანდიელთა პარტია, რომელსაც უწოდებდნენ „ხომ რიულის“ (Home hule) პარტიის სახელს. ამ პარტიის მიზანი იყო მოპოვება ირლანდიისათვის პარლამენტისა და დამოუკიდებელ თვით-მართველობისა. პოლიტიკურ სრულ თავისუფლებას ისინი აღარ ეძებდნენ.

პარტიის წინამძღოლი ყოვლად შესანიშნავი პარნელი იყო. პარნელი ინგლისელი იყო ჩამომავლობით, პროტესტანტის სარწმუნოებისა. ის სცხოვრობდა ირლანდიაში, თავის თვალით ნახა ამ ქვეყნის უბედურება და აი მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება ირლანდიელების საქმეს შესწირა. ირლანდიელები ლონდონის პარლამენტში, რასაკვირველია, უმცირესობას შეადგენდნენ. ბევრს სცდილობდნენ, მაგრამ ყურს ცოტას უგდებდნენ. (შემდეგ მოიგონეს ერთი ხერხი, რომელსაც ობსტრუქციას ეძახიან. სხვა-და-სხვა ხერხით უშლიდნენ ინგლისელებს საქმეების წარმოებას. განგებ ბევრს ლაპარაკობდნენ, აჭიანურებდნენ საჩქარო საქმეებს, ერთის სიტყვით, აფერხებდნენ პარ-

ლამენტის მოქმედებას. დეპუტატებს, ჩვეულების ძალით, განუსაზღვრელ ლაპარაკის უფლება ჰქონდათ. სანამ არ გაათავებდნენ, მათი გაჩერება არ შეიძლებოდა. ერთი სხდომა თურმე ოთხშაბათიდამ მოყოლებული ხუთშაბათის ორ საათამდე გაგრძელდა). ამგვარ საშუალებით პარნელმა მიიზიდა თავისკენ ლონდონის პარლამენტის ყურადღება

უნდა ვსთქვათ, რომ ლონდონში მყოფ ამ პარტიას ვიწრო კავშირი ჰქონდა ირლანდიასთან და ამერიკელ ირლანდიელებთან. ირლანდიაში, დევეტის მეოხებით (დევითი იყო რევოლუციონერი „ფენიენი“ ბევრჯელ დასჯილი) დაარსდა ერთგვარი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა გლეხების მფარველობა და დაცვა (Land league). ამ საზოგადოებამ შეიმუშავა შესაფერი პროგრამა: 1) მუდმივი იჯარადრობა; სანამ გლეხი ღალას იხდის, მისი აყრა მიწიდამ შეუძლებელია; 2) თავისუფალი ყიდვის უფლება (fre csale); 3) ყველასთვის თანაბრივი ღალა და საზღვარი, რომელსაც არ უნდა გადასცილდეს ამ ღალის ფასი. პარნელმა მხარი მისცა ამ საზოგადოებას, ურჩევდა მიწიდამ აყრილ გლეხებს, თავის ნებით ნუ დანებდებითო საზოგადოების წევრებს—გლეხებს აეკრძალათ დათხოვნილ და აყრილ მოიჯარადრების ადგილები დაეჭირათ.—პარნელმა ძალიან გაამხნევა ირლანდიელები. წავიდა ამერიკაში და იქ ერთ მილიონამდე ფული შეაგროვა. ამრიგად „ხომ რიულის“ პარტია სამ ძალისაგან შესდგებოდა—ირლანდიელ გლეხებისაგან, ირლ. დეპუტატებისაგან და ირლ. ამერიკელებისაგან. 1879 წელს „პარტიის“ ორგანიზაცია დასრულდა და მან მოქმედება დაიწყო.

გლადსტონის მინისტრობის დროს (1880—95) სცდილობდნენ როგორმე დაეშოშმინებიათ ირლანდიელები. გლადსტონმა შეიტანა პარლამენტში წინადადება: მიეცეს საზღაური ყოველ მიწიდამ აყრილ მოიჯარადრესო. ამ საზღაურის დასაფასებლათ უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული კომისია. მაგრამ ირლანდიელ დეპუტატებს არ აკმაყოფილებდა ეს. მათ რადიკალური ცვლილების სურვილი ჰქონდათ. მათი მიზანი

იყო—ლენდ-ლორდიზმის (ე. ი დიდ მამულის მფლობელობის) გაუქმება და ირლანდიის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ თავის მიზანს ისინი არ სცილდებოდნენ და დიდათ ამხნევებდნენ ირლანდიაში დაარსებულ „გლეხკაცთა დაცვის საზოგადოების“ წევრებს. და ესენიც, წაქეზებულები, მეტს მხნეობას და გაბედულებას იჩენდნენ. საქმე ისე დააყენეს, რომ ვინც ზემოხსენებულ „საზოგადოების“ (ლიგის) წევრათ არ ითვლებოდა, მას ყოველგვარ საშუალებით სდევნიდნენ; ის კაცი მოსამსახურეს ვერ დაიჭერდა, ვერც მუშა კაცს, მედუქნეები მას არაფერს მიჰყიდდნენ ხოლმე (ბოიკოტაჟი). ამასთან ავაზაკობა და მკვლელობა ხელახლად გაჩაღდა. ისე გაუჭირეს საქმე ლორდებს, რომ აიძულეს 105 კაცს მთავრობის დახმარება ეთხოვნათ. მთავრობამაც, რასაკვირველია, მათ მხარი მისცა და კიდევ გამეორდა ის, რაც ასე ხშირად მომხდარა ამ ბედკრულ ქვეყანაში: დატუსაღება, ხალხის გაღარიბება, სისხლის ღვრა და სხვ...

ინგლისელები დაუფიქრდნენ ამ გარემოებას. პარლამენტის ყურადღება ხელ-მეორედ ირლანდიისკენ იყო მოქცეული. ყველა ამას კიდევ ერთი კანონი მოჰყვა, რომელიც ლონდონის პარლამენტში იყო შეტანილი გასარკვევად. 1) მოიჯარადრეებს ეძლეოდათ უფლება თვითონ დაედგინათ საიჯარადრო ქირა 15 წლ. განმავლობაში. 2) ჰპირდებოდნენ აგრეთვე დახმარებას მიწის გამოყიდვის საქმეში.—ირლანდიელები არც ამითი კმაყოფილებოდნენ და ამბობდნენ—**ერთად ერთი სხვა ირლანდიისა იმისს ერაგნულ განთავისუფლებაშია. სანამ ინგლისის თვალს არ მოგშორდებით, ჩვენ შინაურ საქმეებს ვერ მოგვრიგებთო.** „იჯარადრობა უნდა მოისპოს ძირიან ფესვიანად, იძახდა პარნელი!“ სანამ მთავრობა „ტერორიზმს“, დაშინების სისტემას, თავს არ დაანებებს, ნუ გადავიხდით სახელმწიფო ხარჯს. ჩვენ უნდა მოგვეენიჭოს ჩვენი წართმეული უფლებები.

VI

ინგლისის გონიერ ნაწილს ესმოდა, რომ ირლანდიელების დაკმაყოფილება იყო საჭირო. ირლანდიელების თავგანწირულება იზრდებოდა. თვით ინგლისის მშვიდობიანობა მოითხოვდა პოლიტიკის შეცვლას. აი სწორეთ ამ ხანაში გამოიჩინა გლადსტონმა სულ-დიდობა, გამჭრიახობა და გაბედულობა. უთხრა ირლანდიელებს, შეუერთდითო ინგლისელ-ლიბერალებს და პარლამენტში გავიმარჯვებთო და გავიყვანთ „ხომ რიულ“ ის ეროვნულ თვით-მმართველობის, კითხვას. როდესაც ეს შეერთება ირლანდიელებისა და ლიბერალელობისა მოხდა, ინგლისის კონსერვატიულ ნაწილს თავს ზარი დაეცა. საშინლად აღელვდნენ და აღშფოთდნენ. მათ მხარი მისცეს ირლანდიაში მყოფ ინგლისელებმაც, რომელთაც ჭირსსავით ეშინოდათ ირლანდიის დამოუკიდებლობისა. და აი 1886 წელ ლონდონის პარლამენტში მოხდა გაცხარებული შეტაკება ამ ორ ბანაკთა შორის. საუბედუროდ, ირლანდიის ეროვნულ დამოუკიდებლობის მოძრე 311 კაცი აღმოჩნდა, ხოლო წინააღმდეგი 341, ე. ი. 30 ხმამ გადასწყვიტა ეს უდიდესი საისტორიო კითხვა. 30 თანაგრძნობი იყო საჭირო ირლანდიის დასაკმაყოფილებლად და ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ დასასვენებლად. მოხდა სხვანაირად და ირლანდიის კითხვა კიდევ ერთხელ მომავალს გადაეცა.

რას ვხედავთ ჩვენ ამ დროში თვით ინგლისში? რა ცვლილება ხდება იმის პოლიტიკურ საქმეებში? — ამ ხანაში, ირლანდიელების მეოხებით, ინგლისში იბადება სრულიად ახალი მოძრაობა. საქმე ის არის, რომ ინგლისის დიდი სახელმწიფო სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან შესდგებოდა. ირლანდიის გარდა, მაში შედიოდა შოტლანდია, გალის ქვეყანა და აუარებელი ახალშენები. ამ ქვეყნების წარმომადგენელთ ირლანდიელებმა დაუბადეს ახალი აზრი, აღუძრეს სურვილი დამოუკიდებელ ცხოვრებისა. ინგლისელ ლიბერალებთან ერთად იმათ გადას-

წყვიტეს: საჭიროა ინგლისის დაყოფა. ყოველ თვითეულ ნაწილს მიენიჭოს დამოუკიდებელი მმართველობა. ხოლო, საერთო ინტერესების დასაცავად, ამ განცალკევებულ ნაწილთა შორის კავშირის გამტკიცება საჭიროა. ამგვარ კავშირს „ფედერაციას" უწოდებენ და მის მომხრეებს „ფედერალისტებს". ამგვარად ირლანდიის „ხომ რიულის" პარტიამ, ერთმა ნაწილმა ინგლისელ-ლიბერალებისა, შოტლანდიის და გალის წარმომადგენლებისამ შეადგინეს ერთი პარტია, რომელსაც ზემოდ აღნიშნული მიმართულება მიეცა.

ირლანდიელებს იმედი ჰქონდათ, ამ შეერთებულის ძალით იქნება ვეღირსოთ იმის, რაც ვერ მოვიპოვეთ საკუთარის ღონითაო. მაგრამ მათი მოლოდინი არ განხორციელდა.

VII

ირლანდიაში რაღას ჰფიქრობდნენ, რას აკეთებდნენ? ჩვენ ვიცით, რომ მოიჯარადრეთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კომისია იყო დაარსებული, რომელიც იჯარადრობის ქირას ადგენდა. ამ კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო არ იყო ლენდ-ლორდებისათვის, ამიტომაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მშრომელი ხალხი ისევ ისე მემამულის ხელში იყო. რომ ვერა გააწყესრა მიწის მომქმედებმა, სხვა გზა ირჩიეს. მწარმოებელთა საზოგადოებები, „სინდიკატები", შეადგინეს. ამ სინდიკატებს ის ძალა მიეცა, რომ ისინი იჭერდნენ საქმეს პატრონებთან და არა კერძო პირები. სინდიკატი სწყვეტდა იჯარის ფასს, არიგებდა მოიჯარადრეებისა და მემამულეების ურთიერთობას. თუმცა კანონით არ იყო დამტკიცებული ამგვარი სინდიკატები, პირ-იქით, მთავრობა სდევნიდა კიდეც ამ საზოგადოებების წევრებს, მაგრამ ცხოვრებაში მათ მაინც დიდი გავლენა ჰქონდათ, რადგან მემამულეები ხშირად იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ამ სინდიკატების გადაწყვეტილებას. ხოლო ეხლაც, როგორც ბევრჯელ სხვა დროს, წარსულში,— შეტაკება, სისხლის ღვრა

და ადამიანის მსხვერპლი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამასთან სხვა უბედურებაც მიემატა ირლანდიელებს, რამაც შესამჩნევად შეასუსტა მათი ძალ-ღონე. ირლანდიის ნაციონალურ პარტიაში განხეთქილება მოხდა. ჯერ ერთი რომ რომის პაპმა აუკრძალა კათოლიკეთა მღვდლებს ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. (რევოლიუცია და სარწმუნოება ერთმანეთის მტერიაო). პარნელსაც, ირლანდიელ მოთავეს, უბედურება შეემთხვა—გამოაშკარავდა მისი კავშირი ერთ ქალთან. ამ გარემოებამ ბოლო მოუღო შესანიშნავ მოღვაწეს. ინგლისში საუკეთესო წარმოშადგენლებიც კი ცრუ-მორწმუნოებით იყვნენ აღჭურვილნი. გლადსტონმა ზურგი შეუქცია პარნელს, გაიგო რა პარნელის „შეცდომა". მღვდლებმაც გაილაშქრეს პარნელის წინააღმდეგ და თავის მხრივ ხელი შეუწყეს განხეთქილებას და პარტიის დასუსტებას. პარნელი მალე ჰქრება და გადის საზოგადო ასპარეზიდან. ეს იყო 1890 წელს.

აქ შევწყვიტავთ ჩვენს მოთხრობას. ამას იქით შესანიშნაი არა მომხდარა რა ირლანდიის ცხოვრებაში. ირლანდიის კითხვა დარჩა გადაუწყვეტელი. ირლანდია მოიღალა და ისვენებს. რას გვეტყვის შემდეგში, როდესაც სულს მოიბრუნებს და ძალას მოიკრეფს, ამას, თუ ვიცოცხლეთ, მომავალში დავინახავთ. დავინახავთ იმასაც, როგორ დაუხვდება ინგლისი, ევროპა და მთელი გონიერი ნაწილი კაცობრიობისა მრავალტანჯულ ხალხის ჩივილსა და გოდებას. მხოლოდ ვიტყვით, რომ მომავალშიაც, როგორც წარსულში, გამწარებული ბრძოლა მოელის ირლანდიას.

ანზორ ჯორჯაძე

უცხოეთი 1901 წელს

1. საერთაშორისო დამოკიდებულებანი: სამთა კავშირი.—რუს-ფრანგთა კავშირი.—ინგლისი.—სამხრეთ-აფრიკის ომიანობა.—ჩინეთის ამბები.—2. ევროპის უმთავრესს სახელმწიფოების შინაური საქმეები: ავსტრია და ეროვნული კითხვა; ინგლისის პარტიები, ირლანდია; გერმანია და ეროვნული კითხვა, დემოკრატიული პარტია; საფრანგეთი.

გასულ წელს ევროპა ისევ სამ ბანაკად იყო გაყოფილი: ისევ ძალაში იყო „სამთა კავშირი“, რუს-ფრანგთა მეგობრული განწყობილებაც ძველებურად მიმდინარეობდა და ამაყი ინგლისი ისევ „ბრწყინვალედ განკერძოებული“ იდგა. მიუხედავათ ამისა საერთაშორისო დამოკიდებულებანი გასულ წელს შესამჩნევად შეიცვალა. მართალია, გარეგნად ძველი „კავშირები“ ისევ ძალაში იყო, მაგრამ იჩინა თავი ისეთმა ნიშნებმა, რომ მოსალოდნელია და ახლო მომავალშიც ახალ საერთაშორისო დამოკიდებულებათა შექმნა.

სხვაზედ უფრო რყევა სამთა კავშირს დაეტყო. ბისმარკის შესანიშნავი პოლიტიკური კომბინაცია—გერმანიის, იტალიის და ავსტრო-ჰუნგრეთის დაკავშირება რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ—ირღვევა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ კავშირის ორ მონაწილეთა საერთა-შორისო მდგომარეობა 1879 წლიდან, როცა ეს კავშირი შეიკრა, არ შეცვლილა; პირიქით, იგი მდგომარეობა კიდევ უფრო თხოულობს არსებულ კომბინაციის განგრძობას: რუსეთი როგორც გერმანიისათვის, ისე ავსტრო-ჰუნგრეთისათვის ეხლა უფრო საშიშია,

ვიდრე წინათ იყო, და საფრანგეთიც უფრო ენერგიულ პოლიტიკას ადგია, ვიდრე ეს მას ოთხმოციან წლებში შეეძლო; მაშასადამე გერმანიას ეხლა მეტი სიფრთხილე უნდა ჰმართებდეს. ყველა ეს მართალია, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ისეთმა ფაკტორებმა, რომელთაც შეუძლიანთ რუსეთის შიშის დავიწყება და ან ამ შიშის თავიდან ასაცილებლად ახალ კომბინაციების გამოგონება.

ერთი ამ ფაკტორთაგანია გერმანიის იმპერიის სადამოჟნო პოლიტიკა. როგორც ვიცით, გერმანიის მთავრობის განზრახვაა იმდენათ ასწიოს ბაჟები, რომ სავაჭრო-ხელშეკრულებათ არსებობა მეტად საეჭვო ხდება. და თუ ეს ხელშეკრულება არ იქნა დადებული გერმანიასა და ავსტრო-ჰუნგრეთ შუა, ადარ იქნება ერთი ის ჯაჭვთაგანი, რომელიც აკავშირებს ამ ორ სახელმწიფოს. ჰუნგრეთმა პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ თუ სავაჭრო-ხელშეკრულება არ იქნა, სამთა კავშირიც ადარ იქნებაო. ავსტრიელი მრეწველნი ეხლავე ემზადებიან იმ დროისათვის, როცა გერმანიის ახალი სადამოჟნო პოლიტიკა დაიწყებს მოქმედებას. ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა გერმანიის მრეწველობის წინააღმდეგ სადამოჟნო პოლიტიკას დაადგება და განზრახვა აქვთ ხელში ჩაიგდონ ჰუნგრეთისა და რუსეთის ბაზარი. როგორც წინადაც გვქონდა ნათქვამი, ეკონომიურ ბრძოლას არ შეიძლება არ მოჰყვეს პოლიტიკური შედეგი.

მეორე ფაკტორი სამთა-კავშირის წინააღმდეგ მომქმედი არის ეროვნული კითხვა გერმანიაში და ავსტრო-ჰუნგრეთში. ავსტრო-ჰუნგრეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სლავიანებია და სლავიანებს იმ თავითვე სასტიკი ეროვნული ბრძოლა აქვთ გერმანელებთან. თუ წინათ ავსტრიის გერმანელები ძლიერები იყვნენ და ადვილად ბატონობდნენ სლავიანებზე, ეხლა გარემოება იცვალა: სლავიანთა პატარა ერებმა გამოიღვიძა და იმდენი ძალა შეიძინა, რომ ეხლა თვით მიდის ფერიშით წინანდელ ბატონებზე და დღეს არა ხვალ სრული გამარჯვება მათ ხელთ იქნება. ავსტრიელი გერმანელი ძალა-

უნებურად გერმანიის ძლიერ იმპერიისაკენ იცქირება და იქიდან მოელის შველას. იმპერიის გერმანელებიც გულ-გრილად ვერ უცქერიან ავსტრიელების გაჭირვებულ მდგომარეობას და დიდ ზნეობრივსა და მატერიალურ (ფულით) დახმარებას უწევენ მათ. თუ ავსტრიელ პანგერმანისტებს ასეთი შესაჭნევი ძალა და გავლენა აქვთ ავსტრიაში, ეს იმიტომ, რომ მათ იმპერიის გერმანელები უმაგრებენ ზურგს.

თუ ავსტრიელ გერმანელების მთელი სიმპატია გერმანიის იმპერიას ეკუთვნის, სამაგიეროდ ავსტრიელი სლავიანები მეტად მტრულად უყურებენ ამ გერმანისმის ძლიერ ბურჯს. ჩეხია იმ თავითვე წინააღმდეგი იყო სამთა კავშირისა, იგი საჯაროდ და აშკარად უცხადებდა და უცხადებს სიმპატიას საფრანგეთს. პოლონელები უკანასკნელ დრომდე დიდი მომხრენი იყვნენ გერმანიასთან კავშირისა და ამ გარემოებას თავისი მიზეზები ჰქონდა: პოლონელი პოლიტიკური მოღვაწენი იმით ასაბუთებდნენ თავიანთ პოლიტიკის ამ მიმართულებას, რომ იმედი ჰქონდათ კულტურულსან გერმანიისა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაში; მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ კულტურულსანი გერმანიაც იმავე გზას ადგას, რომ იგიც პოლონელების ძალადატენებით გაგერმანელებას სცდილობს და ამ მიზნის მისაღწევად ესეც არავითარ საშუალებას არ უხვევს გვერდს, პოლონელებიც გერმანიის კავშირის წინააღმდეგნი შეიქნენ. შეიძლება გალიციის არისტოკრატია გაბედვით ვერ დაადგეს ეხლავე ახალ გზას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ უკანასკენელ ამბების შემდეგ (ვრეშენისებური ამბები) პოლონეთის მთელი ერი გერმანიის წინააღმდეგია. „არც სავაჭრო ხელ-შეკრულება, არც სამთა კავშირი; ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო“, გაიძახიან პოლონური რადიკალური გაზეთები. თუ პოლონურმა არისტოკრატიამ ყური ათხოვა ერის გრძნობასა და გულისთქმას და ამ გრძნობისა და გულისთქმის შესაფერისად იმოქმედა ავსტრიის პარლამენტში, მაშინ სამთა კავშირის განახლება შეუძლებელი იქნება მანამდე, სანამ გერმანია არ შესცვლის თავის ძალმომრეობის პოლიტიკას პოზნანელ პოლონელების

წინააღმდეგ. თუ ავსტრო-ჰუნგრეთის და გერმანიის კავშირი საჭიროა აღმოსავლეთელ ძლიერ მეზობლის წინააღმდეგ (და რომ საჭიროა ამაში ყველა ავსტრიელი და გერმანელი დარწმუნებულია, რადგან 1) ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და მცირე აზიაში მათი ინტერესები შეურიგებელია და 2) რუსეთს პრეტენზია აქვს სლავიანთა ჰეგემონიაზე), თუ ამას მოითხოვს არსებითი ინტერესი ამ ორის სახელმწიფოისა, მაშინ აუცილებლად გერმანიის მთავრობა შესცვლის თავის პოლიტიკას პოლონელების წინააღმდეგ და ეხლანდელ შეურიგებელ მტერს ძვირფასს მოკავშირედ გაიხდის. გერმანიის მთავრობა იძულებული იქნება შესცვალოს აგრეთვე თავის სადამოჟნო პოლიტიკა. ეს ორივე ცვლილება საჭიროა გერმანიისათვის როგორც საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლად, ისე შინაურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაზედაც არა -ერთხელ გვქონია ლაპარაკი.

იტალიის მონაწილეობა სამთა-კავშირში იმ თავითვე საზარალო იყო ამ ქვეყნისათვის. ამაზედ ერთხელ კიდეც გვქონდა ლაპარაკი და ამიტომ აქ მოკლედ ვიტყვით. ავსტრიის იმპერიას ბევრი იტალიელი ქვეშევრდომი ჰყავს და ყოველი იტალიელი მამულის შვილი ოცნებობს იმ დროზე, როცა ყველა იტალიელი იტალიის ქვეშევრდომი იქნება. სამთა-კავშირში მონაწილეობამ ხელ-ფეხი შეუკრა ამ ასპარეზზე მომუშავეთ. ეკონომიურად ღარიბ და ჯერ კიდევ მოუწყობელ იტალიას საშინელის სიმძიმით დააწვა მილიტარისმი, რომლის განეითარებასა და გაძლიერებას თხოულობდა სამთა კავშირში მონაწილეობა. ერთად-ერთი მიზანი ამ მონაწილეობისა აფრიკა და ხმელთა-შუა ზღვა იყო: საფრანგეთმა არ გაგვისწროს წინ, არ დაგვჩრდილოს, მისს გავლენის ზრდა უნდა შევაჩეროთო. აფრიკის პოლიტიკა, როგორც ვიცით, იტალიელების საშინელ დამარცხებით გათავდა. გონზე მოსული იტალია ხმელთა-შუა ზღვაზე და აფრიკაში თავის ინტერესების დასაცველად სხვა გზას შეუდგა—მოლაპარაკება გაჰმართა პირდაპირ საფრანგეთთან და სასურველი შეთანხმებაც მოხდა: იტალიამ და საფრან-

გეთმა ეგრედ წოდებულ „გავლენათა სფერა“ გაიყვეს ხმელთაშუა ზღვაზე და ჩრდილოეთ აფრიკაში. მაშასადამე ეხლა იტალიის სამთა-კავშირში მონაწილეობას არავითარი raison d' être'-ი აღარ აქვს.

ფრანგ-რუსთა კავშირი სამთა-კავშირზე უფრო მტკიცეა, რადგან საფრანგეთი ვერ ივიწყებს ალზას-ლოტარინგიას და ჯერ კიდევ ოცნებობს მის დაბრუნებაზე. ამ თავად რუს-ფრანგთა კავშირს ის ცვლილება ეტყობა, რომ საფრანგეთის მთავრობის გარეშე პოლიტიკა უფრო გაბედული და დამოუკიდებელია.

ინგლისი მიუხედავად სამხრეთ-აფრიკის საშინელ ომიანობისა განაგრძობდა თავის „ბრწყინვალე განკერძოებას“: იგი არავის შეკვრია კავშირით, მას ამ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც კი შეუძლია მარტოდ-მარტო ყოფნა და საერთაშორისო დამოკიდებულებათა ასე თუ ისე დახვედრა და ეს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ინგლისის შეუდარებელ ძლიერებისა და დიდებისა. ძლევა-მოსილი გერმანია, თავის შესანიშნავ ჯარით და გენიოს მეთაურით, იძულებულია ბრწყინვალე გამარჯვების მეორე დღეს მოკავშირეები ეძიოს მოპოებულ მდგომარეობის განსამტკიცებლად. თვალ-უწვდენელი რუსეთი, თავის უამრავ ჯარით, იძულებულია დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუმეგობრდეს და კავშირით შეეკრას. სხვა დიდ სახელმწიფებს აღარ ვახსენებთ. დიდი-ბრიტანია კი, რომელსაც საშინელი და გაუთავებელი ომიანობა მთელის თავის სიმძიმით კისერზე აწევს, ამაყად განმარტოებული სდგას და არა თუ მოკავშირეს არ ეძებს, გაბედულად და დაცინვით ლაპარაკობს კონტინენტის სახელმწიფოებზე და უფლებაცა აქვს ეგრე ილაპარაკოს: ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებდა სამხრეთ-აფრიკის ომიანობის ამდენ ხანს გაძლებას, თითოეული მათგანი უფრო მხეცურად მოექცეოდა მოწინააღმდეგეს (მაგალითების მოყვანა მეტია, ყველამ უნდა იცოდეს) და არც ერთი მათგანი ისე ლმობიერად და სამართლიანად არ მოექცევა და-

პყროობილ ერს, როგორც ინგლისი ექცევა და მოექცევა კიდეც, თუ ბურებზე გაიმარჯვა.

ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკას ცვლილება არ ემჩნევა, პირიქით მისი ძველი პოლიტიკა „ბრწყინვალე განკერძოებისა“ კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგან დიდი ბრიტანიის ახალ-შენებმა, რომელნიც თითქმის სრულებით თავისუფალნი არიან, ძალდაუტანებლად თავის სურვილითა და ინიციატივით უფრო მჭიდრო კავშირი დაიჭირეს მეტროპოლიასთან. დიდი ბრიტანია ეხლაც უდიდესი და უძლიერესი იმპერიაა მთელ ქვეყნიერობაზე.

და ამ უდიდესსა და უძლიერესს იმპერიას ვერა გაუწყვიარა ერთ მუჭა ბურებთან. ყოველთვის წინ დახედული და ფრთხილი ინგლისის მთავრობა საშინლად შესცდა: ომი რომ დაიწყო, ეგონა, ორ-სამ თვეზე დაამარცხებდა სუსტ მტერს და ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკაში დიდი ბრიტანიის დროშას ააფრიალებდა. საქმით კი გამოდის, რომ ორას-ათასზე მეტი ინგლისელი ჯარის კაცი ორ წელიწად-ნახევარი ვერას გადის მამაც ბურებთან. წელიწად ნახევარია ბრძოლის სახე არ შეცვლილა. ინგლისის ჯარების ხელშია ორივე რესპუბლიკის დიდი ცენტრები და რკინის გზის ლიანდაგები. სხვა ადგილებში კი ბურები თითქმის სრულებით თავისუფლად მოქმედებენ და ხშირად მეტად საგრძნობელ ზარალს აყენებენ ინგლისელებს. სასოწარკვეთილი კიტჩენერი ბურების სიმტკიცის გასატეხად სასტიკ ზომებს დაადგა: ცეცხლით გადაბუგა მეომარ ბურების სახლკარი, მათი ცოლ-შვილი სამხედრო ბანაკებში მოამწყვდია, შემოიღო სამხედრო წესები კაპის ახალშენის ზოგიერთ ადგილებში და თოფით ხვრეტს ინსურგენტების მეთაურებს, თუ ხელში ჩაიგდებს მათ. მაგრამ ვერც ამ სასტიკმა ზომებმა მოუღეს ბოლო მამულისათვის თავგანწირულ ბურების მამაცობას და სიმტკიცეს: ბურების დამორჩილების საქმე ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს 1901 წლის დასაწყისში იყო, ი. ი. სამხრეთ-აფრიკის ომიანობის ბოლო აღარ სჩანს.

მართალია, ამ უკანასკნელ დროს ჰოლანდია ჩაერია საქმეში და მოინდომა საქმე შუამოელობით გაეთავებია, მაგრამ, როგორც სოლსბერის სიტყვებიდან სჩანს, არც ეს მოუღებს ბოლოს დაუსრულებელ ომიანობას: სრულიად არ მესმის რა მიზანი ჰქონდა ჰოლანდიის წინადადებას, როდესაც ბურებს მისთვის არაფერი დაუვალებიათო. სოლსბერის აზრით, ჰოლანდია აიძულეს ბურების ინგლისელ მეგობრებმა. შეიძლება ბევრსა სურდესო, რომ ინგლისმა ყველაფერი შესწიროს მშვიდობიანობის ჩამოგდებას, რომელიც, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გასტანდა, მაგრამ ინგლისსა სურს დაამყაროს ნამდვილ მშვიდობიანობა, როგორც ერთად-ერთი სასყიდელი ყოველივე მსხვერპლისაო. სოლსბერის მშვიდობიანობა ბურების სრულს დამორჩილებას ნიშნავს, ამაზედ კი ბურები არ დასთანხმდებიან.

ასე ძლიერი და უძლეველია ერი, როცა იგი ერთის აზრით და გრძნობით არის გამსჭვალული, თუნდა იგი რიცხვით ერთობ მცირე იყოს. და თუ იგი მოკლებულია ამ აზრსა და გრძნობას, მასში არ არის ეროვნული თვით-შეგნება და თვითცნობიერება, სუსტი და ლაჩარია, თუნდ სიდიდით უზარმაზარ რასმე წარმოადგენდეს. ამის საუკეთესო მაგალითი ჩინეთია: ოთხასი მილიონი ჩინელი ვერ ახერხებს საგრძნობელი წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპიელების რამდენიმე ათიათასს ჯარის კაცს. და განა იმიტომ, რომ ჩინელი მხდალია ან იარაღის ხმარება არ იცის? სრულებითაც არა. ჩინელი სიკვდილს არ უფრთხის, მან კარგად იცის მამაცური სიკვდილი და საკმაო გაწვრთნილი ჯარისკაცებიც ჰყავდა. მაგრამ მარტო სიმამაცე და გაწრთვნა არავითარ ძალას არ წარმოადგენს, თუ მას თან არ ახლავს აზრი, იდეა. ბურის მამულისშვილურ თვითცნობიერების და გრძნობის მეასედი წილი რომ ჰქონებოდა ჩინელს, ევროპიელები ვერას გახდებოდნენ მასთან.

და ვერას გახდებიან მაშინ, როცა ჩინელი შეიძენს იმ თავით-ცნობინრებასა და გრძნობას, რაზედაც თვით ევროპიე-

ლებმა იზრუნეს. განათლებულ ევროპიელების მოქმედება ჩინეთში იმდენად მხეცური, ურცხვი და ადამიანობას მოკლებული იყო, რომ თვით ბრმას აუხელდა თვალებს და მომაკვდავს იარალს მოაკიდებინებდა ხელს. ჩინელი გონს მოიყვანა ევროპიელმა, გააცნო მისი და თავის თავიც, შეაგნებინა მას თავისი ვინაობა. ჩინეთის კატასტროფა, რომელიც ევროპიელების გამარჯვებით გათავდა, შეიქნა დასაწყისი ჩინეთის ახალ ცხოვრებისა, რომელიც შეგნებული ეროვნული ცხოვრება იქნება და რომელიც კულტურულსან ევროპას სახიფათო ამოცანას მოუმზადებს.

ჯერ-ჯერობით კი ეს კულტურულსანი ევროპა გამარჯვებულია: კარ ჩაკეტილი ჩინეთი იძულებული შეიქნა კარები გაეღო ევროპიელისათვის და ეხლა მას მეტის თავისუფლებით შეუძლია მიჰყიდოს ჩინელს თავისი საქონელი, რომელიც სხვაგან ვერ გაესაღებინა. მაგრამ რა უნდოდა ჩინეთში იმას, ვისაც ეს გასასაღებული საქონელი არ ჰქონდა? რომელი ეკონომიური ინტერესი ამოქმედებდა ჩინეთში, მაგალითად, რუსეთის იმპერიას, რომელიც თვითონ ჰყიდულობს დამზადებულ საქონელს უცხოელისაგან? მზა-მზარეულ ფორმულების მოტრფიალეთ უნდა აფიქრებდეს ასეთი ფაქტები და უნდა აიძულებდეს მათ კრიტიკულად გადასინჯონ ერთხელ აღსარებული დოგმები. მაგრამ ბრმად „მორწმუნეთა“ გადაჯერება ასე ადვილი არ არის: „უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული კაპიტალისტური წარმოება ველარ ეტევა შინ, თავის სახელმწიფო საზღვრებში და წინანდელზე უფრო თავგამეტებით ეძებს ახალ ბაზარს. ეს არის თანამედროე ბურჟუაზიის საოცნებო საგანი და ამის დაკმაყოფილებას ცდილობს ყველა ქვეყნის მთავრობა, რომელიც ყველგან აქ გაბატონებულ კლასის ხელშია.-. ექვსას მილიონიანი ჩამორჩენილი სახელმწიფო (ჩინეთი) მეტად გემრიელ ლუკმას წარმოადგენს ევროპის მადა-განვითარებულ ბურჟუაზიისათვის.... ყველა სახელმწიფოთა ბურჟუაზიის ინტერესები მხოლოდ იმას თხოულობდნენ, რომ

როგორმე მაგრად მოეკიდნათ ფეხი ჩინეთში და მიაღწიეს კიდეც მიზანს... „კონცერტის წევრებმა მეტ-ნაკლებად მოითბეს ხელი, ყველაზე გემრიელი ლუკმა კი რუსეთს ერგო და სხვა“. ასე მსჯელობს „კვალის“ მიმომხილველი ჩინეთის საქმეებზე. ცხადია, მისის აზრით, რუსეთის ჩინური პოლიტიკაც „უმაღლესს ხარისხამდე განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოების“ შედეგია, ცხადია რუსეთის „მადა-განვითარებულ ბურჟუაზიისათვისაც“ გემრიელ ლუკმას წარმოადგენს ჩინეთი. მაგრამ ცხადზე უცხადესი ის არის, რომ ამის მთქმელი მარტო მხოლოდ „ფორმულის“ ბრმა მორწმუნე შეიძლება იყვეს. როცა ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოების კაპიტალისმზე და ამ კაპიტალისმის ძლიერებაზე ლაპარაკობთ, ეს ადვილად გასაგებია, მაგრამ როცა ამ დაწინაურებულ სახელმწიფოთა შორის რუსეთსაც ამოაყოფინებ თავს, ეს ყოვლად გაუგებარია. რომელი ბაზრები იგემა რუსეთის ბურჟუაზიამ, რომ მადა განვითარებოდეს? ჯერ შინაური ბაზრის რომელი ნაწილი უკავია რუსეთის კაპიტალისმს, რომ იძულებული გამხდარიყოს ჩინეთში წასულიყო ამ ბაზრის საშოვნელად?

***

ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერია და მისი თანამედროვე მდგომარეობა საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ ეროვნულ კითხვის გადაუწყვეტელად ყოვლად შეუძლებელია სოციალურ კითხვის წინ წაწევა, არა თუ გადაწყვეტა. ეს რამდენი ხანია ავსტრიის საკანონმდებლო დაწესებულება—პარლამენტი სრულიად უმოქმედო არის და არც არის ჯერ იმის ნიშანი, რომ მან მომავალშიაც ამ მოქმედების უნარი გამოიჩინოს. კერბერმა პირველად ახალის არჩევნებით მოინდომა ავსტრიის პარლამენტის საქმის გამობრუნება, მაგრამ ცდამ ამოდ ჩაუარა—გაძლიერდა უკიდურეს ნაციონალისტების ჯგუფები: გერმანელ ნაციონალისტების რიცხვი ხუთიდან ოცდაორამდე ავიდა, მლადო-ჩეხების ზოგი ადგილი ჩეხელ მუშა-ნაციონალისტების ხელში გადავიდა. კერბერმა მეორე საშუა-

ლებას მიჰმართა—წარმოუდგინა პარლამენტს დიდი ეკონომიური პროექტები, და მოკლე ვადით მიაღწია კიდეც თავის მიზანს: დიდის ხნის უმოქმედობის შემდეგ ავსტრიის პარლამენტმა მოქმედება დაიწყო და სამინისტროს შეძლება მიეცა ქვეყნის კანონიერ მართვა-გამგეობისა: დამტკიცდა ექვსის თვის ბიუდჯეტი, მიიღეს ჯარების კაცთა რიცხვის მომატება და ყველაზემოხსენებული ეკონომიური პროექტები, რომელნიც ეხებიან ახალ გზების გაყვანას (არხებსა და რკინის გზებს), რომელთა განხორციელება 900 მილიონი კრონი უნდა დაჯჯეს. პარლამენტმა ერთი პატარა სოციალური კანონის მიღებაც მოასწრო—ქვა-ნახშირის მადნის მუშა 10 საათს იმუშავებს დღეში.

მაგრამ დაიწყო თუ არა პარლამენტის შემოდგომის სხდომები, კერბერის სამინისტრო ისევ ძველებურ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ჩეხებმა ისევ მოითხოვეს ჩეხური ენის გაბატონება ჩეხიის სახელმწიფო დაწესებულებებში და ჩეხურ უნივერსიტეტის დაარსება მორავიაში. მაშინ გერმანელებმა მეორე უნივერსიტეტი მოითხოვეს მორავიაში, იტალიელებმა საკუთარი უნივერსიტეტი ტიროლში, სლოვენებმა კრაინაში, რუსინებმა (მალოროსები) გალიციაში. კერბერი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული შეიქნა დაჰმუქრებოდა პარლამენტს—კონსტიტუციის მოქმედებას შევწყვეტო. დეპუტატები ცოტათი შეფიქრდნენ და კერბერს დროებითი ბიუდჯეტი დაუმტკიცეს. მთავრობა, როგორც წინათ, ეხლაც სულ იმის ცდაშია, მებრძოლ ეროვნულ დასთა შორის შეთანხმება ჩამოაგდოს, მაგრამ როგორც წინათ, ეხლაც ეს ცდა უნაყოფოდ ჩაიფლის. ჯერ ეროვნული კითხვა უნდა გადაწყდეს და შემდეგ შეეძლება ავსტრიის პარლამენტსა და მთავრობას ნაყოფიერი მოქმედება. სანამ ეს არ მოხდება, სახელმწიფო მაშინა შეჩერებული იქნება.

როგორც წინათაც გვქონდა აღნიშნული, ავსტრიის საქმეებმა დიდათ დააფიქრა ავსტრიელი დემოკრატია. ცნობილია,

რომ ავსტრიელი დემოკრატია გერმანიის დემოკრატიის ნატეხია და მისი შეხედულება და პროგრამა მხოლოდ კლასთა-ბრძოლის პრინციპზედ იყო აგებული. მაგრამ სინამდვილის ზედ გავლენის ქვეშ ავსტრიელმა მუშებმა კლასთა-ბრძოლის პრინციპს ერთა ბრძოლის პრინციპიც შეუერთეს და ცალმხრივი ფორმულა შეავსეს. (რამდენათაც ვიცით კლასთა-ბრძოლის პრინციპის ეს ცალმხრივობა, თეორეტიულად პირველად ბრესლაველმა პრაფესორმა ზომბრატმა აღნიშნა) ერთა ბრძოლის კლასიკურმა ქვეყანამ ავსტრიამ დოგმით დაბრმავებული თვალი აუხილა ავსტრიელ დემოკრატიას და ნამდვილ ცხოვრების ალღო ააღებინა.

„კვალის“ მიმომხილველი ამ სახით აღნიშნავს ზემოხსენებულ გარემოებას: „მუშათა პარტია განზე არ ი(უ)დგა ამ ბრძოლა(ს)ში, თუმცა თავის პროგრამაში მთავარ ადგილს სხვა კითხვებს უთმობდა. მაგრამ იქამდინ გამწვავდა საქმე, იმ ზომამდე მიივიწყა პარლამენტმა ამ დავაში სოციალური რეფორმები, რომ ბოლოს იმათაც შეიტანეს თავის პროგრამაში ეროვნული კითხვა და გადაწყვიტეს ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ჩაგრულთა ინტერესების დამცველ პარტიისაგან. მათ მოითხოვეს ეროვნული თანასწორობა და გადაწყვიტეს დახმარება გაუწიონ ჩაგრულ ერებს“. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რას ნიშნავს ეროვნულ კითხვის შეტანა დემოკრატიის პროგრამაში? იმას, რომ წინანდელ პროგრამის შემდგენელთ ვერ დაენახათ ამ პრინციპის რეალური არსებობა და მნიშვნელობა და ბურჟუას გამოგონილ ხრიკად მიაჩნდათ. ეხლა კი ეს კითხვა ცხადი შეიქნა ყველასათვის მთელის თავის მნიშვნელობით და მას ეროვანი ყურადღება მიაქციეს. ასე არის და თუ ეხლა არ არის უნდა იქნეს ყველგან, სადაც კი ეროვნული პრინციპი განუხორციელებელია. არისტოკრატი ჩარტორისკი და დემოკრატი დაშინსკი ერთად იყვნენ ვრეშენის ამბების გაკიცხვის დროს: მიუხედავათ კლასთა ბრძოლისა შინ, გარეთ ეროვნულ მტრის წინააღმდეგ, ეროვ-

ნულ პრინციპის დასაცველად ჩარტორისკი და დაშინსკი ორივე პოლონელები არიან.

ინგლისის შინაური ცხოვრება სამხრეთ აფრიკის ომიანობის სრულს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ესე იგი არც ერთი საყურადღებო კითხვა შინაურ პოლიტიკისა არ ყოფილა წამოყენებული და განხილული. სამაგიეროდ, როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, დიდი ცვლილება განიცადა ინგლისის პოლიტიკურმა პარტიებმა: ხსენებულ ომიანობის ზედ გავლენით დაჩქარდა პროცესსი არსებულ პარტიების ახალ ევოლიუციისა: ძველ ლიბერალებს ჩამოშორდა კონსერვატიული ელემენტები (როზბერი, ასკიტი და სხვა) და მალე ეხლანდელ მთავრობის მომხრეთ შეუერთდებიან; შემცირებულმა ლიბერალურმა დასმა ამ ჩამოშორებით უფრო ერთგვარი დემოკრატიული ელფერი მიიღო და მეტი ძალა შეიძინა, თუმცა რიცხვით კი ნაკლები გახდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ირლანდიელების გამოცოცხლებული მოქმედება, რაც ბევრ გასაჭირს უქადის ინგლისის მთავრობას. ერთხანს მისუსტებული ირლანდიელი დასი, ისევ მტკიცედ გაერთიანდა და მხნედ, თავ-გამოდებით იბრძვის ირლანდიის ეროვნულ თვით-მმართველობისათვის. გაიხსენოთ ამ პარტიის შესანიშნავი მოქმედება პარნელის მეთაურობით და ადვილად მიხვდებით, თუ რა გასაჭირი მოელის ინგლისის პარლამენტს: მოგვეცით ჰომრული, ეროვნული პარლამენტი, რომელიც უნდა განაგებდეს ირლანდიის საქმეებს, თორემ იმდენს ვეცდებით, რომ ან სულ არაფერი გავაკეთებინოთ თქვენს პარლამენტს, ან ისე ცოტა, სულ არაფრად ღირდესო. აი რას ამბობდნენ და საქმითაც ამტკიცებდნენ ირლანდიელი პატრიოტები პარნელის დროს და რის განმეორების ასე ეშინია ეხლანდელ პარლამენტს. და ამ შიშში იქნება ეს პარლამენტი, სანამ ირლანდიას თავისი პარლამენტი არ ექნება, ესე იგი სანამ ირლანდიის ეროვნული კითხვა არ გადაწყდება.

გერმანიის იმპერიასაც აწევს მთელის თავის სიმძიმით ეროვნულ კითხვის გადუწყვეტელობა. ელზას-ლოტარინგია, შლეზვიგი და პოზნანი ბევრს მწარე დღეს უმზადებს გაერთიანებულ გერმანიის მთავრობას, სანამ ეს მთავრობა იძულებული არ გახდება დააკმაყოფილოს ზემოხსენებულ ერების კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნანი. ელზასელი და დანელი დიდ უარს ამბობენ გაგერმანელებაზე და საჯაროდ, საქვეყნოდ აცხადებენ—ჩვენ ვინაობას, ჩვენ პიროვნებას ვერავინ წაგვართმევს, არ გვინდა გაგერმანელება და ვერც ძალით გაგვაგერმანელებენო. და მართალსაც ამბობენ, რადგან ამას ერთი და ორი წარმომადგენელი კი არ გაიძახის, ამას ამბობს თვით ხალხი თავის საუკეთესო შვილების პირით.

პოზნანელ პოლონელების ამბავი გაზეთის ყოველ მკითხველს ეცოდინება: დიდებულ მაგნატიდან დაწყებული სულ უბრალო ხელოსნამდე და მოხუციდან დაწყებული მცირეწლოვან მოსწავლემდე ყველა პოლონელი გამსჭვალულია ერთის აზრით, მედგრად დაუხვდნენ ეროვნულ მტერს, რომელიც ლამობს წაართვას მას ენა, ტერიტორია, ეროვნული პიროვნება. და აღწევენ კიდეც თავიანთ მიზანს: ნაკლებად განათლებული პოლონელი უმკლავდება კულტუროსან გერმანელს და არას უთმობს მას; მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის მთავრობამ ორასი მილიონი მარკა მისცა პოზნანში მოღვაწე გერმანელებს პოლონელების მამულების შესასყიდად და ზედ გერმანელების დასასახლებლად, მაინც აღმოჩნდა, რომ ამდენის ხნის განმავლობაში პოლონელებს მეტი მიწა უყიდნიათ გერმანელებისაგან, ვიდრე უკანასკნელებს პირველებისაგან (ჩვენში ნახე სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედება!). სადაც ასეთი ძლიერი ეროვნული შეგნებაა, სადაც ბავშვებიც კი არ უფრთხიან ტანჯვას მშობლურ ენის

დაცვისათვის, იქ ძალა ვერას გააწყობს, თუნდ ეს ძალა ისეთის ძლიერის სახელმწიფოსი იყოს როგორც გერმანიის იმპერიაა, მით უმეტეს, რომ იმპერიის საუკეთესო და უკეთილშობილესნი შვილნი, განსაკუთრებით დემოკრატია, სასტიკი წინააღმდეგნი არიან ძალმომრეობით პოლიტიკისა. პოლონელების დასაცველად საუკეთესო სიტყვა გერმანელმა დემოკრატმა სთქვა რეიხსტაგში. მართალია, ჯერ დემოკრატიას იმდენი ძალა არ შესწევს, რომ გერმანიის ძლიერ მთავრობას ეხლავე შეაცელევინოს პოლიტიკა, მაგრამ ეს მთავრობა თვითონვე სცდილობს დემოკრატიის გაძლიერებისათვის—გერმანიის ეხლანდელი სადამოჟნო პოლიტიკაა ამის საუკეთესო საბუთი (ამ საგანზედ რამდენჯერმე გვქონია ლიპარაკი, ამიტომ აქ აღარაფს ვიტყვით).

რამდენიმე სიტყვა თვით ამ დემოკრატიაზე. მიუხედავათ იმისა, რომ ამ პარტიის პროგრამა ისევ ძველია, მისი პრაკტიკული მოქმედება შესამჩნევად იცვალა. პარტიის თეორეტიკოსთა სიტყვით, მუშის ცხოვრების პირობების გაუმჯობესობა კაპიტალისტურ ხანაში ყოვლად შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა ძირიანად შეიცვალოს ეხლანდელი წეს-წყობილება. პრაკტიკულად კი გერმანიის დემოკრატია ეს ერთი ხანია მხარს აძლევს ყველა იმ კანონ-პროეკტებს, რომელთაც მიზნად აქვთ თანამედროვე პროლეტარის მგომარეობის გაუმჯობესობა. არა თუ მხარს აძლევენ, თავიანთ ინიციატივით შეაქვთ ამ გვარივე პროექტები რეიხსტაგში.

რას ნიშნავს თეორიისა და პრაქტიკის ეს უთანხმოება? იმას, რომ პარტიის ფორმალური პროგრამა ბევრში ცხოვრების სინამდვილის შეუფერებელი აღმოჩნდა. ამას ამტკიცებდა ბერნშტაინიც, მაგრამ იგი გაიცხულ იქმნა ლიუბეკის კონგრესზე ამ

მართლის თქმისათვის. გერმანიის დემოკრატია იმდენად ძლიერი და მომწიფებულია, რომ გვიკვირს, როცა ასეთ შეუფერებელს რასმე ჩადის მოსალოდნელ განხეთქილების შიშით. ბერნშტაინნა ნათლად, ყველასათვის თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ პარტია თავის პრაქტიკულ მოქმედებით უარჰყოფს ოფიციალურ პროგრამის ზოგ მუხლსა და ამიტომ იგი მოწადინებული იყო ეს პროგრამა სინამდვილის მიხედვით შეცვლილიყო. პარტიამ კი ხმის უმეტესობით გაჰკიცხა იგი ამისათვის. „კვალი“ შემცდარია და შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როცა ამბობს, რომ „გერმანიის დემოკრატია დღესაც ბებელის პროგრამას ადგია და დიდ ხანს დასჭირდება ბერნშტაინს ლოდინი, რომ ამ პარტიამ შეიგნოს თავისი „შეცდომები“, როგორც იგი დღევანდელ პროგრამას უწოდებსო“. ბერნშტაინის „პრაქტიკულ მიმართულებას“ და პარტიის ეხლანდელ „პრაქტიკულ მოქმედებას“ ისეთი დამოკიდებულება აქვთ, როგორც ფორმასა და შინაარსს; ბერნშტაინმა მხოლოდ სახელი დაარქვა არსებულ რეალურ მოვლენას.

გერმანელი დემოკრატია დღითი დღე რეფორმის პარტია ხდება.

ესევე ევოლიუცია ხდება საფრანგეთის დემოკრატიულ პარტიაშიაც, მაგრამ მეტის თვალსაჩინობით: აქ სოციალისტი სამინისტროს წევრიც კი გახდა და პარტიის უმრავლესობამ მოუწონა კიდეც ეს საქციელი. ერთის სიტყვით, გარდა ანარხისტებისა არ არსებობს ევროპაში ისეთი პარტია, რომელიც ნამდვილ რევოლიუციონური იყოს. ყველა უკიდურესი პარტია რეფორმის გზას დაადგა და ამ გზით ლამობს მიზანს მიაღწიოს თუ თეორეტიულად არა, პრაქტიკულად მაინც.

აღსანიშნავია საფრანგეთის სხვა პოლიტიკურ პარტიების ევოლიუციაც, რამაც გამოიწვია ვალდეკ-რუსოს სამინისტროს არა ჩვეულებრივი ხანგრძლივობა: ქვეყანა ორ დასად იყოფა, ერთი ისტორიის ჩარხის შეჩერებას ჰფიქრობს—უნდა გავჩერდეთ, წინ წასვლა ქვეყნის დაღუპვის მომასწავებელი იქნება, რაც გვაქვს, ის შევირჩინოთო; მეორე ცხოვრებას თან მიჰყვე-

ბა—შეძენილი რესპუბლიკანური წესი უნდა შევირჩინოთ, მაგრამ ეს რესპუბლიკა დემოკრატიული უნდა გახდეს და თან და თან სოციალური სიმართლე განახორციელოსო. რამდენიმე თვის შემდეგ საპარლამენტო არჩევნები უნდა მოხდეს და ამ ორ პარტიას დიდი ბრძოლა და შეტაკება ექნებათ. ჯერ ჯერობით იმის ნიშნებს ვხედავთ, რომ უნდა გაიმარჯვონ დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეებმა.

რედაქტორი
ალ. ზუბანია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

უმთავრეს შეცდომათა გასწორება

ს. გორგაძის სტატიაში: „ეიდოსოფია და მისი პროგრესი“.

(იხ. „მოამბე“ 1901 წ. № XI და XII).

№ XI:

გვერდი.	სტრიქონი.	სწერია.	უნდა იყოს.
7	7 ზევ.	Ѕირეთ	სწორეთ.
8	4 ქვევ.	“Ertia“	“Entia“
9	7 ქვევ.	„ჰეშმარიტებაზე“	„ჰეშმარიტობაზე“
13	8—9 ზევ.	„..ხედვითი ცნებაზე..“	„..ხედვითი ცნებიდან ხედვითი ცნებაზე...“
15	3 ზევ.	„პირველ-დასამაბამებს“	„პირველ-დასაბამებსა“

№ XII:

3	8 ზევ.	მისილვა	მოსილვა
4	3 ქვევ.	„ანაქსიმანდრის ზოგი..“	ანაქსიმანდრის “Tò ἄpeiron“-ს ზოგი...
8	14 ზევ.	თალკი	თალეი
11	10 ქვევ.	ენტელეზია	ენტელეხია
13	3 —	პლოტონი	პლოტინი
16	1 ზევ.	მე-XIII საუკ.	მე-XVIII ს.
18	10 ზევ.	მხარეების	მხარეები

შეცდომის გასწორებანი

„მოამბის“ მე-XI და მე-XII ნომრებში ბ. იაკობ ფანცხაეას ნათარგმნ წერილებში შემდეგი კორექტურული შეცდომებია:

გვერდი.	სტრიქონი.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
2	13	ზევიდან	ყოველი.	ყოველი სულ-დგმული
2	14	ქვევიდან	არსებანიც	საგანიც.
5	6	ქვევ.	მიწაზე.	მინაზე.
6	5	ზევ.	უსარგებლოს.	როგორც უსარგებლოს.
6	4	ქვევ.	გამოიქმნება.	გარდიქმნება.
8	15	ქვევ.	მაგრამ ეს ადვილათ.	მაგრამ ადვილათ.
8	4	ქვევ.	ქადაკრული.	გადაკრული.
9	14	ზევ.	ძარღვი.	მყესი.
9	16	ზევ.	ატალი.	ატალი (კუთი, მუსკული)
9	3	ქვევ.	გუზე.	გულზე.
12	2	ზევ.	არდი-გარმო.	გარდი-გარდმო.
12	6	ზევ.	წყლდუ	წყლტუ.
12	16	ზევ.	გულს აქეთ-იქეთ არის.	გულს აქეთ-იქით აქვს.
21	10	ქვევ.	მილებს	ძვლებს.
26	9	ქვევ.	მკლავის ძვალშია.	ყვლივშია
27	11	ქვევ.	მოაკლდებოდეს.	მოკლდებოდეს.
38	2	ზევ.	აზარმცებზე	აზარმაცებზე.
38	9	ზევ.	ამა თუ	ამა თუ იმ
47	17	ზევ.	ცელა.	ცილა
55	9	ქვევ.	გულები	ვენები.
64	8	ქვევ.	დვრილარებული	დვრილასებური
66	2	ზევ.	კანა-გული.	უკანა-გული
69	7	ქვევ.	მარჯვენა ასოს	მარჯვენა
75	6	ზევ.	ვიდრე მარჯვენა.	ვიდრე წინა-გული.
80	14	ქვევ.	რომ სხვა-და-სხვა	სხვა-და-სხვა

გებლო ნივთიერებანი სისხლში შედის ხორცისაგან. ამავე ოსმოსისა გამო მსაზრდოვებელი მასალა კუჭიდან სისხლს შეერთვის ხოლმე. ბოლოს ამავე ოსმოსის ბრალია, რომ მასალა მოსანელებლად უვარგისი, სისხლისაგან შემდეგ კი სხეულიდანაც გამოიდევნება. ოსმოსის საშუალებით სისხლი ხორცს ასაზრდოვებს და ასუფთავებს კიდეც. ამავე ოსმოსის შემწეობით თვითონ სისხლი საზრდოვობს და სუფთავდება.

ორის უმთავრესის ნივთიერებით იკვებება სისხლი და სხვასაც ამ ნივთიერებითა ჰკვებს. ეს ორი ნივთიერება საჭმელი და ჰაერია. ჰაერი ყოველთვის მზა-მზარეულადა გვაქვს, საჭირო არ არის, ან ვიყიდოთ და ან ოფლით მოვიპოვოთ; ამიტომ ჰაერს ცოტ-ცოტათ, თუმცა კი ხშირად ვხმარობთ რამდენიც გვინდა იმდენს. საჭირო არ არის, ჰაერი სათადარიგოთ შევინახოთ. ის კია, რომ უჰაერობას რამდენსამე წუთს თუ მოვითმენთ.

საზრდოს მოსაპოვებლად კი შრომა და ჯაფაა საჭირო. დრო გამოშვებით სხეულში სათადარიგოთ შევინახავთ ხოლმე საჭმელს, ამიტომ უსაზდოოთ რამდენსამე საათსა და დღესაც კი შეგვიძლია ვიყოთ.

§ VI. რა ცვლილებას განიცდის ხოლმე სისხლი ჰაერის გავლენით; სუნთქვა.

36. რამდენჯერმე ნათქვამი მაქვს, რომ მუსკული იწვის, ხოლო სისველეში და სინათლეს არ აჩენს. მუსკულიო რომ ვამბობ, ამ სიტყვაში მთელს სხეულს ვგულისხმობ, სხეულიც იწვის, ზოგი ნაწილი უფრო იწვის.

ქიმიის დაწყებითი სახელმძღვანელოდან გაგებული გაქვთ, იმის შესახებ, (სტატია 2. გვერ. 3) რა მოუდის სანთელს, როცა ეს სანთელი ჩადგმულია თავ-დაცულ ჰაერიანს ბოთლში. ბოთლში ჟანგ-მბადი კლებულობს, ნახშირის სიმჟავე კი მატულობს, სანთელიც დაჰქრება რა წამს ჟანგ-მბადი გამოილევა.

ჟანგ-მბადი აუცილებლად საჭიროა მოჟანგებისათვის, მოჟანგება კი იგივე წვაა. ისიც იცით, რომ ესევე მოხდება, თუ კი მინის ჭურჭელში, სანთლის მაგიერად, ფრინველი ან თაგვი ჩასვათ. ჟანგ-მბადი გამოილევა, ნახშირის სიმჟავე თავს მოიყრის და თაგვის სიცოცხლის ალი ჯერ ქროობას იწყებს, მერმე სრულებითაც გაჰქრება და რამდენისამე ხნის შემდეგ თაგვი გაცივდება.

ახლა ვსთქვათ, რომ სუფთა წყლით სავსე მინის ჭურჭელში ჩასვით თევზი, ან ლოკოკინა; შემდეგ ჭურჭელს თავი მაგრად დაუცეთ. იქნება გეგონოთ, ჭურჭელში ჰაერი არ მოიპოვებაო, მაგრამ ეს ასე არ არის; იქ აერია. იგივე წყალი ჰაერის საზეის ქვეშ რომ მოგექციათ და ჰაერი გამოგეწოვათ, წყლიდან ჰაერის ბუშტები ამოვიდოდა. ბუშტებს თუ გამოიკვლევდით, დარწმუნდებოდით, რომ ამ ბუშტებში ჟანგ-მბადი და ცოტა ნახშირის სიმჟავეც არის. **წყალში ყოველთვის გახსნილია ჰაერი.** რამდენსამე ხანს რომ დაყოფდა წყალში თევზი ან ლოკოკინა, შემდეგ შეამჩნევდით, რომ ალი სიცოცხლისა იბჟუტება და სრულებით ჰქრება მსგავსად იმისა, როგორც ეს ფრინველს მოუვიდა. კვლავ რომ გამოგეკვლიათ ეს წყალი და იქიდან ჰაერი გამოგეკრიბნათ, ნახავდით, რომ ჟანგ-მბადი სრულებით გამქრალა და მისი ადგილი ნახშირის სიმჟავეს დაუჭერია.

ამითი დარწმუნდებით, რომ ჰაერით სუნთქვა მაშინაც შესაძლებელია, როცა იგი წყალშია გახსნილი.

ახლაც ისევ მუსკულს მიუბრუნდეთ. როცა ბაყაყის თათში სისხლის მიმოქცევას აკვირდებოდით, მაშინ არტერია ვენისაგან იმით განარჩიეთ, რომ არტერიაში სისხლი კაპილიარებისაგან მიმდინარებს, ვენაში კი კაპლიარებიდგან, არტერიაცა და ვენაც ერთნაირი წითელი გეჩვენებოდათ, ერთისა და იმავე ფერის, მაგრამ რომ შეგეძლებოდათ შეგეხედათ და ორთავიან მუსკულისაკენ მიმავალ დიდს არტერისათვის და დიდს ვენისათვის, ორიოდე მუსკულიდან რომ გამოდის, განცვიფრებაში მოხვიდოდით მათი ფერის სხვადა სხვაობით. არტერია ღია ფერისა და

წითელია, ვენა კი მოშავო ფრისა. მოშავოფრის არტერიისა და ვენის კედელი რომ გაგეჩხელიტათ, არტერიიდან წითელი სისხლი გადმოიღვრებოდა, ვენიდგან კი მოშავო ფერის. რა ადგილისაც არ უნდა ნახოთ არტერია გინდ ვენა, (ერთის ადგილის გარდა, ამის შესახებ მერმე ვიტყვი უფრო ბევრსა), ყოველთვის და ყოველგან არტერიაში წითელი, ალის ფერი სისხლი იქნება, ვენებში კი მოშავო ფრისა. ამიტომ, წითელსა და ღია ფერის სისხლს არტერიისას **არტერიის სისხლს** ვუწოდებთ, ვენის მოშავო ფრისას კი **ვენის სისხლად** მოვიხსენიებთ.

რა განსხვავებაა ამ ორ გვარს სისხლთა შორის? არტერიის სისხლი რომ მოაქციოთ ჰაერის საზევის ზარის ქვეშ და იქიდან ჰაერი გამოწოვოთ, როგორც წყლიდან ამოწოვეთ, როცა თევზი თუ ლოკოკინა ჩასვით, ამ შემთხვევაში სისხლი ჰაერს ანუ უკეთ ვსთქვათ, გაზს მოგცემდათ გაცილებით იმაზე მეტს, რაიც წყალმა მოგცათ. ერთი ბოთლი სისხლი ნახევარ ბოთლს გაზს იძლევა ხოლმე. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ეს გაზი ჰაერს არ ჰგავს: ჰაერში ხომ უმეტესი ნაწილი აზოტია, უმცირესი კი ჟანგ-მბადი (ქიმიის დაწყებითი სახელმძღვანელო სტატია მე-9). სისხლის გაზს კი მცირე ნაწილი აზოტისა ექნება, ბევრი ჟანგ-მბადი, უმეტესი ნაწალი ნახშირის სიმჟავისა.

ვენის სისხლიდან რომ ამოგესრუპათ ჰაერი, ამ შემთხვევაში ამოდენსავე გაზს მიიღებდით, ხოლო ეს გაზი სულ სხვანაირად იქნებოდა შეზავებულ-შემდგარი. აზოტის რაოდენობა იმდენივე იქნებოდა, ჟანგ-მბადისა კი ნახევარზე ნაკლები, ნახშირის სიმჟავე კი საგრძნობელად ბევრი იქნებოდა.

აი, ეს უმთავრესის განსხვავებაა (რადგან სხვა განსხვავებაც არის) ვენისა და არტერიის სისხლის შორის. **მართალია არტერიის სისხლშიაც და ვენისაშიაც არის გახსნილი ჟანგ-მბადი, აზოტი და ნახშირის სიმჟავე, მაგრამ ვენის სისხლში უფრო ცოტაა ჟანგ-მბადი, ვიდრე არტერიისაში.**

37. **არტერიის სისხლმა, კაპილიარებში გასვლისას ჟანგ-მბადი დაჭკარგა, ნახშირის სიმჟავე კი მიიღო.** სად გაჭ-ქრა ჟანგ-მბადი? საიდან-ღა გაჩნდა ნახშირის სიმჟავე? ჟანგ-მბადი მიიღო ხორცის იმ კონებმა, კაპილიარებში რომ არის გამოხვეული, სისხლ ნაკლულმა მუსკულის ბეწვებმა, ნერვებმა, კანმა. ესენიც ხომ კაპილიარებშია გამოხვეული. ამათმა კი სისხლს სამაგიეროთ ნახშირის სიმჟავე გადასცეს. კაპილიარებ-ში რომ სისხლი იყო, ამ სისხლის ჟანგ-მბადი ხორცს კაპი-ლიარების გარეშემო მდებარეს გადაეცა, ნახშირის სიმჟავე კი გამოვიდა კაპილიარების გარე მდებარე ხორცისაგან და შეუ-ერთდა სისხლს, კაპილიარებში მყოფს. ამ გვარადვე ჰხდება მთელს სხეულში. სხეულის ყოველადგილას ხორცი ჩაის-უნთქავს სისხლს, ამავე დროს ჩაისუნთქავს გაზს, სისხლში რომ არის გახსნილი, იმის მსგასადვე, როგორც თევზი ჩაისუნ-თქავს ხოლმე წყალსა, ე. ი. წყალში გახსნილს ჰაერს ჩაისუნ-თქავს ხოლმე.

ასე და ამ გვარათ ჰხდება ყოველგან მთელს სხეულში, გარდა ერთის ადგილისა. სხეულში ერთი დიდი არტერიაა, რომლის სისხლი ღიაფრისა, წითელია, მაგრამ არტერიისა კი არ არის, არამედ მოშავო ფერისა, ვენისაა... არის აგრეთვე რამდენიმე დიდი ვენა, რომლებშიაც სისხლი მოშავო ფერისაა, მაგრამ ვენის კი არ არის, არამედ ღიაფრისაა, წითელი და არტერიული. თქვენ უკვე იცით, თუ რომელია ეს ვენები და არტერია. ასეთებია ფილტვების არტერია და ვენები. სისხლს ფილტვების ვენებისას უფრო მეტი ჟანგ-მბადი და ნაკლები ნახშირის სიმჟავე აქვს, ვიდრე სისხლს ფილტვების არტერიისას. **ჟანასკნელის სისხლმა ფილტვების კაპილიარებში რომ გასვ-ლა, დაჭკარგა ნახშირის სიმჟავე, ნაცვლად ჟანგ-მბადი მიიღო.**

38. რას წარმოადგენს ფილტვი? შინაურს კურდღელს რომ ვშლიდით, მაშინ ფილტვები დაფუკული იყო. იმის მიზეზს ახლავე გავიგებთ. სასუნთქავ ყიაში რომ ჩაუბეროთ — სასუნ-თქავ ყიას ორი ტოტი აქვს, თითო ტოტზე თითო ფილტვი, —

ფილტვები კვლავ გაიბერებიან და გამოიწევენ. მართლადაც და ფილტვები ბუშტს წარმოადგენენ, შესაძლებელია ეს ჰაერით გაავსოთ. თუ თავის ნებაზე ამოუშვით ბუშტები, მაშინ თავის თავად დაიფუკებიან და ჰაერისაგან დაცალიერდებიან.

ამ ბუშტებს სხვა გვარი აგებულება აქვთ. წარმოიდგინეთ დიდი, მრავალ ტოტებიანი ჩირგვი ან ხე, რომლის წვეროფოთლებით არის შეფარული; კვლავ წარმოადგინეთ, რომ ხის ტანი, მისი დიდი და პატარა ტოტები გამოღრუებულ მილებს წარმოადგენს, ისიც წარმოიდგნეთ, რომ თვით ფოთლებიც კი პატარა გამოღრუებულ ბუშტებს წარმოადგენენ და გადმოცმულნი არიან პატარა გამოღრუებულ ტოტებზე, ხოლო ეს უკანასკნელი შემდგარია ნაზის და მაგარის, ძალზე გამჭიმარე ნივთიერებისგან. ტანიდან რომ ჩაბეროთ, ამავე დროს ყოველ ბუშტებსაც გაბერავთ, შეწყვეტთ თუ არა ჩაბერვას, ის ბუშტებიც დაიფუკებიან.

აი, ეს სისტემა, შემდგარი გამოღრუბეულ ტოტებისაგან, რომელთაც **ბრონხიალური მილები** ჰქვიათ, და გამოღრუებულ, გამჭიმარე ბუშტებისაგან, რომელთაც ეწოდებათ **საჰაერე ბუშტები** ანუ **ალვეოლები** ეწოდებათ, გამოხვეულია ფილტვების არტერიებისა, ვენებისა და კაპილიარების ხშირს ქსოვილში; ეს ქსოვილი ისეთი ხშირი და მჭიდროა, რომ უსათუოდ გადაფარებულია თვით უმცირეს საჰაერე ბუშტზედაც კი, სწორედ იმ ნაირადვე, როგორც არის გამოხვეული ხანდისხან რეზინის ბურთი მოქსოვილ ბადეში. საჰაერე ბუშტების კედლები მეტის-მეტად თხელია, ისე თხელი, რომ კაპილიარების სისხლს და საჰაერე ბუშტების ჰაერს ფრიად თხელი გარსი აშორებს. გაივლის თუ არა მოშავო ფერის სისხლი კაპილიარებში, მაშინვე ნახშირის სიმჟავე, იქ მოქცეული, იქიდან ამ თხელ გარსში გამოატანს და ჰაერს შეუერთდება, ჟანგ-მბადი კი ჰაერისაგან სისხლში შედის, ნახშირის სიმჟავის მაგიერ.

ამ ნაირად, მოშავო ფერის სისხლი, ფილტვების არტერიაში მიმდინარე, ძალზე გაბერილ ბუშტებს კაპილიარებში გარედან გაუვლის, ამ დროს ნახშირის სიმჟავეს დაჰკარგავს,

ნაცვლად ჟანგ-მბადს მიიღებს, მიიღებს ღიასა და წითელს ფერს არტერიალურის სისხლისას და შევა ფილტვების ვენებში.

მაშასადამე, აი სად ყოფილა მიზეზი, ჰაერი რომ მუდამ გვჭირია. **სხეულის ყოველი ნაწილი, რა ნაწილიც უნდა იყოს** იგი და სადაც **უნდა იყოს მოთავსებული, სისხლით სუნთქავს; სუნთქვის დროს სუფთას და არტერიალურს სისხლს გარდაქმნის ხოლმე ვენის სისხლად;** ასე **ჭსდება** ყოველგან მთელს **სხეულში, ხოლო ფილტვებში** კი **არა, რადგან აქ** ოვით **სისხლი** ისუნთქავს **ჭაერს, ამიტომ** იგი **ვენის უსუფთაო** სისხლის **მაგიერ** ارტერიის **სუფთა** სისხლად **შეიქმნება ხოლმე.**

39. მუსკულის კაპილიარებში მუდამ სისხლი მიმდინარეობს, სანამ სიცოცხლე არ მოსპობილა და გულსაც ფეთქა არ დაუკარგავს. ყოველ წუთს მოირბენს ხოლმე ახალი, სუფთა, ღია ფრის და არტერიალური სისხლი, რათა იდგილი დაიჭიროს მოშავო ფერისა, უსუფთაო და ვენის სისხლისა. ამ ნაირად სისხლი მუდამ ჟამს რომ არ ახლდებოდეს, მუსკული მოსუსტდებოდა, ალი სიცოცხლისა მიჰქრებოდა და მუსკული მოკვდებოდა.

სუნთქვა რომ შეგვეწყვიტა, ფილტვებში მოქცეული ჰაერი მალე დაკარგავდა ჟანგ-მბადს და ნახშირის სიმჟავით აივსებოდა. მაშინ ფილტვების კაპილიარებში სისხლი არტერიალურად ვეღარ გარდიქმნებოდა და ფილტვების ვენებში ისეთივე უსუფთაო და მოშავო ფერის სისხლი შევიდოდა, როგორც იყო ფილტვების არტერიაშივე. **ამიტომ, როგორც საჭირო, რომ მუსკულში სისხლი მუდამ ახლდებოდეს, ასევე საჭირო, რომ ფილტვებში ჭაერი განუწყვეტლად ახლდებოდეს.**

როგორ-ღა განახლდება ხოლმე ჰაერი ფილტვებში? მკვდარის შინაურის კურდღლის ფილტვები დაფუკულია, მოკუმულია, ჰაერისაგან დაცალიერებული და შეუმჩნეველად არის მოთავსებული გოძონძლოს უკანა ნაწილშ. (ნახატი 1. G. G.). გოძონძლოს სიღრუვე დიდს სიცალიერეს შეიცავს, ნახევრად

ძლივსლაა აღვსებული ფილტვებითა და გულით, ეს მდგომარეობა ფილტვებისა ბუნებრივი როდია. მეორე შინაურ კურდღელს გაუფატრეთ მუცელი, მკერდს მისას კი არ შეეხოთ; მუცლიდან ამოიღეთ ყველაფერი: კუჭი, ღვიძლი, ნაწლავები და სხ. ასე თუ მოიქცევით, მთელს დიაფრაგმას (აფსკას) ერთიანად დაინახავთ,—დიაფრაგმა ხომ მთლიანს კედელს წარმოადგენს გოძონძღოსა და მუცელს შუა მოთავსებულს. დაინახავთ, რომ აფსკა გოძონძღოშია შეზნექილი, დიაფრაგმა იმ მხრით, რომელზედაც უცქერით, ჩაღრმავებულია. შინაური კურდღელი რომ უკანა ფეხებით აიღოთ, თავი ქვევით აქნევინოთ და მუცელში წყალი ჩაასხათ, წყალი დიაფრაგმის ჩაღრმავებულზე მოიკრიბება.

შინაურის კურდღლის დიაფრაგმა ფრიად გამჭვირვალეა; შეგიძლიათ შეიხედოთ გოძონძღოში, იქ წითელის ფერის ფილტვები დაინახოთ, დიაფრაგმა კი ამას არ მოგიშლისთ. ასე თუ **მოიქცევით, შეამჩნევთ, რომ ფილტვები ითქმის მთელს დიაფრაგმას, გოძონძღოს მთელს სიღრუესაც ფარავს, ეს სიღრუე, რაც გულს არ უშურავს, ფილტვებით არის ადგსილი.**

დიაფრაგმას შუაზე გაზით რომ მოუჭიროთ და მუცლისაკენ დასწიოთ, ამით ფილტვებს მაინც ვერ დააშორებთ იმდენათ დიაფრაგმას, რომ ფილტვებსა და დიაფრაგმას შუა ადგილი დაცალიერდეს; ფილტვები დიაფრაგმას გამოჰყვებიან და დიაფრაგმას მაგრად მიეკვრიან. სულ ერთია, შეზნექილი თუ გამოზნექილი იქნება დიაფრაგმა.

სხვა ნაირად ეს ასე ითქმის: **ფილტვები სავსებით ავსებენ ხოლმე გოძონძღოს, რაცა დიაფრაგმა შეზნექილია; ეს ხომ სე იყო, შინაურს კურდღელს რომ მუცელი გაგუფატრეთ; დიაფრაგმა თუ გამოზნექილია, გოძონძღოს სიღრუეც უფრო დიდია, მაშინ ფილტვები გაიბერებიან და მთელს გოძონძღოს სავსებით ადავსებს ხოლმე.**

40. როგორღა გაიბერებიან ხოლმე ფილტვები? სასუნთქავი ყია ჰაერს ჩაისუნთქავს. თუ ყურს დაუგდებთ, ჰაერის

შესვლას გაიგონებთ, დიაფრაგმას რომ ქვეეით დასწეეთ; საასუნთქავი ყია რომ გასკვნათ, ან პირი დამუწოთ და ცხეირში ხელი მოიჭიროთ, იმ შემთხვევაში დიაფრაგმის ქვეეით დაწეევა საძნელო სიქმეა, და ეს იმიტომ, რომ ახალი ჰაერი ფილტვებში ველარ შედის.

დიაფრაგმა გახვრიტეთ, ისე, რომ ფილტვები არსად გასჭრათ... ამ დროს გაიგონებთ ხმაურობას გოძონძლოში სიჩქარით შემავალის ჰაერისას. ფილტვები იმ წამშივე მოიკუმება და დაიფუკება. ფილტვები დიაფრაგმამდე ველარ მიაღწევენ უწინდელებრ. ახლა გოძონძლო რომ გაფატროთ, ნახავთ, რომ ფილტვები იმ ნაირადვე დაფუკულნი და მკერდის უკან მოთავსებულნი არიან, როგორც პირველს შინაურს კურდღელს ვუნახეთ. ხმაურობა, რომელიც გვესმის, ფილტვებიდან გამომავალის ჰაერისა და იმ ჰაერის შედეგია, რომელიც მიისწრაფის მკერდში შესასვლელათ, ფილტვების გარშემო ცარიელი ადგილი რომ დაიჭიროს.

ვიდრე მკერდს გაფატრავდეთ, დიაფრაგმა რომ ასწი-დასწიოთ ისე, როგორც ამას დიაფრაგმის გახვრეტამდე შვრებოდით, დარწმუნდებით, რომ დიაფრაგმის ასეთს აწევ-დაწევას ახლა არაფერი გავლენა აღარა აქვს ფილტვებზე. ფილტვები ახლა აღარ გაიბერებიან. დიაფრაგმის აწევ-დაწევით, ახლა, ნახვრეტში **გადი-გამოდის ჰაერი ბირდაბირ მკერდიდან** და **არა ფილტვებიდან.**

როგორც ხედავთ, გოძონძლო წარმოადგენს **სენაკს**, რომელშიაც **ჰაერი გერსაიდან გერ შედის**; ვიდრე გოძონძლო მთელია, ფილტვებიც **მარადის დაჭიმულნი არიან.** და ეს მაშინაც კი, როცა დიაფრაგმაც რაც კი შეიძლება შეზნექილია.

რატომ არის, რომ ფილტვები მუდამ დაჭიმულნი არიან? ეს იმიტომ არის, რომ მკერდში ჰაერი ვერ შედის; იმიტომ, რომ ჰაერს არ შეუძლია დაიჭიროს სივრცე, რომელიც გოძონძლოშია ფილტვების გარშემო. ფიზიკის დაწყებითი სახელმძღვანელოდან იცით, რომ ყოველთვის და ყველაფერს აწვება ჰაერი. ჰაერი აწვება შინაურის კურდღლის ყოველს ნაწეევარს;

ჰაერი აწვება აგრეთვე შიგნიდან სასუნთქავ ყიას და ფილტვებს. მუცელს ჰაერი გარედან აწვება და ამით კი დიაფრაგმასაც აწვება ქვევიდან, ამიტომ დიაფრაგმაც შეიზნიქება ხოლმე. ჰაერი გოძონძღოსაც აწვება გარედან, თუმცა ფერდის შეზნექა, შეჭყლეტა არ შეუძლია, რადგან მკერდი მაგარი კედლებიანია.

მკერდს რომ სუსტი, რბილი და ადვილად შესაჭყლეტი კედელი ჰქონოდა, მაშინ ჰაერი კედელს შეჭყლეტდა და ფილტვებსაც დააწვებოდა გარედან. მაგრამ მკერდს მაგარი და უდრეკი კედელი აქვს. ამიტომ ჰაერი ფილტვებს გარედან ველარ აწვება. მკერდის კედელი ჰაერს უშლის ფილტვებს გარიდან დააწვეს.

ჰჩანს, რომ ჰაერი ფილტვებს მხოლოდ შიგნიდან და არა გარედან აწვება,—ამისი შედეგი კი ის არის, რომ ფილტვები ყოველთვის დაჭიმულნი ანუ გაფართოვებულნი არიან. როცა კი ბუშტს სულს ჩაუბერავთ, ბუშტი გაიჭიმება ანუ გაფართოვდება, და ეს იმიტომ, რომ ამ დროს ბუშტს შიგნიდან უფრო ძლიერათ აწვება ჰაერი, ვიდრე გარედგან. იმის მაგიერათ, რომ შიგნიდან ჰაერი **უფრო ძლიერათ აწვებოდეს**, ვიდრე გარედან, შესაძლებელია, ჰაერი გარედან **უფრო სუსტათ** აწვებოდეს. ამის მისაღწევათ საჭიროა ბუშტი მოაქციოთ ჰაერის საზევის ზარის ქვეშ: ბუშტი მაშინვე გაიჭიმება-გაიბერება. აი, სწორედ ამასვე ასრულებს მკერდის კედლები. მკერდის კედლების მეოხებით ფილტვებს გარედან უფრო სუსტათ აწვება ჰაერი (სულაც არა—მკერდში სიცალიერეა), ვიდრე შიგნიდან. ამიტომ ფილტვებიც, ვიდრე მკერდის კედელი დაუზიანებელია, მუდამ დაჭიმულნი და გაბერილნი არიან.

მკერდი რომ სადმე გახვრიტოთ, ნახვრეტში მაშინვე ჰაერი შევა და და ფილტვების გარეშემო, გოძონძღოში, ადგილს დაიჭერს. ჰაერიც ფილტვებს გარედგან დააწვება. ფილტვების გარედანაც და შიგნიდანაც ერთნაირი ძალით მიაწვებოდა ჰაერი, ამით მოისპობოდა მიზეზიც ფილტვების გაჭიმვისა და გაბერვისა,—ფილტვები მაშინვე დაიფუჭებოდენ, იმ ბუშტსავით,

რომლის გაბერვას თავი დაანებეთ, რომელიც გამოიღეთ, ჰაერის საზევის ქვეშ რომა გქონდათ მოთავსებული.

გაუხვრეტელ დიაფრაგმას, როცა კი ქვევით დასწევთ, ჰაერიც უფრო სუსტათ დაწვება ფილტვებს გარედან. შიგნიდან კი ფილტვებს ჰაერი ძალზე აწევება, ამიტომ ფილტვები დაიჭიმებიან და დიაფრაგმაც თან დაედევნება. თუ დიაფრაგმა მიუშვით და აღარ დასწიეთ, ფილტვებიც მოიკუმება, ჰაერი, რომელიც ამ ფილტვებშია, გარე გამოიდევნება და დიაფრაგმაც ზევით აიწევს, შეიზნიქება. თუ მკერდს აქვს ნახვრეტი, იმ შემთხვევაში დიაფრაგმას აწევ-დაწევა არაეითარს გავლენას არ იქონიებს იმის შესახებ, თუ რა ძალით მიაწვება ხოლმე ფილტვებს გარედან ჰაერი. ამ შემთხვევაში ფილტვებს გარედანაც და შიგნიდანაც ერთნაირად იწვება ჰაერი, და ამიტომ ფილტვები აღარ გაიბერებიან ხოლმე.

როცა დიაფრაგმა, რომელსაც ჰაერი ვერსაადან გერ შეუდის, ქვევით დაიწევს, მაშინ, ატმოსფერის სიმძიმისა გამო, ფილტვებში ჰაერი შევა სასუნთქავი ყიათი და ფილტვებს გაზრდიმავს; თუ დიაფრაგმას ამ დროს თავს მიანებებთ, გაზრდილი ფილტვები კვლავინდელ დონეს დაუბრუნდებიან და გადამეტს ჰაერს, მათში შესულს, გარედ გამოუშვებენ.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ დიაფრაგმა ხან დაიწევს და ხან აიწევს, რა მოხდება ამით? როცა ქვევით დაიწევს დიაფრაგმა, ფილტვებში ჰაერი მაშინვე შევა, როცა კი ზევით აიწევს დიაფრაგმა, ფილტვებიდან იმოდენივე ჰაერს გამოატანს გარედ, რამდენიც შევიდა.

სწორედ ასე ხდება სუნთქვის დროსაც. წამში 17-ჯერ დაიწევს დიაფრაგმა და ამ დროს ფილტვებში შედის ჰაერი სასუნთქავი ყიათი. ამას **ჩასუნთქვა** ჰქვია. შემდეგ დიაფრაგმა ქვევით აღარ დაიწევს, გაჭიმული ფილტვები წინანდელ სიფართოვეს მიიღებენ და გადამეტ ჰაერს გარედ გამოდევნიან, თან ფილტვებს აჰყვება დიაფრაგმაც. ამას **ამოსუნთქვა** ჰქვია.

დიაფრაგმა, დაწევის დროს, მუცელს დააწვება ხოლმე. შიგნეულობა დიაფრაგმას ზევით აწევაში შველის. მუცელზე

რომ ხელი დაიდოთ, იგრძნობთ, რომ როცა დიაფრაგმა ქვევით დაიწევს ხოლმე ჩასუნთქვის დროს, მუცელი ამ დროს ამოიბერება; ჩაიბერება კი მაშინ, როცა დიაფრაგმა ამოსუნთქვის დროს ზევით ამოიწევს და თავის კვლავინდელ ადგილს დაიჭერს.

41. რისი ბრალია, რომ დიაფრაგმა აიწევ-დაიწევს ხოლმე? ყურადღებით თუ დააკვერდებით დიაფრაგმას შინაურის კურდღლისას (გინდა სხვა რომლისამე ცხოველისას), დარწმუნდებით, რომ იგი წარმოადგენს პრტყელსა და თხელს მუსკულს. იგი საკვირველი აგებულებისაა. მუსკულის წითელი ბეწვები ირგვლივ არის მოთავსებული (ნახატი 12, (A u C), შუა ადგილი დიაფრაგმისა კი უჭირავს მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მყესს. ამ ბეწვებს მუსკულისას, მუსკულის სხვა ბეწვებ-



ნახ. 12 ძაღლის აფსკა, როცა მას ქვევიდან, ე. ი. მუცლიდან ვუცქერით. VCI. ქვედა ღრუ ვენა; O საყლაპავთ ყია-Ao-აორტა; ფართო ღია ფერის მყესისაგან შემდგარი შუაგული (B) კარგათ და ცხადლივ განირჩევა სხვისებურათ მიმოფანტულ მუსკულების ბეწვებისაგან (A), რომელნიც მიკრულნი არიან წიბოებსა და ხერხემლის წინა ნაწილებზე (CD).

საეით შეუძლიათ მოიკუმონ. რა უნდა მოხდეს მაშინ, როცა ეს ბეწვები მოიკუმება და მოიმოკლებს?

თუ მოსვენებაში არის ეს ბეწვები (დაკლულის შინაურის კურდღლისა, მაგალითად), მაშინ დიაფრაგმა ზევით არის აწეული, მკერდში შეზნექილი, როგორც ეს ზევითაც ვნახეთ და როგორც ნაჩვენებია დაახლოებით მე-13 ნახატზე, B. ზევით ირის აწეული დიაფრაგმა იმიტომ, რომ მას ქვევიდან აწვება შიგნეულობა (მუცლის სიღრუვე ხომ ძალზეა აღვსილი ღვიძლით, კუჭითა, ნაწლავებითა და სხვა ასოებითაც); დიაფრაგმას ზევით აწევას აგრეთვე ფილტვებიც შველის, ფილტვები, როგორც ვიცით, ყოველთვის გაჭიმულნი არიან.

მუსკულის ბეწვები მოკუმვის დროს მოქმედობს შუაგულის მყესსზე, ეწევა მას (სწორედ იმნაირადვე, როგორც ეწევა ხოლმე ორთაეიანი მუსკულიც ქვედა ბოლოზე მიბმულს



ნახ. 13. დაახლოებითი ნახატი სხეულისა ჩასუნთქვისა (A) და ამოსუნთქვის (B) დროს. Tr სასუნთქავი ყია; St. გულის ფიცარი: D. აფსკა; Ab. მუცელის კედლები; შავი ხაზით ნახატი გვიჩვენებს შემდგარს ჰაერს, დაუხაზავი ადგილი ზევით A-სთან გვიჩვენებს შემომავალს ჰაერს.

მყესს). ამიტომ დიაფრაგმა უფრო გაბრტყელდება. ზოგი ბეწვი კი (მე 12 ნახატზე რომ C-თია ნაჩვენები) დიაფრაგმას ქვევით დასწევს. ბეწვების მოგუმისა გამო დიაფრაგმა გაბრტყელდება და ქვევით ჩაიწევს,—ეს მე-13 ნახატზე, A. დაახლოვებითაა ნაჩვენები.

ჩასუნთქვის დროს დიაფრაგმა ჩაიწევს იმიტომ, რომ მისი მუსკულის ბეწვები მოიკუმებიან; ამოსუნთქვის დროს კი დიაფრაგმა მოსვენებულია. მუსკულის ბეწვები ამ დროს მოიშვებენ და დიაფრაგმაც ზევით აიწევს ერთი იმიტომ, რომ ფილტვები მას ზევით ეწევიან, და მეორეც იმიტომ, რომ ქვევიდან მას შიგნეულობა აწვებს.

42. ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვას დიაფრაგმას გარდა კიდევ სხვა რამეც ეხმარება. დიაფრაგმის მოძრაობაზე მკერდიც ხან გაგრძელდება, ხანც მოიმოკლებს. თვალ-ყურს თუ ადევნებთ და კარგათ დაუკვირდებით ეასიმე სუნთქვას, განსაკუთრებით კი დედა-კაცისას, შეამჩნევთ, რომ სუნთქვის დროს მკერდი ღელავს, ე. ი. აიწ-დაიწევს ხოლმე. მკერდის წინა ნაწილი და გულის ფიცარი წინ გამოიწევს და მერმე ისევ უკან დაიწევს. დიდი დაკვირვება არ დაგჭირდებათ, დარწმუნდეთ, რომ მკერდი წინ გამოიწევს ჩასუნთქვის დროს, ე. ი. მაშინ, როცა დიაფრაგმა ქვევით ჩაიწევს; უკან მკერდი კი ამოსუნთქვის დროს დაიხევს. როცა გულის ფიცარი წინ წამოიწევს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მკერდი გაფართოვდა და გაგანიერდა; გულის ფიცარის უკან დახევა კი იმის მომასწავებელია, რომ მკერდი ოანაბრადვე გაწვრილდა. ამნაირად, მკერდი დაგრძელდება იმიტომ, რომ დიაფრაგმა ჩაიწევს, ამავე დროსვე გაფართოვდება იმიტომ, რომ გულის ფიცარი წინ წამოიწევს. ჩასუნთქვის დროს ფილტვები არა თუ ქვევით ჩაიბერებიან დიაფრაგმის ჩაწევისა გამო, არამედ ამავე დროს წინაც კი ამოიბერებიან მკერდის მოძრაობის გამო.

რათ წამოიწევს ხოლმე წინ გულის ფიცარი?

ხმელი კაცის მკერდს რომ დაუკვირდეთ, კარგათ შეამჩნევთ, რომ ყოველ ჩასუნთქვის დროს წიბონი ოდნავ ამოი-

წევენ. ყოველ წიბოს ერთი ბოლო ზურგის ძვალთან აქვს შეერთებული სახსრითა, მეორე ბოლო კი მიზრდილია გულის ფიცარზე ხრტილის საშუალებით (ნახე პირველი ნახატი). წიბოს შუა ადგილას რომ თოკი ჩააბათ და ეს თოკი გამოჭიმოთ, ნახავთ, რომ თქვენ მოქმედებთ აზარმაცზე;—ამ აზარმაცს დასაყრდნობელი წერტილი ზურგის ძვალზე ექნება, სიმძიმე მკერდთან დააწვება და ძალა კი იქ მიაწვება, სადაც თოკი გაქვთ მიბმული. გამოსწევთ თუ არა თოკსა, მაშინვე წიბოც დასაყრდნობელ წერტილის გარეშემო დაიწყებს მოძრაობას და ზურგის ძვლისაკენ გაემართება,—ამის შედეგი კი ის იქნება, რომ წიბოს წინა თავი ზევით ამოიწევს, გულის ფიცარი წინ წამოვა, თოკს თუ თავს მიანებებთ, გულის ფიცარი, რადგან იგი გაჭიმული იყო და წინ წამოწეული, უკან დაიხევს და წიბოც იძულებული იქნება ქვევით ჩაიწიოს.

წიბოთ მუსკული აქვთ. ამ მუსკულებს წიბოსანი ეუწოდოთ. (ნახატი 14). ამ მუსკულების ნამდვილს მოქმედებას შემ-



ნახ. 14. ნახატი გვიჩვენებს ძაღლის ოთხს წიბოს და მათ შორის მუსკულებს. a. წიბონი: b. ხრტილი; c. წიბოების ხრტილთან შეერთების ადგილი; d. უძვლო ნაწილი გულის ფიცარისა; ხოლო e. ძვლიანი. A. წიბოთა შორის, გარეგანი მუსკული; B. წიბოთა შორისავე შიგნითი მუსკული; წიბოთა შორის შუაზე გარეგანი მუსკული ამოჭრილია, რომ უფრო გამოჩნდეს შიგნითი.

დეგ გაიგებთ. ახლა კი საკმარისია გითხრათ, რომ ეს მუსკულები იმნაირადვე მოქმედებენ, როგორც ის თოკი, წიბოებს რომ მიაბით. **რაცა კი მოიკუმებიან ეს მუსკულები, წიბოებს გამოწევენ და გულის ფიცარს ზევით ასწევენ; რაცა მოიშვებენ მუსკულები, წიბოებიცა და გულის ფიცარიც უწინდელს ადგილს დაუბრუნდებიან.**

არის კიდევ სხვა მუსკულებიც, რომლებიც სუნთქვას, უფრო კი ღრმად ჩასუნთქვას, უწევენ დახმარებას. ჯერ-ჯერობით თქვენთვის საკმარისია იცოდეთ, რომ ჩვეულებრივის სუნთქვის დროს ერთსა და იმავე დროს ორგვარი მოძრაობა ხდება, ამ მოძრაობის საშუალებით ჰაერი მკერდში შედის, თვითონ მოძრაობა კი გამოწვეულია მუსკულების მოკუმშვითა. ერთი მოძრაობა ის არის, რომ დიაფრაგმა მოიკუმება, გაპრტყელდება და ამით მკერდი უფრო ჩაღრმავდება ანუ უფრო ჩაგრძელდება. მეორეც ისა, რომ ამავე დროს წიბონი გარედ გამოიწევენ, გულის ფიცარი ზევით აიწევს, რადგან წიბოს მუსკულები მოიკუმებიან,—ამით კი მკერდი განიერდება. მკერდი რომ სიგრძესა და სიგანეს მოიმატებს, ფილტვებიც მოიმატებენ სიგრძეს და სიგანესა. ამიტომ ფილტვების შიგნითა სიფართოვეს მიემატება, ამ მომატებულის სივრცის დასაჭერად ფილტვებში შემოვა ჰაერი სასუნთქავი ყიათი. ეს კი წარმოადგენს **ჩასუნთქვას**. ესე ყოველივე რომ მოხდება, დიაფრაგმა და წიბოს მუსკულები მოკუმვას თავს გაანებებენ და მოეშვებიან. დიაფრაგმა კვლავ შეიზნიქება, **წიბონი ჩამოწევენ**, გულის ფიცარი უკან დაიწევს და გადამეტი ჰაერი, ფილტვებში შესული, კვლავ სასუნთქავი ყიათი გარე გამოატანს. ეს კი **ამოსუნთქვას** წარმოადგენს. სრულ სუნთქვას ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა შეადგენს. ამ ნაირად ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ხოლმე დაახლოვებით 17-ჯერ ყოველ წამს, სანამ ცოცხალი ვართ.

43. რა მოკუმავს ხოლმე დიაფრაგმასა და წიბოს მუსკულებს და რა შეაჩერებს იმათ მოკუმვას? ზევითა ნახეთ, რომ ორთავიანი მუსკული მოიკუმება ხოლმე თქვენ ნებაზე. სუნთქვით კი ჩვენის ნებით არა ვსუნთქავთ, უფრო ხშირად ისე

ვსუნთქავთ, რომ ამის შეგნება და ცოდნა არა გვაქვს. ვსუნთქავთ, როცა გვძინავს და ჩვენი შეგნება არ მოქმედობს. გვინდა თუ არა, ჩვენ მაინც ვსუნქავთ და ჩვენსავე ნებაზე სუნთქვას ვერ შევაჩერებთ. შეგვიძლია უფრო მალი-მალ ვისუნთქოთ, შეგვიძლია აგრეთვე თავის ნებაზე ღრმად ჩავისუნთქოთ,—ერთის სიტყვით სუნთქვა შეგვიძლია თავის თავის ნებაზე შევცვალოთ. სუნქვა კი მაინც თავის თავად ხდება, თითქმის ჩვენის ნების წინააღმდეგაც კი. სუნთქვა წარმოადგენს **უნებლიე მოქმედებას, აქტს.**

მართალია, სუნთქვა ნებაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ტვინის ზე-გავლენას მაინც ექვემდებარება; სუნთქვა დამოკიდებულია ტკინის იმ ნაწილზე, რომლითაც თავის ტვინი ზურგისას უერთდება. აი, ამ ნაწილში შემოდის (ნერვები) ინოსეი დიაფრაგმისა, წიბოს მუსკულებისა და სხვათა. ყოველ წამში 17-ჯერ ტვინი ამ ნერვებით ბრძანებას გასცემს, რათა მუსკულები მოიკუმონ. მუსკულებიც ამ ბრძანებას ემორჩილებიან და თქვენც სუნთქავთ. შემდეგ გაიგებთ, თუ რატომ და რანაირად გამოდის ეს ბრძანება. თუ მოჭრილია თავი, ან ის ნაწილი ტვინისა, რომლითაც თავის ტვინი ზურგისას უერთდება, დაზიანებულია და დასუსტებულია, ტვინიც ბრძანებას ვერ გამოსცემს და სუნთქვაც მოგესპობათ.

44. ამ ნაირად, სუნთქვის დროს მკერდში შედის და გამოდის ჰაერი, მაგრამ ფილტვები როდი დაიცლებიან ხოლმე ჰაერით. **არ უნდა მიიღოთ, რომ ვითომც ფილტვები სრულებით დაიცლებიან ჰაერით ან სრულებითვე ავსებიან ჰაერითა, ყოველ სუნთქვაზე.** პირიქით, ყოველ სუნთქვაზე მიიღებთ მხოლოდ ცოტა ჰაერს; ეს ჰაერი მიაღწევს მხოლოდ დიდრონ ტოტებამდე სასუნთქავის ყიისა, საჰაერე ბუშტებში როდი შეეა. ამ ნაწილს ჰაერისას შეიძლება ვუწოდოთ შემომავალი ჰაერი, დანარჩენ ნაწილს კი, რომელიც ფილტვებში უმოძრავოთა სდგას, შეიძლება ვუწოდოთ შემდგარი ანუ შეხუთული ჰაერი. (ნახე ნახატი მე-13).

რა ნაირად-ღა გამოდის გარედ ნახშირის სიმჟავე, ფილტვების სიღრმეში მყოფი? რა ნაირად მიიღებს ხოლმე ახალსა და სუფთა ჰაერს საჰაერე ბუშტების კაპილიარები?

ყოველ სუნთქვაზე შეხუთული ჰაერი შემომავალს შეერევა. ჰაერის გასუფთავება რომ გინდოდეთ ოთახში, საჭირო არ არის საბერავით გამოდევნოთ გარე სულ ის ჰაერი, რომელიც ოთახშია, ამის მაგიერათ საჭიროა ახალი ჰაერი შემოუშვათ ოთახში. ოთახის ჰაერის გასასუფთავებლად საკმარისია თუ ფანჯარასა ან კარს გააღებთ და ამ ნაირად ჰაერს შემოუშვებთ. ეს შემომავალი ჰაერი შეერევა ოთახში მდგარს ჰაერს და ჰაერიც დაიწმინდება, გასუფთავდება. ასეთი შერევა კი ფრიად ჩქარა ხდება. ამნაირადვე ხდება ხოლმე ფილტვებშიაც. გარედან ფილტვებში ყოველ ჩასუნთქვაზე შედის სუფთა ჰაერი. ვიდრე ეს ჰაერი გარეთ გამოვიდოდეს, ის ნაწილს თვისის ჟანგმბადისას შეხუთულს ჰაერს გადასცემს, სამაგიეროთ ამ უკანასკნელის ჰაერისაგან მიიღებს ნაწილს ნახშირ-მჟავისას. შემომავალის ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე შეგუბებული ჰაერი რამდენადმე დაიწმინდება და გასუფთავდება, რადგან ყოველ ჩასუნთქვაზე მას მოაკლდება ნაწილი ნახშირის სიმჟავისა და სამაგიეროთ მიემატება ჟანგ-მბადი. შემომავალი ჰაერი სიჩქარით ასუფთავებს შეხუთულს ჰაერს, ამით კი სისხლი სუფთავდება.

შემომავალ ჰაერს, როცა დიაფრაგმა ქვევით ჩაიწევს და გულის ფიცარიც წინ წამოიწევს, თან შემოაქვს 21 ნაწილი ჟანგმბადისა 79 ნაწილი კი აზოტისა, ყოველ ასეულზე, ფილტვებიდან, როცა დიაფრაგმა ზევით ამოიწევს და გულის ფიცარი უკან დაიხევს, გამოდის ჰაერი და თან გამოაქვს მხოლოდ 16 ნაწილი ჟანგმბადისა, 5 ნახშარის სიმჟავისა, აზოტი კი ისევ 79 ნაწილი. შემომავალმა ჰაერმა რომ ჟანგმბადი დაჰკარგა, ის შეხუთულმა მიიღო და სისხლს გადასცემს კაპილიარების საშუალებით; ნახშირის სიმჟავე კი შეხუთულმა ჰაერმა სისხლიდან მიიღო იმავე კაპილიარების საშუალებით. ცხადია, რომ სუნთქვა სისხლს ასუფთავებს, ჩასუნთქული და ამოსუნთქული ჰაერი შესცვლის ხოლმე ვენის უსუფთაოსა და მავნებელს ჰაერს

არტერიის სუფთა და მარგებელ ჰაერად. სისხლი ფილტვებში ჩაისუნთქავს ხოლმე ჰაერს, მთელ სხეულს კი სისხლი აძლევს სუფთა ჰაერს.

§ XII. რა ნაირად სცვლის საზრდო სისხლსა. საზრდოს მოხნელება.

45. ჰაერი სისხლს ასუფთავებს, საზრდო კი ანახლებს და აუმჯობესებს. საზრდო სისხლათ გარდიქმნება ხოლმე. საჭმელი ხშირად სველია, მისი უმეტესი ნაწილი კი მაინც მაგარ ნივთიერებათაგან არის შემდგარი. საჭმელს საინზე დავსჭრით ხოლმე და მერმე პირში კბილებით დავღეჭთ. რაც უნდა კარგათაც დავღეჭოთ საჭმელი, უმეტესი მისი ნაწილი მაინც მაგარი დარჩება და მას ასე გადავყლაპავთ. ვიდრე სისხლად გარდიქმნებოდეს, საზრდო ჯერ უნდა გაიხსნეს. საჭმელი საზრდოს მოსანელებელ მილში გაიხსნება ხოლმე; საჭმლის ამ გახსნას საზრდოს მონელებას ვუწოდებთ. ვნახოთ როგორ ვინელებთ ხოლმე საჭმელს.

მართალია, კანი ოფლით ხან და ხან სველი გვაქვს. უფრო ხშირად კი კანი სრულებით მშრალია. პირი კი შიგნით მუდამ სველია, რადგან პირში სითხე ყოველთვის მოიპოვება. როცა პირი მშრალი გვგონია, იგი მაინც შესამჩნევად სველია, რატომ არის ეს ასე? პირის შიგნითა კანი უფრო წითელია, ვიდრე გარე კანი სხეულისა. სიწითლე და სისველე ერთმანეთზეა დამოკიდებული.

კაპილიარების შესახებ რომ ბაასი მქონდა გამართული, მაშინ ვსთქვი, კაპილიარები ჩვენს სხეულს ყოველ ადგილას მოეშოგებათქო. მაგრამ ერთს ნაწილს ჩვენის კანისას სრულიადაც არ მოეპოვება კაპილიარები; იქ არც სხვა სისხლის სადენი მილია. კარგად იცით, რომ იქ, სადაც სქელი კანი გვაქვს, შეგვიძლია კანი გადავთალოთ, სისხლი კი მაინც არ გამოგვედინდება. გაბასრული დანითა და მარჯვე ხელით, ყო-

ველ ადგილას შეგიძლიათ კანი გადითალოთ. ეს ამონათალი კანი მიკროსკოპში რომ გასინჯოთ, ნახავთ, რომ შემდგარია პატარა ქერტლისაგან. ძლიერ თხლათ რომ ამოსჭრათ კანი, სისქის ჩასწვრივ, იგი ძალზე გამადიდებელ მიკროსკოპში განიხილოთ, დარწმუნდებოდით, რომ კანს შეადგენ ორი ერთ-მანერთისაგან ფრიად განსხვავებული ხორცის კეცი. ეს ორი სხვა-და-სხვა კეცი კანისა ნაჩვენებია №15 ნახატზე. ზედა კეცს



ნახ. 15 კანის ნაჭერი ძალზე გადიდებული. a. გარქვევებული ეპიდერმი; b. უფრო რბილი კეცი; c. [illegible]ერმა; D. სრულიად ქვედა კეცი ეპიდერმის უჯრედთა; e უჯრედები, რომელთაგან შემდგარია ოფლის სადენი მილი, რომელიც შემოდის ეპიდერმაში. h. ჰახრაკისებურად დახვეული ნაწილი ოფლის სადენ მილისა. ამ მილის მარჯვნივ კანი იმოწეულია პატარა ძუძუს თავივით (დვრიტასავით) სადაც პატარა არტერი f. კაპილიარებში გადადის და შემდეგ წარმოშობს ვენას, g.

a და b შეადგენს პატარა სხეულები, რომელნიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან მოთავსებულნი. სულ ზევით ეს სხეულები გაპრტყელებულნი არიან, ეს ქერტლია. ქვეითი კეცში კვერცხის მაგვარად არიან მორგვალებულნი ეს სხეულები და რბილნიც არიან. ამ სხეულებს **უჯრედები** ეწოდებათ. უფრო რომ შეისწავლით ფიზიოლოგიას, უჯრედების სახელწოდება ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ. ამ კეცს, რომელიც შემდგარია რბილისა და მორგვალო, გაპრტყელებული უჯრედებისგან, ეწოდება **ეპიდერმა** (ზედა **კანი**). ეპიდერმაში სისხლის სადენი მილი არ მოიპოვება, ამიტომაც არის, რომ, ეპიდერმა რომ გავიჭრათ, სისხლი არ გამოდის. მთელის სიცოცხლის განმავლობაში ეპიდერმა თან-და-თან იზრდება, მაგრამ ამავ დროს ზედა ქერტლი თან-და-თანვე გადასდის. ხელს რომ საპნით ივბანთ, ქერტლი წყალს თან გადააქვს. ხელზე კანს სრულიად გადიბანდით, გადირეცხდით, თუ რომ ეპიდერმას ქვეშ მუდამ ახალ-ახალი მორგვალო უჯრედები არ ჩნდებოდენ, სწორედ იქ, სადაც ▲-თია ნაჩვენები. (ნახ. მე-15). ეს უჯრედები ზევით ამოიწევენ ხოლმე და შემდეგ ქერტლად გარდაქმნებიან. ამ ნაირად კანი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეპიდერმა თან-და-თან განუწყვეტლივ ახლდება. ხანდისხან, მაგალითად, კისერას შემდეგ, ახალი კანი მალე იზრდება, ძველი კანი კი დიდ-დიდ ნაჭრებად სცილდება სხეულს.

ეპიდერმას ქვედა კეცი წარმოადგენს **ნამდვილს კანს, დერმას**. დერმა აღვსილია კაპილიარებით და სისხლის სადენ მილებით. ამიტომ, როცა ამ ადგილამდე დანა ანუ სამართებელი ჩაატანს, მაშინვე გაჭრილი ადგილიდან სისხლი გამოდინდება. დერმას ეპიდერმასავით როდი შეადგენს უჯრედები. დერმა ბეწვის ნაირ ნივთიერებისაგან შესდგება, იმ ნივთიერებისაგან, რომელიც უკვე გაცნობილი გაქვთ შემაკავშირებელის ქსოვილის სახელწოდებით (ნახე გვერდი 11). ზედა პირი დერმისა იშვიათად თუა სწორი, უფრო ხშირად კი დერმას ზედა პირზე **პატარა ხორკლები** აქვს. ამ ხორკლების სახე ნაჩვენებია მე-15 ნახატზე. ეპიდერმი ამ ხორკლებს სქლათა აქვთ გადაკრუ-

ლი, ეპიდერმა აგრეთვე ხორკლსა და ხორკლს შუაც არის გადაფენილი. უფრო ხშირად ეს ხორკლები სისხლის სადენ მილებითაა აღვსილი.

ახლა, მგონია, გაიგეთ, კანი რატომ წითელი არ არის, რატომ არის იგი მშრალი. ნამდვილი კანი, ეპიდერმის ქვეშ მოქცეული, ყოველთვის სველია, რადგან მას სისხლის სადენი მილები უხვად აქვს. სისხლისათვის უსარგებლო და თხელი ნაწილი კაპილიარებში ოსმოსის მეოხებით ადვილად გამოატანს— ეს ხომ კარგად იცით—და ამ კაპილიარების გარეშემო ადგილებს ასველებს და ნამავს. მაგრამ ეს სისველე საყოფი არის, რომ სქელ ეპიდერმაში გამოატანოს; ამიტომაც ზედა პირი ეპიდერმისა მუდამ მშრალი და ქერტლიანია.

ნამდვილი კანი, ეპიდერმის ქვეშ მოქცეული, მუდამ წითელია. რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ, თუ სადმე კანი გადიძვრეთ, ქვეშა კანი უფრო წითელია. რაც უფრო ღრმად გადიტყავებთ კანსა, ეს კანიც უფრო წითელია. წითელია ეს ნაწილი კანისა იმიტომ, რომ მას ბევრისაგან ბევრი სისხლით აღვსილი კაპილიარები აქვს. ამ კაპილიარებს, ეპიდერმის ქვეშ მოქცეულებს, რომ უცქერით, სიწითლე თქვენთვის რამდენადმე დაფარულია სწორედ იმ ნაირადვე, როგორც დაიფარება ხოლმე სინათლე წითელის ჩითისა, თუ ამ უკანასკნელს ზევით თეთრი ხოლო თხელი ქაღალდი აფარია. აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ კანი ვარდის ფრად გვეჩვენება. სადაც ეპიდერმა მეტად სქელია, მაგალითად, ქუსლზე, იქ კანი არა თუ ვარდის ფრად, თეთრათა და ყვითლადაც კი გვეჩვენება.

46. თუ კი ასეა საქმე, რომ ნამდვილ კანს ყოველგან სქლად გადაფარებული აქვს ეპიდერმა, ეპიდერმა კი სისველეს ზევით არ უშვებს, მაშ როგორ-ღა არის, რომ კანი ხანდისხან მაინც სველია, მაგ, მაშინ, როცა გავოფლიანდებით. თუ კარგათ დააკვირდებით მე 15 ნახატს, შეამჩნევთ, რომ ეპიდერმაში ერთს ადგილას გამოტარებულია მილი (L) ზედა პირამდე. იმასაც შეამჩნევთ, რომ ამ მილს ქვედა ბოლო დახურული კი არა

აქვს, იგი პირდაპირ დერმაში ანუ ნამდვილს კანში შედის; იქ ამ მილის კედელს უჯრედების ერთი რიგი (e) შეადგენს. ეს უჯრედები ეპიდერმის უჯრედებს მიაგავს. მე-15 ნახატზე ადგილი აღარ იყო, რომ სრულებით გვეჩვენებინა ამ მილის ქვედა ბოლოც. მართლაც, ეს მილი რამდენადმე კანს ჩაცილებულია, იქ სისხლის სადენ მილებს გაუვლის, შემდეგ მიიხვევ-მოიხვევა ხიფსავით, ისე, რომ ღია პირი აღარ აქვს. ეს ნაჩვენებია მე-16 ნახატზე; ამ ნახატზე b გაგრძელებაა იმავე მილისა, რომელიც მე-15 ნახატზედაც არის, მხოლოდ უფრო პატარაა კია ნაჩვენები. ამ მილს ზედ გადაფარებული აქვს ხშირი ქსოვილი კაპილიარებისა, ეს ნაჩვენებია C-თი, სადაც კაპილიარები ცალკეა დახატული. კაპილიარები ხიფის შიგნით არიან მოთავსებულნი. მილთან კი კაპილიარებს კავშირი არა აქვთ. ძეტის მეტად პატარა კენჭი რომ ჩაგეგდოთ მილის ღია პირში h-ში (ნახატი მე-15), ეს კენჭი გაივლიდა ჭახრაკისებურ ნაწილს მილისას, სქელ ეპიდერმაში მოთავსებულს, მერმე ჩავარ-



ნახ. 16. დახვეული ბოლო საოფლე ჯირკვალისა. ეპიტელი ნაჩვენები არ არის. a. დახვეული ხიფი; b. სადენი; c. კაპილიარებთა ქსოვილი, რომელშიაც მოთავსებულია ჯირკვალი.

დებოდა მილში b (ნახატი 16) და შემდეგ ხიფში-a. იმოგზავრებდა მანამდის, ვიდრე მილის შეზრდილ ბოლომდე არ მიაღ-

წევდა. ეს კენჭი არაფერს, იმ უჯრედების მეტს, არ შეეხებოდა, რომელნიც ეპიდერმის უჯრედებს წააგავს; ამ უჯრედების ერთი კეცი ხომ კედლად აქვს მილს იმ ადგილას, სადაც იგი ეპიდერმას ჩასცილდება. h-ში (ნახატი 15) გაჩერდებოდა, თუ ხიფში a (ნახატი 16), ორივე შემთხვევაში ეს კენჭი მხოლოთ ეპიდერმის უჯრედებს შეეხებოდა. პირველში გაჩერდებოდა, თუ მეორეში ეს კენჭი, ამას, რასაკვირველია, განსხვავება ექნება. h ში კენჭი დაშორებული იქნება სისხლიან კაპილიარებისაგან. a-ში კი კაპილიარებს შეეხება. h-ში ის კენჭი რამოდენსამე ხანს მშრალად დარჩებოდა. a-ში კი კენჭი მაშინვე დასველდებოდა, რადგან სისხლი ოსმოსის საშუალებით ადვილად გამოვიდოდა კაპილიარების თხელს კედელში, მილის თხელსავე კედელშიც გამოატანდა და პირდაპირ მილის ხვრელში ამოყოფდა თავსა.

მართლაც, ხიფის შიდა პირი ყოველთვის სველია, სითხითაა აღვსილი. როცა ხიფის გარშემო მოთავსებული კაპილიარები სისხლით აღივსებიან,—ეს კაპილიარებს მალი-მალ მოუდისთ,—ყოველთვინ კაპილიარებიდან ბევრათ ფერმკრთალი სითხე გამოდის და მილში შედის. ამ სითხით მილი აღივსება, სითხე ზევით ამოდის მილის ხვრელში და ბოლოს მილის ღია პირთან მოაღწევს, იქ გადმოიღვრება და კანზე გაჭერცელდება. ამ სითხეს **ოფლს** ვეძახით. მილს, რომელსაც ხიფსავით დახვეული ბოლო აქვს, **ჯირკვალს** ვუწოდებთ. იმ მოვლენას კი, რომლის მეოხებით ფერმკრთალი სითხე კაპილიარების სისხლისა მილის ხვრელში შემოდის, **ეკსკრეცია** ეწოდება. ამიტომ ასე ვიტყვეთ ხოლმე. **საოფლე ჯირკვალი კაპილიარებით შემოტანილ სისხლიდან** ოფლს გამოწრეტს ხოლმე.

47. ახლა კი შეგვიძლია, გავიგოთ, რატომ არის პირი სველი და წითელი ფერისა. პირს ისეთივე კანი აქვს, როგორც ხელსაც. ამ კანს პირისას უკაპილიარო და უჯრედებისაგან შემდგარი ეპიდერმა აქვს. ეპიდერმას ქვეშ კი მოთავსებულია დერმა, რომელიც კაპილიარებითაა აღვსილი. ეპიდერმა პირისა ხელის ეპიდერმასავით როდია სქელი. წითელი კაპი-

ლიარები ამ ეპიდერმაში ძალზე გამოსჭვივიან, სისველეც გარედ ადვილად გამოდის. ამიტომ პირი სველი და წითელია. ამას გარდა, პირს ბევრი ჯირკვლებიც აქვს; ეს ჯირკვლები რამდენადმე სოფლე მილს გვანან, თუმცა თვისის სახითა და მოყვანილობით ცხადლივ განირჩევიან. აი, უმთავრესად სწორედ ამ ჯირკვლების ბრალია, რომ პირს სისველე აროდეს აკლდება.

რაკი პირის კანი მუდამ წითელი, სველი და რბილია, ამიტომ ამ კანს კანი კი არ ეწოდება, არამედ **ლორწოიანი გარსი**; ზედა პირს ამ კანისას ეპიდერმა კი არა **ეპიტელი** ჰქვია. თქვენ კი ასე უნდა დაიმახსოვროთ, რომ ლორწოიანი გარსი ნამდვილს კანს წარმოადგენს, ხოლო ამ კანს ეპიდერმა თხელი აქვს და ეპიტელი ჰქვია.

პირი დასაწყისია საზრდოს მოსანელებელის მილისა. მთელს სიგრძეზე საზრდოს მოსანელებელ მილს გადაკრული აქვს ლორწოიანი გარსი, მსგავსი პირის ლორწოიანის გარსისა, ხოლო ეპიტელი ამ გარსისა ზოგგან უფრო თხელია, ვიდრე პირში, და შემდგარია უჯრედების ერთის კეცისაგან. ამიტომ მთელი შიდა სიფრიფანა მილისა წითელი ალის ფერია და სველი; ამ მილის შიდა სიფრიფანა ყოველგან თხელის გარსით თუა დაშორებული კაპილიარების სისხლზე, თორემ მეტით არაფრით. თვით მილის კედელში აურიცხველი კაპილიარები მოიპოვება. საზრდოს მოსანელებელი მილი, როგორც უკვე იცით, წარმოადგენს გრძელს მილს, კუჭის ადგილას გაფართოვებულს, შემდეგ კი გაწვრილებულს. მთელს სიგრძეზე ამ მილს შიგნით ლორწოიანი გარსი აქვს გადაკრული, გარედან კი მუსკულები აქვს. ეს მუსკულები სხეულისა და გულის მუსკულებს როდი წააგავს. ამ მუსკულებსაც შეუძლიათ მოიკუმონ და თვისი მოკუმვით შეუძლიათ გამოწურონ მილიდან ყოველივე, რაც კი ამ მილში მოიპოვება, ისე, როგორც გულის მუსკულები გულიდან სისხლს გამოწურავენ ხოლმე. საზრდოს მოსანელებელი მილის მუსკულებიც და ამ მილის ლორწოიანი გარსიც აღვსილია კაპილიარებით.

ლორწოიანი გარსის ეპიტელი მეტათ თხელია, თვითონ ლორწოიანი გარსი კი ძლიერ სქელია, ზოგგან ისე სქელი, როგორც კანი სხეულისა. სისქე კი იმის შედეგია, რომ ლორწოიანი გარსი **ადგსიდან ჯირკვლებით**. კანს შორი-შორსა აქვს საოფლე მილები, კუჭისა და ნაწლევების ლორწოიან გარსში კი ისე ხშირია ჯირკვლები, რომ გეგონებათ, თვით გარსი მხოლოთ ამ ჯირკვლებით არის შემდგარი.

ამ ჯირკელებს სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა სახე და მოყვანილობა აქვთ. ეს მილები საოფლე მილის სრულს მსგავსებას არსად არ წარმოადგენენ, არც ერთი ამ მილთაგანი გრძელი და ბოლოზე ხიფსავით დახვეული არ არის, რადგან არც ერთს მათგანს არ სჭირდება განვლოს დიდი სისქე ეპიდერმისა. უფრო ხშირად ეს ჯირკელები ფართო და მოკლენი არიან. ზოგს მათგანს სილრმეში მოთავსებულ ბოლოზე ბევრი ტოტი აქვს. ასეა თუ ისე, ეს ჯირკვლები საოფლე მილს მაინც მიემსგავსებიან, მიემსგავსებიან მით, რომ ისინიც მილებს ანუ ტომრებს წარმოადგენენ, ქვედა ბოლო დახურული აქვთ, ზედა კი ღია; მათი კედელიც უჯრედების ერთის რიგისაგან შესდგება და მათ გარშემოც კაპილიარებსა აქვს თავი მოყრილი. კაპილიარებისაგან მილებში სითხე შემოდის, ეს სითხე ოფლს არ ემსგავსება, და საზრდოს მოსანელებელის მილის სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ნაირია. ჯირკვლების სითხე კუჭში შემოსული **მჟავეა**; ამ სითხეს **კუჭის წვენი** ჰქვია. ნაწლევებში შემოსული სითხე **ტუტეა**. მას **ნაწლევის წვენი** ეწოდება.

48. პირისა, კუჭისა და ნაწლევების ლორწოიან გარსში კიდევ სხვა ბევრი ჯირკვალია, ლორწოიან გარსთან კი ამ ჯირკვალთ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. კანის ქვეშ, ორივე ყურების ძირში, ყბის უკან, მოთავსებულია რბილი რამ, რომელს შეხებით ვერ იპოვით. ავადმყოფობის დროს, ყბა-ყურას დროს ეს რბილი რამ გამოიბურთება. მაშინ ადვილათ შესამჩნევია. შეგიძლიათ ეს რბილი რამ ცხვრის თავზე ნახოთ, თუ შეისწავლით მისს აგებულებას, დარწმუნდებით, რომ მას მიბმული აქვს ხორციანი ძაფი, კანის ქვეშ, კისერზ

პირისაკენ მიმავალი. ეს ძაფი რომ გადაჭრათ, დარწმუნდებით, რომ ის ძაფი კი არა, წვრილი მილია; იგი იწყება იმ რბილ ადგილას, ჩვენ რომ ვამბობდით, და პარში დაბოლოვდება ხოლმე ლია ნახვრეტით. იმ რბილ სხეულთან ეს მილი ორ პატარა მილად არის გაყოფილი. ეს უკანასკნელიც პატარ-პატარა მილებად ანუ ტოტებად არის დაყოფილი, და ასე ამ ნაირად, ეს მილები კვლავ დაიყოფებიან ხოლმე, სანამ თხელ კანიან და გამობერილ ბოლოთი არ დამოკლდებიან. თვითეულს ამ მილთაგანს შიგნიდან აქვს ეპიტელი გადაკრული, გარედან შემოხვეული აქვს სისხლიანი კაპილიარები და შემაკავშირებელის ქსოვილით არიან შეერთებულნი,—ყოველი ეს კი იმ რბილ რასმე წარმოადგენს, რაზედაც ზევით ჩვენ ვამბობდით. აი, ეს კი ჯირკვალია. მას **სანერწყვე ჯირკვალი** ჰქვია. როგორც ხედავთ, ეს მილი ისე უბრალო აგებულობისა როდია, როგორც საოფლე მილი; პირიქით, ეს მილი ბევრის მილებისაგან, ერთმანეთთან შეერთებულისაგან არის შემდგარი, ამიტომ იგი **რთული აგებულების ჯირკვალს წარმოადგენს.** რაკი პირს დაშორებულია, ამიტომ **პირამდე** რომ მიაღწიოს, ამ ჯირკვალს გრძელი მილი აქვს. ამ უკანასკნელს **სადენი ეწოდა** დავარქვათ. შეუძლებელია არ შეამჩნიოთ, რომ ამ მილისა და ფილტვების აგებულება საუცხოვო მსგავსებას წარმოადგენს. მართლაც და, თვითეული ფილტვი ფოსოებიანს მილს წარმოადგენს მეტს არაფერს, ხოლო ეს მილი ნახშირის სიმჟავეს გამოიწრეტს, და მისი სადენი ყელი სასუნთქაი ყელია. ყურის ძირის სანერწყვე ჯირკვალიც **ფოსოებიანი მილია,** არის კიდევ მეორე ჯირკვალი, რომელიც პირველ მილსა ჰგავს და მოთავსებულია ყბის ქვეშ ორსავე მხარეზე; ამიტომ მას **ყბის ქვეშე ჯირკვალი** დავარქვათ. თვითეული ამ მილთაგანი გამოიწრეტს წყლიანს სითხეს, ეს სითხე სადენი ყელით პირში შემოვა, იქ სხვა მილების გამონაწრეტს სითხეს შეერევა. ამ ნაირად შეზავებულ სითხეს კი **ნერწყვს** ვუწოდებთ ხოლმე.

მუცლის სილრუეში, კუჭის ბოლოს, არის მეტად დიდი ჯირკვალი, ზევით აწერილის ჯირკვალის სრულებით მსგავსი;

მას **პანკრეასი** ანუ **კუჭის ქვეშა ჯირკვალი** ეწოდება. ეს მილი გამოწრეტს **პანკრეატულ წვენს**. ეს წვენი საზრდოს მოსანელებელის მილის იმ ადგილას შემოდის, სადაც წვრილი ნაწლევები იწყება. (ნახატი მე-17, g).



ნახ. 17. s საყლაპავი ყია. b კუჭის ერთი ბოლო; D მეორე ბოლო, შეერთებული ნაწლევებთან, e ნაღველის სადენი; f ნაღველის ბუშტი; g პანკრეასის სადენი; h, i წვრილი ნაწლევები.

ღვიძლიც, თუმცა მისი აგებულება ზედ მიწევნით არ ემსგავსება პანკრეასისა და სანერწყვე მილის აგებულებასა, წარმოადგენს მხოლოდ ვეებერთელა ჯირკვალს. ღვიძლი კარის ვენის კაპილიარების (ნახე გვ. 76) სისხლისაგან გამოსწურავს სითხეს, **ნაღველს** წოდებულს: ნაღველიც სადენი ყელის საშუალებით ნაწლევებში შედის (ნახ. მე-17 e); თუ ნაღველი საჭირო არ არის, თუ დიდის ხნის უქმელი ვართ, მაშინ ნაღველი სადენი ყელით ნაღველის ბუშტში შედის (ნახ. მე-17, f) და იქ სათადარიგოთ შეინახვება.

რა მოსახმარისია ყველა ეს წვენი, ეს სეკრეტები.*) ამათი ბრალია, რომ საზრდო გაიხსნება ხოლმე სითხეთ იქცევა.

---

*) ამა თუ იმ ჯირკველიდან სითხის გამოწურვას, თუ ეს სითხე თვით სხეულშივეა მოსახმარებელი, ჰქვია სეკრეტია; ხოლო სითხე, რომელიც სხვა-და-სხვა ადგილას იყრის თავს და შემდეგ გარე უნდა იქმნეს გამოგდებული და იგი სხეულისთვის უსარგებლოა, არის ეკსკრეცია. მაგ. ნერწყვი სეკრეტს წარმოადგენს, შარდი და ოფლი კი ეკსკრეციას. ე. ფ.

საზრდოთ სხვა-და-სხვა ნივთიერებას ვხმარობთ, მაგრამ ყოველ ნაირ საზრდოს კი, უსათუოდ ერთგვარი რამ ნივთიერება აქვს. ამ ნივთიერებას **მკვებელი ნივთიერება** ჰქვია.

49. რა ნაირიც არ უნდა იყოს საზრდო, ჩვენ მიერ მიღებული, იგი უმთავრესად ორ გვარის ნივთიერებისაგან არის შემდგარი: სამუსკულე ნივთიერებისგან, რომელიც, როგორც იცით, **ბროტეინი** ანუ ცილაა; ეს ნივთიერება აზოტს შეიცავს. მეორე **სიმსუქნეა**, რომელიც ხორცსა აქვს გარედან გადაკრული. ცილას ნაირი ნივთიერება, რაც უნდა ხარშოთ, წყალში არ გაიხსნება; სიმსუქნე კი, როგორც იცით, წყალს არც კი შეერევა. ამ ორგვარმა მსაზრდოებელმა ნივთიერებამ ბევრი ცვლილება უნდა განიცადოს, ვიდრე იგი საზრდოს მოსანელებელის მილის შიდა სიფრიფანიდან კაპილიარების სისხლს შეერეოდეს, ლორწოიანი ეპიტილის დახმარებით.

ხორცის გარდა, პურსაც ვჭამთ. პური კი შემდგარია სახამებლისგან. სახამებელს გარდა პური შეიცავს აზოტურ ნივთიერებას, მუსკულების ან სისხლის ცილას მსგავს ნივთიერებას.

კარტოფილიც ბევრს სახამებელსა და ბევრს ცილას ნაირ ნივთიერებას შეიცავს. ყოველი მცენარეულება, საზრდოთ სახმარებელი, შეიცავს აგრეთვე სახამებელს და ცილას ნაირ ნივთიერებას.

საზრდოთ ვხმარობთ აგრეთვე შაქარს, ან პირდაპირ ნამდვილ შაქარს ან ტკბილის ხილის შაქარს. საჭმელთან ერთად მარილსაც მივიღებთ. ხორცეულებასა ვჭამთ თუ მცენარეულებასა, სულ ერთია, ხორცში, პურში, კარტოფილში და ხილში უსათუოდ მოიპოვება ესა თუ ის რაოდენობა მინერალურ ნივთიერებათა, ესე იგი სხვა-და-სხვა მარილთა: მაგ. კალი-ქვა, კირი-ქვა, მაგნეზი, რკინა და ესა თუ ის სიმჟავენი: გოგირდისა და ფოსფორის სიმჟავე, ქლორის მარილ-წყალი და სხვ.

ეოველ გვარ ნივთიერებას, რომელსაც კი ვჭამთ, უსათუოდ ცოტად თუ ბევრად შემდეგი მსაზრდოებელი ნივთიერებანი აქვს: ბროტეინი ანუ ცილა, სახამებელი ანუ შაქარი, სიმსუქნე, მინერა-

ლური ნივთიერებანი და წყალი. ეს ნივთიერებანია, რომ ეგზეცხოვრებს: მხოლოდ ის ნივთიერებაა მსაზრდოვებელი, რომელიც შეიცავს ან ცილასა, ან სახამებელს, ან სიმსუქნეს. ნივთიერება, რომელიც ამ ნაწილებს არ შეიცავს, საზრდოდ არ გამოდგება; თუ მაინც ეჭამთ, იმიტომ, რომ მას ან მინერალური ნივთიერება ან წყალი უეჭველად აქვს.

აუცილებლად საჭირო როდია, ყველა ეს ნივთიერება ვჭამოთ. ცილას-ნაირ ნივთიერებას ვხმაროობთ მხოლოდ განუწყვეტლივ. მსაზრდოვებელ ნივთიერებათა შორის მხოლოდ ცილა შეიცავს აზოტს. მხოლოდ ცილას შეუძლია განაახლოს აზოტური ცილასნაირი შემადგინელობა სისხლისა, და მაშასადამე, მთელის სხეულისაც.

შეგვიძლია საზრდოთ მხოლოდ ცილას-ნაირი ნივთიერებანი ვიხმაროთ, რადგან ამ ნივთიერებათ აზოტიცა, ნახშირმბადიცა და წყალ-მბადიცა აქვთ; ცილათი და მინერალური ნივთიერებით შეგვიძლია გავაახლოთ მთელი სხეული და ყოველი ნაწევარი სხეულისაც. შემდეგ გაიგებთ, რომ ასეთი კვება საზრიანი არ იქნება. სახამებელი, შაქარი და სიმსუქნე მხოლოდ ნახშირ-მბადსა და წყალ-მბადს უაზოტოთ შეიცავს. ამიტომ, თუ ამ ნივთიერებით ვიკვებებით, უსათუოდ პროტეინებიც უნდა მივუმატოთ, ეს ნივთიერებანი უნდა პროტეინით შევაზავოთ.

50. ამ ნივთიერებათა შორის, თუ მინერალურ ნივთიერებათ არ მივიღებთ მხედველობაში, ერთად ერთი შაქარია (შაქარი, როგორც იცით, ბევრგვარია, ნამდვილი შაქარი, ყურძნისა, ხილისა და სხვაც), რომელიც წყალში გაიხსნება ხოლმე და ოსმოსის საშუალებით, თხელ გარსში გაატანს (ნახე გვერდი 101). ბუშტში რომ ცოტა კვერცხის გული, სისხლის შრატი, ხორცი ან ფიბრინი, ოდნავ მოხარშული, გინდა მოუხარშავი სახამებელი, ზეთი ან სიმსუქნე ჩასდოთ და მერმე ეს ბუშტი წყალში ჩასდოთ, დარწმუნდებით, რომ არც ერთი ამ ნივთიერებათაგანი ბუშტიდან წყალში არ გამოვა. მაგრამ თუ ბუშტში შაქარი ან მარილი გვქონდა, ეს ნივთიერებანი იმ

წამსვე წყალშივე გაჩნდებოდნენ. ამ გვარადვე საზრდოს მოსანელებელ მილში რომ ჩაწყობილი გვქონოდა ხორცი, სახამებელი ან სიმსუქნე, არც ერთი ამ ნივთიერებათაგანი არ შევიდოდა კაპილიარებში, ამიტომ ეს ნივთიერებანი საზრდოთ არ გამოდგებიან და უსარგებლონი იქნებიან, თუ რომ რაიმე ცვლილება არ განიცადეს. სანამ საზრდო მხოლოდ საზრდოს მოსანელებელ მილშია, მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და საზრდოს შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, ჩვენს სხეულში არისო მხოლოთ მაშინ, როცა იგი სისხლს შეუერთდა, შეერია.

მსაზრდოებელ ნივთიერებას ბევრი რამ სხვაც ურევია, რაიც სრულებით მსაზრდოვებელი არ არის. ნივთიერებათა მსაზრდოვებელი ნაწილი ჩადებულია ისეთ კალათებში, რომლებსაც იმდენივე მსაზრდოვებელი მნიშვნელობა აქვთ, რამდენიც იმ კალათებსა და ქაღალდებს, რომლებშიაც კანფეტებია გახვეული. ამიტომ, თავდაპირველად, მსაზრდოვებელნი ნივთიერებანი ამ კალათებს და ხვეულებს უნდა დაშორდეს და გაიხსნას.

ჯირკვლები რომ წვენს გამოიწრეტენ, აი სწორედ ის წვენი გახსნის ხოლმე მსაზრდოვებელ ნივთერებათ, გააშორებს გარედან გადაკრულს კანს, შესცვლის იმნაირად, რომ ეს ნივთიერებანი სისხლში შევლენ და განათავისუფლებს თავს უსარგებლო კანისაგან. მერმე ეს უსარგებლო ნაწილი გარეთ გამოიდევნება.

მსაზრდოვებელ ნივთიერებათ ასეთს გახსნასა და მომზადებას ეწოდება საზრდოს მონელება.

სხვ-და-სხვა ნივთიერება მსაზრდოებელის მილის სხვა-და-სხვა ადგილას განიცდის ხოლმე ცვლილებასა.

ნერწყვი საკვირველის თვისებისაა. იგი **სახამებელს შაქრად** აქცევს. მოხარშული სახამებელი, რომელიც სქელი, მწებავი და უგემურია, პირში რომ ჩაიდოთ და აქ რამდენსამე ხანს შეაჩეროთ, ეს სახამებელი წყლიანი შეიქმნება, სითხეთ გადიქცევა და გაგემრიელდება. ეს კი იმიტომ, რომ სახამებელი შაქრად შეიცვალა, შაქარი კი, როგორც იცით, ადვილად

გადის ხოლმე გარსში, სახამებელს კი როდი შეუძლია გარსში გაატანოს. კუჭის წვენი სახამებელზე არავითარ გავლენას არ ახდენს. ამის მაგიერად, ეს წვენი **საკვირველის სიჩქარით გახსნის ხოლმე ცილისნაირ ნივთიერებათ.**

მოხარშული ხორცი კუჭის წვენში რომ ჩადოთ და თბილ ადგილს დასდოთ, ცოტა ხნის განმავლობაში ხორცი სადღაც გაჰქრება. ცილისნაირი ნივთიერება ამ დროს გაიხსნა, დარჩა მხოლოდ მუსკულის ბეწვების გარე კანი და სიმსუქნე. ამ ნაირად შეგიძლიათ მიიღოთ ხორცის ხსნილი, და ეს ხსნილი კი ისეთის თვისებისაა, რომ მას ადვილათ შეუძლია გარსში გაატანოს და სისხლს შეუერთდეს.

პანკრეასი და ნაწლევების წვენი სახამებელზე ისეთ ნაირადვე მოქმედებენ, როგორც ნერწყვი; ცილის-ნაირ ნივთიერებაზე კი კუჭის წვენსავით მოქმედებენ.

51. ნაღველს და პანკრეასს საკვირველი მოქმედება აქვს სიმსუქნეზე. ხომ იცით, ზეთი და წყალი რომ ერთად აჭანჭყაროთ, ერთმანეთს შეერევიან. ხოლო გაათავებ თუ არა ჭანჭყარს, წყალი და ზეთი ერთმანეთს დაშორდება და ზეთი ზევით მოადგება წყალსა. თუ პანკრეასთანა და ნაღველთან აჭანჭყარეთ, ზეთი აღარ დაშორდება და დიდი დროა საჭირო, რომ ზეთი კვლავ ზევით ამოვიდეს. რძეც შეიცავს სიმსუქნეს, ამ სიმსუქნეს ზეთი ანუ ერბო ჰქვია. მიკროსკოპში რომ გამოიკვლიოთ რძის შემადგინელობა, ნახავთ, რომ რძის სიმსუქნეს პატარა წინწკლები შეადგენს. ძროხის ერბო პანკერასთანა და ნაღველთან რომ ააჭანჭყაროთ, გამოკვლევის შემდეგ აქაც ნახავთ, რომ ერბო ანუ სიმსუქნე პატარა წინწკლებათ დანაწილდა. რათ არის საჭირო სიმსუქნის ასეთი შეცვლა?

რომელიმე ცხოველის ნაწლევების შიდა პირს რომ დააკვირდეთ, შეამჩნევთ, რომ ნაწლევების შიგნითა პირი წყლტე როდია, იგი ხორკლიანია, ანუ უკეთა ვსთქვათ, ხავერდისებურია. ეს ხორკლიანობა კი იმის შედეგია, რომ ლორწოიან გარსს ბევრი ხორცმეტი აქვს. ამ ხორცმეტს ხაო ჰქვია; ხაო ბევრათ მიაგავს კანის ხორკლებს (ნახატი მე-15), თუ წარ-

მოიდგენთ, რომ აქ მთელი ეპიდერმა, გარდა ქვედა უჯრედებისა, გადაცლილია (d), თვით ხორკლები უფრო ამოწვდილები არინ. მე-18 ნახატზე ნაჩვენებია ხაოს აგებულება. ეპიტელს (b) შეადგენს უჯრედების ერთი რიგი. ეპიტელის ქვეშ, როგორც კანის ხორკლებშიაც, მოთავსებულია კაპილიარები; ეს კაპილიარები მხოლოდ მარჯვენა ხაოზეა ნაჩვენები. კაპილიარების გარდა ყოველ ხაოს აქვს კიდევ სხვანაირი კაპილიარი (გასაადვილებლათ მხოლოდ მარცხენა ხაოზეა დახატული), რაიც კანის ხორკლს არ მოეპოვება. ეს კაპილიარი სისხლს არ შეიცავს, არც არტერიასა და არც ვენასთან შეერთებული არ არის. ამ კაპილიარების დასაწყისი ხაოშივეა. ამ კაპილიარს



ნახ. 18. წვრილი ნაწლევის ორი ხაოს დაახლოვებითი სახე. (ორმოცდა ათჯერ არის გადიდებული). a ხაოს შემადგენელობა; b. მისი ეპიტელი; რომლის ცალკე უჯრედი ნაჩვენებია l'. c, d. არტერია და ვენა კაპილიარებითურთ, რომელთა შორის დაფარულია e. რძის მილი, ხაოს შუა გულში მოთავსებული და ზევით დაწყებული რძის მრავალ პატარა მილებით.

სარძეო მილი ჰქვია. ამ მილების შესახებ ჯერ არა მითქვამს რა. სხეულში ბევრგან ვნახავთ ხოლმე კაპილიარების გარდა წვრილ მილებს; ეს მილები კაპილიარებს ჰგვანან, ხოლო განირჩევიან იმითი, რომ სისხლის მაგივრათ შეიცავენ უფერო სითხეს და დიდ მილს ტოტად არ უკეთდებიან. ეს მილები სწორედ იქვე იწყებიან, სადაც მათ ვნახულობთ. ეს მილები, კაპილიარებსავითვე, ერთმანეთს უერთდებიან, დიდ მილს, ვე-

ნის მსგავს შეადგენენ; უფრო სითხე მიჩანჩქარებს ამ წვრილ მილებიდან ამ დიდრონ მილებამდე. უფერო სითხეს ლიმფა ეწოდება. ლიმფა ფრიად წაგავს სისხლსა, ხოლო სისხლის ბუშტების მსგავსი არა მოეპოვება რა. მილს, რომელშიაც ლიმფა სდის, ჰქვია **სალიმფო მილი.**

სხეულის ყველა სალიმფო მილები ერთდებიან და შეადგენენ ერთად ერთს დიდს მილს; ეს უკანასკნელი კისრის დიდ ვენას შეუერთდება, როგორც ეს დაახლოვებით ნახატზეა ნაჩვენები, (ნახატი მე-6 Lct., Ly, Ph.d.) ეს დიდი სალიმფო მილი მკერდშია გატარებული, ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ მას **სალიმფო მილის მკერდში სადენი ველი.**

ნაწლევების ხაოებში ბევრ სალიმფო მილსა აქვს დასაწყისი. ასეთს მილებს **სარძეო მილი** ჰქვიათ (ნახატი მე-6, Lct). მაშასადამე სარძეო მილი ჰქვია იმ სალიმფო მილს, რომლის დასაწყისი ნაწლევის ხაოშია.

რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას სიმსუქნის მონელებასთან? ნაწლევების ხაოში დაწყებულ სალიმფო მილებს სარძეო იმიტომ ეწოდებათ, რომ საზრდოს მონელების დროს მათში მოთავსებული სითხე გამჭვირვალე კი არაა, როგორც სხვა სალიმფო მილებში, არამედ **თეთრი ფერისაა და რძეს წაგავს.**

რატომ არის ეს სითხე თეთრი და რათ წაგავს რძესა? იმიტომ, რომ ეს სითხე აღესილია სიმსუქნის პატარა წინწკლებისაგან, სიმსუქნის წინწკლები კი ნაწლევების შიგნითა სიფრიფანადან შემოვლენ. ეს წინწკლები სწორედ ის პატარა წინწკლებია, რომლებთაც სიმსუქნე პანკრესამა და ნაღველმა დაჭყო. ამაში დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რადგან, როცა სიმსუქნე არა გვიჭამია, სარძეო მილებშიაც არ მოიპოვება რძის მაგვარი სითხე. აგრეთვე, როცა პანკრეასი და ნაღველი ნაწლევებში ამა თუ იმ მიზეზისა გამო ვერ შეატანენ, სიმსუქნე არ მოიპოვება სარძეო მილებში, თუნდაც რომ ბევრი სიმსუქნე ვჭამოთ, ამ შემთხვევაში სიმსუქნე ნაწლევებში დარჩება უსარგებლოდ, შემდეგ იგი გარე გამოიდევნება.

52. აი, რა ცვლილებათ განიცდის ხოლმე მსაზრდოვებელი ნივთიერება.

პანკრეასი და ნაღვეელი სიმსუქნეს პატარა წინწკლებათ გარდააქცევს. ეს წინწკლები რაღაც ნაირად ხაოების ეპიტელში გაატანენ და სარძეო მილებში შევლენ, სარძეო მილებიდან მკერდში, სადენ ყელში უკანასკენელიდან კი ღრუ ვენაში შევლენ. აი ამნაირად შეუერთდება სისხლსა საზრდოსთან მიღებული სიმსუქნე.

ნერწყვისა და პანკრეასის ზე-გავლენით სახამებელი შაქრად გარდიქმნება. შაქარი გარსში მალე გადის, ამიტომ საზრდოს მოსანელებელის მილიდან კაპილიარების სისხლს შეუერთდება. ამ ნაირად მიღებული შაქარი და სახამებელი სისხლს შეუერთდება ხოლმე.

კუჭის წვენი კუჭშივე გახსნის ხოლმე პროტეინებს ანუ ცილისნაირ ნივთიერებათ. კუჭში რაც გაუხსნელი გადარჩა, ის წვრილ ნაწლევში შევა და იქ გაიხსნება და გარსში გააატანს. ამ ნაირად პროტოინებიც სისხლს შეუერთდებიან.

შეგვიძლია გავიფიქროთ, რომ რაოდენიმე ნაწილი შაქრის და პროტეინებისა სარძეო მილებშიაც შედის.

მინერალურ ნიეთიერებათ კი ნერწყვი, ან კუჭისა ან ნაწლევის წვენი გახსნის: ესენიც სისხლში შევლენ.

წყალი-კი სისხლში საზრდოს მოსანელებელის მილის მთელს სიგრძეზე შედის.

პური, პირში ღეჭვის დროს, ნერწყვით სველდება. ნაწილი პურის სახამებლისა, ამავე დროს, გარდიქმნება შაქრად, დანარჩენი კი გაფხვიერდება და დაინამება. ზოგი ნაწილი პურის პროტეინისა კუჭში გაიხსნება და სისხლს შეუერთდება, პური კი რბილ ქაშად გარდიქმნება. შემდეგ, ნაწლევებში რომ შევა ეს ქაში, დანარჩენი სახამებელიც შაქრად შეიცვლება პანკრეასის ზე-გავლენით და მაშინვე ან სარძეო მილებში შედის, ან-და პირდაპირ სისხლს შეერთვის. ნაწლევებშივე გაიხსნება, თუ კი გადარჩა გაუხსნელი, პროტეინი. ასე რომ შეჭმულის პურის მხოლოდ გარე კანი დარჩება; ეს კანი ხომ იმ

უჯრედებს ჰქონდა გადაფარებული, რომლებშიაც თავმოყრილი იყო სახამებელი და პროტეინები.

ხორცსაც კბილებით ვგლეჯთ, ვწეწთ და ნერწყვით ვასველებთ, მაგრამ ხორცი პირში არ შეიცელება. კუჭში კი ხორცის პროტეინებს მალე მოვინელებთ. ხორცი უფრო დაიწეწება, მუსკულის ბეწვებიც დანაწილდება და ერთმანეთს მოშორდება. სიმსუქნე დასტოვებს იმ უჯრედებს, რომლებშიაც იკრიბებოდა ცხოველის სიცოცხლეში, მერმე კუჭის სითბოსაგან გადნება და ატივტივდება ქაშად ქცეულს საჭმელზე. მუსკულების მოკუმვისა გამო, ეს ქაში რამდენსამე ხანს კუჭში ტრიალებს, პროტეინებს სისხლს გადასცემს და შემდეგ ნაწლავებში გადავა. აქ პანკრეასი და ნაღველი სიმსუქნეს აკუწდაკუწვენ და მერმე ერთმანეთში შეურევენ სიმსუქნესა, გარბილებულს ხორცსა, ცალიერ უჯრედებს და მათ კანს, მინერალურ მარილს და წყალს. ამ ნაირად მომზადებული ქაში ნაწლავებში ნელ-ნელა მიდის, მუსკულების მოკუმით, ნელ-ნელადვე ჰკარგავს სხვა და სხვა შემდგენელ ნაწილს, სიმსუქნე სარძეო მილებში და იქიდან სისხლში შედის. პროტეინები უფრო დაიხსნებიან და მერმე ან სისხლის სადენსა და ან სარძეო მილებში შევლენ. სხვა და სხვა მარილსა და წყალსაც შეისვამს სისხლი და ეს გაგრძელდება მანემდის, ვიდრე საზრდოსაგან არ იქნება გამოწურული, გამოწოვილი ყველა სავარგისი ნაწილი. დარჩება მხოლოდ უვარგისი ნაწილი საზრდოსი და ან ერთი ორი ბეწვი მუსკულისა და სიმსუქნის რამდენიმე წინწკლი, შემდეგ კი ეს უვარგისი და უსარგებლო ნაწილი გამოგდებულ იქნება გარეთ.

მაშასადამე, მსაზრდოგებელი ნივთიერება, რა გვარისაც არ უნდა იყო იგი, შესცვლის თუ არა სასარგებლო ნაწილს, ან პირდაპირ სისხლში გადადის, ან ჯერ სარძეო მილში შევა, მერმე კი სისხლს შეუერთდება; უსარგებლო და გამოუსადეგარი ნაწილი კი მსაზრდოგებელის ნივთიერებისა სხეულისაგან გარეთ გამოიდევნება.

საზრდოს მონელების დროს, სისხლი მჩქეფარეობს აორტის ტოტებში, კუჭისა და ნაწლევების არტერიებსა და კაპილლიარებში, კარის ვენის ტოტებში, შედის ღვიძლში და ისევ გულში შებრუნდება. ნაწლევებში მხოლოთ რამდენსამე წუთს დაყოფს სისხლი. ამ დროს საზრდოს მოსანელებელ მილისაგან მიიღებს მსაზრდოვებელ ნივთიერებათ. ყოველ შემოტრიალებაზე, სისხლი უფრო და უფრო დაიტვირთება ამ ნივთიერებითა. საზრდოს მონელებისავე დროს, მკერდში სადენ ყელს კისრის დიდ ვენაში შეაქვს რძიანი სითხე, რომელიც მოიტანეს ნაწლევებიდან სარძეო მილებმა. მკერდში სადენ ყელს რომ გაუვლის სისხლი, კისრიდან გულისაკენ მიმდინარე, თან წამოიღებს ამ რძიან სითხეს. გული კი მთელს სხეულს მიაწვდის ამ სითხეს.

ცხადია, რომ სისხლი ჩვენ ძაურ მიდებულის საზრდოთა აგებებს სხეულ კი—სისხლით.

§ VIII. როგორ განითავისუფლებს ხოლმე თავს სისხლი უსარგებლო ნივთიერებათაგან.

53. სისხლი განუწყვეტლივ ახალ ნივთიერებას იღებს. მაგრამ განუწყვეტლივაც სისხლი თავს განითავისუფლებს ხოლმე ამ ნივთიერებათაგან. ნივთიერება, რომლიდანაც სისხლი თავს ითავისუფლებს, მიღებულსა და შეთვისებულს ნივთიერებისაგან განირჩევა. ზევით ვსთქვით, რომ სისხლი მუსკულებისა, ტვინისა და სხეულის სხვა ნაწილებისათვის საწვავ ნივთიერებას წარმოადგენს. სხეულის ყოველივე ნაწილი სწვავს სისხლსა, სისხლიც იწვის, სითბოს აჩენს, სინათლეს კი არა. ქიმიიდან გაგებული გვაქვს, რომ წვის დროს ნივთიერება მხოლოდ შეიცვლება და არა მოისპობა. წვის დროს არაფერი არ იკარგება. რადგან მუსკული სისხლსა სწვავს, სისხლი ამ დროს მხოლოდ სხვა ნივთიერებათ გარდიქმნება. ეს მეორე ნივთიერება ხელ-

ახლავ ალარ დაიწვის, ამიტომ იმისი გარედ გამოგდება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

რა და რა ნივთიერებათ გარდიქმნება ხოლმე სხეული წვის დროს?

ზევით გითხარით, რომ ხორცის ნაჭერი ან სისხლი რომ გაახმოთ და დასწვათ, დარწმუნდებით, რომ ეს ხორცის ნაჭერი, ან ეს სისხლი ოთხ ნივთიერებათ გარდიქნება: წყლად, ნახშირის სიმჟავეთ, ამიაკად და ნაცრადა. სხეულს აზოტი, ნახშირ-მბადი, ჟანგ-მბადი, გოგირდი, ფოსფორი და სხვა ელემენტები შეადგენს, ამიაკი აზოტისა და წყალ-მბადისგან წარმოსდგება; წყალ-მბადი წვის დროს ჟანგ-მბადს შეუერთდება და წყალს წარმოშობს; ნახშირ-მბადი წვისავე დროს ნახშირის სიმჟავეს წარმოშობს და ან კიდევ სხვა ნაირ მასალას.

გინდ სიჩქარით ბუხარში დაწვა სხეული, გინდ ნელ-ნელა მოიჟანგოს მიწაში ცხოველი სიკვდილის შემდეგ, გინდა კაჩქარებით მოიჟანგოს სიცოცხლეშიგე არტერიანულის სისხლითა,—ყოველ შემთხვევაში ის ნივთიერებანი, რომლებათ გარდიქმნება ხოლმე სხეული წვისა თუ მოჟანგების დროს, ერთი და იგივე არიან. რა ცვლილებაც უნდა განიცადოს სხეულმა, ბოლოს სხეული მაინც წყლადა, ნახშირის სიმჟავეთა, ამიაკად და მარილად გარდიქცევა.

ეს ნივთიერებანი სისხლში იკრიბებიან სხეულის მოჟანგებისა გამო და სხეულიც იძულებულია ეს ნივთიერებანი გარედ გამოაგდოს.

იმ წყალს გარდა, რომელიც მოჟანგებისა გამო სხეულში გაჩნდება, ჩვენ კიდევ ბევრ წყალსა ვსვამთ; ვსვამთ კი წყალს იმიტომ, რომ იმითი შიგნით ვასველებთ სხეულს; ვსვამთ აგრეთვე იმიტომ, რომ წყლით სხეულის გამობანვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენს სხეულში რომ განუწყვეტლივ წყალი არ გადიოდეს და იგი სხეულს არ ასუფთავებდეს, მალე გავჭუჭყიანდებით, სწორედ ისე, როგორც გაიბურება ხოლმე ორთქლით მატარებელი, თუ არ ასუფთავებენ. მაშასადამე, იმ წყალს გარდა, რომელიც ჰჩნდება საზრდოს წყალ-მბადის წვი

დროს, მუდამ დღე ის წყალიც უნდა გამოასხათ გარეთ, რომელიც სხეულის გამოსარეცხათ მივიღეთ, შევსვით.

ფილტვებში რომ ჟანგ-მბადი შედის, ამ დროს ფილტვებიდან ბევრი ნახშირის სიმჟავე გამოდის - თქო, ვსთქვით წინათ. ამავე დროსვე გამოდის წყლის უმეტესი ნაწილიც. ძალიან ხმელი და მშრალი ჰაერიც რომ ჩავისუნთქოთ, ამოსუნთქვით ყოველთვის ნესტიან ჰაერს ამოვისუნთქავთ. ზევით ისიც ვნახეთ, თუ როგორ გამოაქვს ხოლმე სისხლს ოფლი საოფლე ჯირკვალით კანზე. ოფლი თითქმის სულ წმინდა წყალია, ოდნავ მარილიანი კი. მაშასადამე, კანიც დახმარებას უწევს სისხლს გასუფთავებაში საოფლე ჯირკვალის საშუალებითა, რადგან ამ უკანასკნელს წყალი და ცოტა მარილიც გამოაქვს. ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ შეუმჩნეველად ბევრი წყალი გამოდის კანში ორთქლად. კანიდანვე გამოდის ცოტა ნახშირის სიმჟავეც.

54. ის-ღა დაგვრჩა გავიგოთ, თუ როგორ გამოაგდებს ხოლმე გარე სისხლი ამიაკსა და სხვა მარილიან ნივთიერებათ, რომელნიც კანში ვერ გამოატანენ.

ამიაკი და სხვა მარილიანი ნივთიერება, წყალში გახსნილი, გამოდის თირკმელებით. ამას შარდი ჰქვია.

რას წარმოადგენს თირკმელი? ამ ასოს შესახებ შემდეგ ბევრ რასმე გაიგებთ. ამ ხანათ კი საკმარისია ვიცოდეთ, რომ თირკმელი კრებულია ჯირკვლებისა. ეს ჯირკვლები საოფლე ჯირკვალს ჰგავს რაოდენადმე. **ამ ჯირკვლებში სისხლს შემოაქვს შარდი სწორედ იმნაირადვე, რაგორც საოფლე ჯირკვლში ოფლს შემოიტანს.** ამ ჯირკვალთ ერთი საზოგადო სადენი ყელი აქვთ, ამ უკანასკნელის შემწეობით შარდს საშარდე ბუშტში ჩაასხმენ; ამ ბუშტიდან კი, როცა საჭიროა, შარდი გარეთ გამოისხმება.

შარდი რას წარმოადგენს? შარდი წყალია, რომელშიაც ბევრნაირი მარილია გახსნილი, უფრო კი ამიაკი. ამიაკი მარილისა სხვანაირია, იგი შეერთებულია ნახშირის სიმჟავესთან,

და ეწოდება შარდული. მართალია შარდულა ნამდვილი ამიაკი არ არის, ამიაკის მსგავსი კია.

ამნაირად, ის სამი უმთავრესი მილი, რომლის შემწეობით სისხლი სუფთავდება და სისხლი უსარგებლო ნივთიერებას გარეთ გამოაგდებს, შემდეგია: ფილტვები, თირკმლები და კანი. ფილტვებიდან გამოდის ნახშირის სიმჟავე და წყალი; თირკმლებიდან — წყალი, ამიაკი მარილად შეცვლილი და სხვა-და-სხვა მარილი; კანისაგან — წყალი და ზოგი მარილიც. როცა სისხლი ფილტვებში, თირკმლებში და კანში გაიარს, იგი ყოველთვის ჰუჰყს იშორებს, რამდენსამე ერთს ადგილას და რამდენსამე მეორე ადგილას. სისხლისათვის უპირველესს მოთხოვნილებას შეადგენს ნახშირის სიმჟავის მოშორება და ახალის ჟანგ-მბადის მიღება. ამიაკისა და მარილის მოშორება კი ასეთს საჭიროებას როდი წარმოადგენს სისხლისათვის. ამიტომ არის, რომ მარცხენა უკანა-გულიდან მთელი სისხლი ფილტვებისაკენ მიისწრაფის და ვერც ერთი წვეთი ამ სისხლისა ფილტვებს ვერ ასცდება, თირკმლებში კი ამ დროს ცოტა სისხლი გაივლის. სისხლმა ერთბაშათ უნდა ჩაისუნთქოს ბევრი ჟანგ-მბადი და ბევრივე ნახშირის სიმჟავე უნდა ამოისუნთქოს. ამიაკსა და მარილს კი ცოტ-ცოტათი იშორებს სისხლი.

სისხლის გასუფთავება და განახლება სამს მილსა აქვს განაწილებული. ეს ბილები დიდს ჯაფას ეწევიან, თუ ბევრი წყალი შევსვით და ბევრი ვიმუშავეთ; თუ ცოტა წყალი შევსვით და მოსვენებული ვართ, მაშინ მილებიც მოსვენებითა და ნელ-ნელა მუშაობენ.

§ IX. საზრდოობის პროცესის მოკლედ განმეორება.

55. ახლა კარგათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საზრდოობის პროცესი.

საზრდო იწვება. იგი ძალ-ღონის წარმომშობელი წყაროა. წვის დროს საზრდო სითბოს აჩენს, სითბო კი ძალას წარმოა-

დგენს. თუ გვინდა, შეგვიძლია ჩვენი საზრდო ფეჩში დავწვათ და ამით მატარებელი ან წისქვილის ბორბალი ავამოძრაოთ. აგრეთვე, თუ კი ვისურვებთ, შეგვიძლია საზრდო თოფის წამლად გარდავაქციოთ, ამით ზარბაზნები ვისროლოთ და კლდეები დავანგრიოთ. მაგრამ ამის მაგიერათ საზრდოს სხეულშივე ვწვავთ და ამით გაჩენილის ძალით ვსარგებლობთ.

საჭმელს საზრდოს მოსანელებელ მილში ვინელებთ. მსაზრდოვებელი ნივთიერება გაიხსნება და უსარგებლო ნივთიერებას დაშორდება. მსაზრდოვებელი ნივთიერება შემდეგ სისხლს შეერთვის და მისს ნაწილად შეიქნება.

რადგან გული მუდამ ფეთქს, ამით სისხლი მთელს სხეულს უვლის, თვით უუმცირეს კაპილიარებშიაც კი შევა და სხეულის თვით უუმცირეს ნაწილსაც კი მოინახულებს. სისხლი მალ-მალ იღებს ხოლმე საზრდოს. ამიტომ იგი ყოველთვის სავსეა საწვავ ნივთიერებით. ამ ნივთიერებათა საშუალებით სისხლი, მიმოქცევის დროს, ფილტვებში ჟანგ-მბადს მიიღებს. ამიტომ სისხლს მუდამ და განუწყვეტლივ მიაქვს საწვავი ნივთიერება და ჟანგ-მბადი მუსკულებთან, ტვინთან, ძვალთან, ინოხებთან, კანთან და ჯირკვლებში.

სხეულში, ყოველ ადგილას მოჟანგება და წვა-ნთებაა გაჩაღებული, ხოლო ზოგ ადგილას და ზოგჯერ ეს პროცესი უფრო ძლიერადა და სიჩქარითა ჰხდება; ზოგგან და ზოგჯერ კი უფრო სუსტადა და ნელად. ეს მოჟანგება და წვა-ნთება კი არტერიალურს, ჟანგ-მბადით სავსე სისხლს ყოველთვის ჟანგ-მბადს წაართმევს და ვენის სისხლად შესცვლის. სადაც მოჟანგებას ადგილი აქვს, იქიდან ვენის სისხლი უფრო თბილი გამოდის, ვიდრე არტერიისა; ეს თბილი სისხლი დანარჩენს სისხლს შეუერთდება და მთელს სხეულს სითბოს მიაწვდის მიმოქცევის დროს. სისხლი აუცილებლად თბილია იმიტომ, რომ ეს სისხლი როდი ესცდება ბევრს ადგილას გაჩაღებულს კერას. სისხლის სითბოა იმის მიზეზი, რომ ჩვენც თბილი ვართ. ზოგ ადგილიდან, მაგ., კანიდან, ვენის სისხლი უფრო ცივი გამოდის, ვიდრე არტერიით მოტანილი სისხლი იყო. ეს იმიტომ

მოხდა, რომ სისხლმა თვისი სითბო გარდასცა კანის მახლობელ ნაწილს. ბევრ სითბოს ხარჯავს სისხლი, ოფლი რომ ორთქლად გარდაქმნას. ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ ვიდრე ჯან-საღათა ვართ, სითბოც ჩვენის სხეულისა ერთს დონეზე სდგას, 29 გრადუსს რეომიურისას არ ასცდება; ამისივე ბრალია, რომ ტანსაცმელსა და ლოგინსაც ვათბობთ.

სხეულის ყოველ ადგილას სისხლის ან სხვა ნაწილების მოჟანგება ჰხდება. სხეულში სხვა-და-სხვა ცვლილება ჰხდება. ყოველი ნაწილი სხეულისა ცოტ-ცოტათი ზოგგან მეტის სიჩქარითა და ზოგგან კი ნელად, მაგრამ მუდამ, განუწყვეტლივ ირღვევა, და ამავე დროს სისხლის შემწეობით განახლდება ხოლმე; ყოველი ნაწილი კი თავისებურად განახლდება ხოლმე. ყველა კაპილიარებში ერთი და იგივე სისხლი მდინარებს, მაგრამ ეს სისხლი სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ნივთიერებასა ჰქმნის. მუსკულში სისხლი მუსკულსა ჰქმნის, ნერვში-ნერვსა, ძვალში-ძვალსა, ჯირკვლებში წვენსა. ერთი და იგივე სისხლი სხვა-და-სხვა ნაწილს სხვა-და-სხვა თვისებას გარდასცემს: ერთი მილი ნერწყვს ამზადებს, მეორე კი კუჭის წვენსა; ძვალი სისხლისაგან სიმაგრეს მიიღებს, ტვინი—მგრძნობელობასა, მუსკული კი მოკუმვის ნიჭს შეითვისებს.

ორთავიანი მუსკული რომ მოიკუმება და მკლავს მოღუნავს, ამ დროს იგი მუშაობს, ჯაფობს. ამ შრომის ნიჭს მუსკული სისხლისაგან მიიღებს ხოლმე, სისხლი კი საზრდოსაგან. ყოველგვარი ჩვენი შრომა შედეგია საზრდოსი და ამ საზრდოს მოჟანგებისა; ორთქლით მატარებელიც ხომ საწვავ ნივთიერებათა მოჟანგებით ღებულობს ძალას. ხომ იცით, რომ ორთქლით მატარებელი თვლების სამოძრაოდ მხოლოდ მცირედს ნაწილს ცხოველი ბილისა ანუ ენერგიისას (ხშირად ასე უწოდებენ) ხმარობს. უმეტესი ნაწილი კი ამ ენერგიისა სათბობათ იხარჯება. სწორედ ამნაირადვე ჰხდება ჩვენსავე სხეულში: ის ძალა, რაც ჩვენა გვაქვს, მხოლოდ მცირედი ნაწილია საზრდოს ძალისა. დანარჩენი ნაწილი ამ ძალისა სხეულის სათბობათ გვჭირდება.

ყოველს ნაწილს სხეულისას მოივლის სისხლი, ყოველს ნაწილს განაახლებს, წამოაცოცხლებს; ამავე დროს სისხლს თან გამოაქვს ხოლმე უსარგებლო ნივთიერებანიც. სხვა-და-სხვა ნაწილი, სხვა-და-სხვა ასო სხეულისა სხვა-და-სხვა თვისებისაა, სხვა-და-სხვა შრომასაც ეწევა; აგრეთვე სხვა-და-სხვა ნაირია ის ნივთიერებანიც, რომელნიც სხვა-და-სხვა ასოებში შეიკრიბა. ის მსგავსება კი აქვთ ამ ნივთიერებათ, რომ ყველანი წვის შედეგს წარმოადგენენ. მუსკულში მოკრებული უსარგებლო ნივთიერება არ წააგავს ტვინისა და ღვიძლისათვის უსარგებლო ნივთიერებას. შესაძლებელია, რომ ერთის ასოსთვის უსარგებლო ნივთიერება, სისხლისაგან გამოტანილი, სხვა ასოსთვის სასარგებლო აღმოჩნდეს, და ეს ნივთიერება ორგვარი სასარგებლო იქნება. ქვა ნახშირის მური უსარგებლოდ იმ ქარხნისათვის, სადაც გაზს ამზადებენ. საღებავის სამზადებელ ქარხნებში კი ეს მური ძვირფასი რამ არის.

ასეა თუ ისე, ბოლოს სხეულისათვის უსარგებლო და მოუხმარებელი ნივთიერებანი უბრალო ნივთიერებად გარდიქმნებიან, დაჰკარგვენ ძალას, აღარ გამოდგებიან დასაწველად და არაფრად სახმარისი აღარ იქნებიან. ასეთი ნივთიერებანი შარდულათ, ან ამიაკად, ან კიდევ ნახშირის სიმჟავეთა და მარილათ გარდიქმნებიან და უნდა გამოძევებულ იქმნენ. ეს ბოლო მოელის საზრდოს მას შემდეგ, სხეულში რომ რამდენიმე ხანი დაჰყო, თვისი საქმე შეასრულა, მუსკულს მოკუმვა, ღვიძლს კი წვენის დამზადება შეაძლებინა; საზრდოს დაწვამ რომ ძალა წარმოშობა და სითბო გააჩინა, ამის შემდეგ საზრდო სხეულს დასტოვებს და ძალ-ღონე მიხდილი მიწასა და ჰაერს დაუბრუნდება. ამითი თავდება საზრდოს თავ-გადასავალი.

§ X. როგორ გგრძნობთ და როგორ ვდომობთ

56. კიდევ ერთი რამ უნდა განვიხილოთ, რათა შევიძლოთ სრული პასუხი მივცეთ იმ საკითხს, თუ რატომ არის, რომ ვმოძრაობთ.

ზევით ვნახეთ, რომ მოძრაობა შეგიძლია იმიტომ, რომ მუსკულები მოიკუმებიან ხოლმე; მუსკული მოიკუმება კი იმიტომ, რომ ჩვენის ნების გავლენით თავის ტვინში გაჩნდება რაღაცა; ეს რაღაცა თავის ტვინისაგან გამოდის, მერმე ზურგის ტვინში გაივლის, შემდეგ ინოხს გაჰყვება და ამ ნაირად მუსკულამდე მიაღწევს; ამ რაღაცს **ნერვიული იმპულსი** დავარქვათ.

ნება რაღას მოჰყავს მოქმედებაში? ვინ, ან რა გამოიწვევს ხოლმე ნერვიულ იმპულსს?

ყველა ნერვებს კი არა აქვთ ბოლო მუსკულებში მოთავსებული. ბევრი ნერვია, რომელსაც ბოლო კანში აქვს, კანის იმ ხორკლებზე, რომელთ შესახებ ზევითა გვქონდა ბაასი. ამ ნერვებს არ შეუძლიათ კანს გარდასცენ ნერვიული იმპულსი, ტვინიდან გამოგზავნილი. შეგიძლიათ თვისს ნებაზე მოკუმოთ მუსკულები, მაგრამ კანში თქვენს ნებაზე ვერაფერს ცვლილებას ვერ მოახდენთ.

მაშ რაღა საჭიროებას ემსახურება ეს ნერვები? თითში რომ რამე იჩხვლიტოთ, ან თითით რასმე შეეხოთ, მაშინვე იგრძნობთ ჩხვლეტასა და შეხებასაც. ამის გამო ვამბობთ, რომ თითს **მგრძნობელობა** აქვსო. წარმოვიდგინოთ, რომ გადასჭერით ის ნერვი, რომელიც თითის კანში იწყება, მკლავში გადის და ტვინამდე მიდის. რა უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში? ახლა რომ თითში ითხვლიტოთ ან თითით რასმე შეეხოთ, ვერც ჩხვლეტასა და ვერც შეხებას ველარ იგრძნობთ. ცხადია, რომ ამ ნერვებს სულ სხვა გვარი დანიშნულება ჰქონიათ, ვიდრე მუსკულში მოთავსებულს ნერვებს: **მუსკულებში მოთავსებულ ნერვებს თავის ტვინიდან მუსკულებამდე იმპულსი მოაქვთ; ეს ნერვები მოძრაობას გამოიწვევენ ხოდმე; ამიტომ ამათ სამოძრაო ნერვები ეწოდებათ. თითის კანში მოთავსებულ ნერვებს კი კანიდან ტვინამდე მოაქვთ იმპულსი; რადგან ეს ნერვები მგრძნობელობას გამოიწვევენ ხოდმე, ამიტომ ამათ სამგრძნობელო ნერვები ეწოდებათ.** კანის ყოველ ნაწილში მოიპოვება ეს სამგრძნობელო ნერვები, ზოგგან ბევრი, ზოგგან კი ცოტა. სადაც ეს ნერვები ბევრია, მაგ. თითში, ის ნაწილი ძლიერ მგრძნობიარეა. სადაც კი ამ ნერვების რიცხვი ცოტაა, მაგ. სხეულის უკანა მხარეზე, ის ნაწილი მცირედ მგრძნობელია. კანს გარდა, სხეულის სხვა ნაწილებსაცა აქვთ სამგრძნობელო ნერვები.

სამოძრაო ნერვები მხოლოდ ერთგვარია. ეს ნერვები მხოლოდ ერთგვარ შრომას ასრულებენ—მუსკულს მოკუმვენ. სამგრძნობელო ნერვები კი ბევრგვარია და სხვა-და-სხვა ჯაფას ეწევიან. ამ ნერვების სხვა-და-სხვა ჯაფას **გრძნობა** ჰქვია.

კანის ნერვების ჯაფას **შეხების გრძნობა** ჰქვია. შეხებით ვგებულობთ, ხორკლიანია თუ წყლტუ რომელიმე საგანი, სველი თუ მშრალი, ცხელია თუ ცივი და სხვ.

შეხებით არ შეგვიძლია მარილი შაქრისაგან განვარჩიოთ. ენაზე რომ დავიდოთ, მაშინვე გავარჩევთ, რომელია მარილი და რომელი შაქარი; ამის მისახვედრათ სულ სხვა გვარი ნერვები მოვიშველიეთ, **გემოვნების** ნერვები. გვაქვს კიდევ **ყნოსვისა, სმენისა** და **მხედველობის** ნერვები.

შეხების ნერვები კანში ბოლოვდებიან, ან უკეთა ვსთქვათ, კანში აქვთ დასაწყისი. ამ ნერვებს აქ, კანში, ბოლოზე ხაო, ხორკლი აქვთ. ამ ხაოს **შეხების ასოები** ეწოდებათ. გემოვნებისა და ყნოსვის ნერვებსაც თავისიდე ასოები აქვთ. სმენისა და მხედველობის ნერვებს ბოლოზე კი მახვილი და რთული აგებულების ასოები აქვთ—ყური და თვალი.

შემდგომ ამ **გრძნობათა ასოებზე** უფრო მეტს რასმე გაიგებთ. ახლა კი საკმარისია გითხრათ, რომ ამ სხვა-და-სხვა გვარ ნერვებით მთელს სიცოცხლეში და ფხიზლობაში გარეშე არედან შთაბეჭდილებას მივიღებთ ხოლმე; ამ შთაბეჭდილებათა გამო ვიგრძნობთ შეხებას, ვიგრძნობთ ხორკლიანობასა და სიწყლტუვეს, სიცხესა და სიცივეს; ვიგრძნობთ კარგსა და ცუდს სუნს; განვარჩევთ სხვა-და-სხვა გემოსა, ხმებსა, ფერსა და საზოგადოთ სხვა-და-სხვა საგანთა სახესა და აგებულებასა.

კანი და ცხვირი, ენა და სასა, ყურები და თვალები გარეშე არედან მიღებულს შთაბეჭდილებათ გადასცემენ ხოლმე თავის ტვინს, სამგრძნობელო ნერვების საშუალებით. თავის ტვინშივე შემოდის შიგნითი შთაბეჭდილებანიც; ეს შთაბეჭდილებანი გვატყობინებენ, სად იმყოფება ესა თუ ის ასო და რას აკეთებს მუსკულები. ეს შთაბეჭდილებანი გრძნობათ, შეგნებათ გარდიქცევიან ხოლმე თავის ტვინში. ისინია, რომ თავის ტვინს ამოქმედებენ. ამ შთაბეჭდილებათა საშუალებით თავის ტვინი, ვით შეგნებული და გონიერი ნება, მთელს სხეულს განაგებს და იგი მოქმედებაში მოჰყავს.

მოამბე

წელიწადი მეცხრე

გამოდის ყოველ თვე

ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნაში:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:		საზღვარ-გარეთ:	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვით	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“-ს სურათებიანი დამატებაც უფასოდ დაეთმობა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: ჰირველად 5 მან. 1-ს აპრილამდე — 3 მან, და 1-ლ ოქტომბრამდე — 2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის ერთი მანეთი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Моамбе“.

ჟურნალში ღასაბეჭდად მიღებულ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრეედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი